

გიორგი გობოლაშვილი  
თამაზ ხვალაძე

# ენა მწერალი პერსონაჟი

და...

და...



დიპლომატი

გიორგი გოგოლაშვილი  
თამაზ ხვალაძე

**ენა და...  
მწერალი და...  
პერსონაჟი**



**დილოგები**

გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი 2024

რედაქტორი  
**ივანე ამირხანაშვილი**

დიზაინი და ტექნიკური რედაქცია  
**ირაკლი ავალიანისა**

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**რუსუდან გრიგოლიასი**

## წინათქმა

„ენა და... მწერალი და... პერსონაჟი“ ჩვენი ერთობლივი მესამე წიგნია. ერთად გატარებულმა ათეულმა წლებმა, ერთნაირმა ინტერესებმა და საერთო შეხედულებებმა დიდი ხნის წინათ გააჩინა სურვილი დიალოგებისა; საქართველოს რადიოს ლიტერატურულმა გადაცემებმა („დროება“, „ენაჟ შემკული და კურთხეული“...) მოგვცა შესაძლებლობა სურვილის განხორციელებისა. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დავიწყეთ ეს საქმიანობა... ერთი სერია დიალოგებისა („ერთხელ საქართველოში“) წიგნად გამოვეცით 2001 წელს... ამას მოჰყვა არაერთი საგაზეთო და სააუზუნო პუბლიკაცია...

მერე იყო და დიალოგად გამიზნული თემა „გამონოლოგდა“ და 2023 წელს გამოვეცით „რატომ კარგი ავივია?!“...

„ენა და მწერალი“ - ეს იყო ჩვენი ნახევარ-საუკუნოვანი ურთიერთობის მუდმივი თანმხლები

თემა... ამ თემაზე ფიქრი და საუბარი ორ ვრცელ დიალოგში ჩავატოეთ და ჩვენს ტრადიციულ „ლიტერატურულ საქართველოში“ დავბეჭდეთ (2022 წლის N 8, 9; და 2024 წლის N 6-9)... ეს ორი დიალოგი ჩვენმა ენათმეცნიერულმა და მწერლურმა გამოცდილებამ გვიკარნახა... აქ დაბეჭდილი მესამე დიალოგი? მესამე ჩვენი ყოველდღიური საფიქრალი იყო, არის და იქნება... სადამდეც შევძლებთ ფიქრს... 33 წლის წინანდელი ნათუქრი 1991 წელს დიალოგად ვაქციეთ და გამოვაქვეყნეთ... დღევანდელიობამ გვიკარნახა აქ გადმოვბეჭდვა და ასეთი მინაწერის გაკეთება...

ისე კი გვერჩია, მინაწერი სხვა შინაარსისა ყოფილიყო...



**გ. გოგოლაშვილი**  
**თ. ხმალაძე**  
15 მაისი, 2024 წელი.

## მზით ნაფიცხი ქართული სიტყვა

**გიორგი გოგოლაშვილი** – 1992 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (N 40) გამოქვეყნდა აკადემიკოს ზესარიონ ჯორბენაძის წერილი „სიტყვის მაღლი“ (ეს იყო საგაზეთო ვარიანტი ნაშრომისა, რომლის სრული ვარიანტიც 2003 წელს გამოვაქვეყნეთ ჟურნალში „ბურჯი ეროვნებისა“ (N 3-4). ორიოდე ამონარიდს მოვიყვან ამ წერილიდან:

**„მწერლის გამარჯვებაც და მარცხიც იმით განიზომება, თუ როგორ ფლობს იგი სიტყვას, როგორ ამოიყვანოს და წარმოაჩენს სიტყვაში დანაშრევ სხვათაგან მიუგნებელ საზრისს. ერთიცაა: ცხოვრების ულმობელი სტანდარტიზაციის ტენდენციამ ცოცხალი სიტყვა სამეტყველო ტრაფარეტების ჩარჩოებში მოაქცია. არაფერია ალბათ ამაზე უფრო მეტად სულიერი უმწეობის მაუწყებელი: ჩვენული, განუმეორებელი გრძნობის და აზრის გამოთქმა გვსურს და უანგმოდებული სიტყვებით**

რახარუხსალა ვახერხებთ. და, აი, აქ უნდა იჩინოს თავი მწერლობის მადლმა, რომ მკვდარი სიტყვა გაგვიცოცხლოს, გამომშრალი სული გაგვინედლოს და ცინცხალ აზრს ტრაფარეტის ხუნდები აჰყაროს“.

ეს ზოგადი პოზიციიაა მეცნიერისა, შეგონება... აი, ეს კი უკვე მოწოდებაა:

„არადა ბაჯალლო ოქროდ არის დაუნჯებული საქართველოს კუთხე-კუნჭულებში ნედლი, მუხლადი, მზით ნათესი ქართული სიტყვა, ჯერაც გაუხუნარი და ჭკნობას გადარჩენილი... სხარტი ხატოვანება, აზრობრივად ტევადი და გარეგნულად ლალი გამოხატვა სათქმელისა – აი, რა უნდა დაისესხოს მწერლობამ ცოცხალი მეტყველებიდან“... სწორედ ამ მსჯელობის ჭეშმარიტების დასტურად მეცნიერს კონკრეტული მაგალითები მოჰყავს:

„აი, ეს: **„გული დამიცოტავდა“**, **„მარაგიანი ღამე“**, **„გაუბზარავი სიჩუმე“**, **„ძილი გაიხშირა“** და სხვა მრავალი“... „რომელი მწერლის სათქმელს არ დაამშვენებდა ეს გამოთქმებიო“... ამ ღირსსაცნობი მსჯელობის (შეგონებისა თუ მოწოდების) არგუმენტად მოყვანილი მაგალითები **თამაზ ხმალასის** ნიგნიდან არის, „ორნი ღუმელთან“ რომ ჰქვია... უკვე ვთქვით, წერილის სათაურია **„სიტყვის მადლი“**...

დიახ, მეცნიერის აზრით, მწერალი, რომელმაც იცის სიტყვის მაღლი, **თამაზ ხმალაძე...**

თამაზ ხმალაძის შემოქმედებითმა ცხოვრებამ ჩემ თვალწინ ჩაიარა; კარგად ვიცნობ მწერალსაც და მის შემოქმედებასაც... გულწრფელად ვეთანხმები ბესიკ ჯორბენაძის შეფასებას... ამიტომ, როცა პროზაიკოსის აზრი დამჭირდა, თამაზს მივაკითხე...

ჩვენს მკითხველს კი შევახსენებ: რამდენიმე ათეული წელია, იმ პრობლემის ირგვლივ ვტრიალებ, „ენა და მწერალი“ რომ ჰქვია; ამ თემაზე ფიქრმა, სხვადასხვა მწერლის ენობრივ სამყაროში ხეტიალმა უამრავი კითხვა გააჩინა; პასუხისათვის მეგობარ მწერლებს მივმართე; ასე გაჩნდა დიალოგების სერია... პროექტში ჩავრთე კრიტიკოსი ლევან ბრეგაძე, მთარგმნელი პაატა ჩხეიძე, პოეტი დავით შემოქმედელი... და პროზაიკოსი თამაზ ხმალაძე... კონკრეტულ თემაზე გულწრფელი საუბრისათვის ეს ოთხეული შევარჩიე. მედიალოგეთა პროფესიონალიზმზე და გულწრფელობაზე კომენტარი არ მიმაჩნია საჭიროდ (დამეთანხმება მკითხველი...).

თამაზ ხმალაძესთან დიალოგი ამ სერიის ნაწილია...



**ა. ბ.** – თამაზ, ჩვენ საუნივერსიტეტო განათლებით ენათმეცნიერები ვართ. დედაუნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე ვსწავლობდით ერთად (ნახევარი საუკუნის წინათ!); მთელი ჩვენი შეგნებული ცხოვრება ქართულ ენას ვემსახურებით – შენ შენი მწერლობით, მე – ჩემი ენათმეცნიერობით... ბევრი გვიფიქრია დედაენაზე... თვალს ადევნებ, ცხადია, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ ამ თემაზე („ენა და მწერალი“) გამართულ დიალოგებს... ამიტომ შენ მოგაკითხე არა „მეგობარ თამაზ ხმალაძეს“, არამედ „სიტყვის მადლის მცოდნე“ პროზაიკოსს... ამ საკითხებზე შენი აზრიც მაინტერესებს.

**თამაზ ხმალაძე** – ცხადია, ვიცნობ შენს კვლევებსაც და თვალს ვადევნებ ამ დისკუსიასაც... ამიტომ ჩემთვის ორმაგად სასიამოვნოა ამ საქმეში ჩართვა...

**ა. ბ.** – სანამ ამ დათქმულ თემატურ საუბარს შევედგებოდეთ, ვუთხრათ „სამადლობელი“ დედაუნივერსიტეტს... 90-იან წლებში რადიო-დიალოგები გვქონდა შენს საავტორო გადაცემაში („ენაჲ შემკული და კურთხეული“). ერთი თემა ასეთი იყო: „XX საუკუნე და ქართული უნივერსიტეტი“.

მაშინ ვთქვით: ჩვენ გვაქვს ისეთი ძეგლები, რომლებითაც საუკუნე იწონებს თავს უწინარესად: XI საუკუნე და სვეტიცხოველი, XII საუკუნე და გელათი... და ამ რიგში უნდა ჩავაყენოთ XX საუკუნე და ქართული უნივერსიტეტი... ახლაც, XXI საუკუნის მესამე ათწლეულში, ხომ არ შეგცვლია აზრი? გიფიქრია, რა იქნებოდა ჩვენი ცხოვრება დედაუნივერსიტეტის გარეშე?

**თ. ს.** – მიფიქრია რას ჰქვია... ამ მხრივ, ვგონებ, ვერც შენა და ვერც მე წლებმა აზრი ვერ შეგვაცვლევინა. განუზომელია დედაუნივერსიტეტის როლი მეოცე საუკუნის საქართველოს განათლებისა და კულტურის ისტორიაში. მას ჩემი ქება და ხოტბა ბევრს ვერაფერს შესძენს... აი, რაც შემეხება მე: თუკი რამე არის ჩემში, ალბათ ნახევარი მაინც მისი მადლია... საერთოდ, მადლიანია უნივერსიტეტი, შეიძლება ვცოდავ, მაგრამ მის წინაშე პირჯვარს უნდა ვინერდეთ. ის ტაძარია და ტაძრის სიწმინდეს, იქ როდის რომელი და როგორი მღვდელი სწირავს, იმის მიხედვით არ უნდა ვაფასებდეთ...

**ა. ა.** – ეს ჩვენი საერთო პოზიციია და ესეც: მჯერა, რომ დედაენისადმი სიყვარული მან განამტკიცა ჩვენში; ქართული ენისადმი ფაქიზი და თამამი

დამოკიდებულების უფლებაც უნივერსიტეტმა მოგვცა... დედაენის ყოველ კუთხე-კუნჭულში მისასვლელი ბილიკებიც მან გაგვიკვალა... ამ გზა-ბილიკებზე როგორი მეგზურები მოგვიჩინა?!... ამიტომაც, როცა ამგვარ თემებზე ვაპირებ საუბარს, შემწებას დედაუნივერსიტეტს შევსთხოვ...

**თ.ბ.** – გეთანხმები. უნივერსიტეტის როლი სხვაგვარად ვერ შეფასდება...

**მ.მ.** – ერთს დავაკონკრეტებ: XX საუკუნეში ქართული სალიტერატურო ენის განვითარება სწორ გზაზე უნივერსიტეტის დაარსებამ დააყენა. და კვლავაც უნდა უწინამძღვროს დედაენას „თეთრ-მა ტაძარმა“... ასე რომ, თუკი შევბედეთ ამგვარ თემებს, ეს უნივერსიტეტის მაღლია... რაღაც სურვილი გამიჩნდა, დიალოგი ამ სამადლობელით დაგვეწყო...

**თ.ბ.** – როცა „შევხვდები“ დედაუნივერსიტეტს, არ შეიძლება გონებაში არ გაიელვოს:

„როგორ ბრძანდებით, თეთრო ბატონო,  
ჩემო მეუფევე, როგორ ბრძანდებით;  
ისევ ქართული რჯულით გვართმობ,  
თუ უღელ-მეღელთ უძიძავდები?  
ხომ არ დაგიშრა ძუძუ რძიანი  
და აგიხავდა ნუკრი მშიერი?...“

(ჩვენი ლაშა გახარია)...

დავუბრუნდეთ დიალოგს.

მაშ ასე, თემა „ენა და მწერალი“...

**ა.ა.** – თამაზ, ანა კალანდაძე ამბობს ერთგან: „ენას პატრონი სჭირდება, ბატონი რომ არ გაუჩნდესო“; რას იტყვით ამის თაობაზე – ქართული ენის დღევანდელი „პატრონის“ შესახებ?

**თ.ბ.** – ბატონი და პატრონო, არა? ქართულ ენას რომ დღეს თავისი საკადრისი პატრონი არა ჰყავს, ნათელი და კანთიელია. როცა ყველამ უგანა, როცა თავისი დასვრილი ენა ყველამ მშობლიურ ენას შეახოცა, მისი მოსარჩლე და პატრონი (როგორც ადრე ხდებოდა) ქართული მწერლობა უნდა ყოფილიყო. **მიხეილ ჯავახიშვილის** აზრი შეგვახსენეს მწერლებს ამასწინათ: „დედაენის პატრონობის საქმეში პირველი მეთაური ქართველი მწერალი უნდა იყოსო“; (რა თქმა უნდა, ჟურნალისტიკაც მწერლობის დარგი გახლავთ; კარგი ჟურნალისტი კარგი მწერალია; ამიტომ თავისი წილი პასუხისმგებლობა ჟურნალისტებსაც აკისრიათ), მაგრამ ბოლოს მახვილი ყველაზე ღრმად დედაენას მწერლობამ ჩასცა... ძალიან ვერიდებოდი ამის თქმას, მაგრამ უთქმელობაც რომ აღარ შეიძლება?!

ქართული ენის პატრონზე ოცნებაც კი კარგა ხნის

წინ ჩაიფერებოდა. „ერთი შორი ოცნება მახსოვს ძველ მოტივიდან“ (გალაკტიონი)... ღღეს უკვე ბატონი გაგვხდომია სანატრელი. ნეტავი ერთი კარგი ბატონი გამოჩნდებოდეს საიდანმე (მწარედ ვხუმრობ, რა თქმა უნდა)... ბატონს, ჩემო გოგო, გარდა იმისა, რომ ბატონობდა, გარკვეული მოვალეობაც ეკისრებოდა...

- ა. ბ.** – უპატრონო ქვეყანაში ბატონი პატრონიც იყო, ასე გავიგოთ?...
- თ. ხ.** – დიახ, მაგრამ ნურც ეგეთებს დავიფიქსებთ, ლამის სიამაყით რომ აცხადებდნენ: „უბატონოდ ხმას ვერავინ გამცემსო!“ – ბატონი ეიმედებოდათ... საქმე ძალიან შორიდან არის დასაწყები...
- ა. ბ.** – საკმაოდ მძიმე რეალობაა... „ძალიან ვერიდებოდი ამის თქმას“, ამბობ, მაგრამ კლასიკოსი რომ მოგვინოდებს? – „ბრძოლას და პოლემიკას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა ჩვენ პრინციპული უთანხმოება გვამოძრავებს. კულისებში ბრძოლის მაგივრად, შეუფარავად, დასაბუთებულად უნდა ვუთხრათ ერთიერთს სიმართლეს, გულდაგულ და ისე ვაჟაკურად, როგორც ჩვენს დიდ წინაპრებს – ილიას, ვაჟას და გრიგოლ ორბელიანს სჩვეოდათ ეს!“ – ასე კონსტანტინე გამსახურდია გვაგულიანებს და ეს მოვალეობაცაა

ჩვენი... აქ ჩვენ ვთანხმდებით...

– თამაზ, ამ გადასახედიდან ვისაუბროთ ქართული ენისადმი ჩვენს დამოკიდებულებაზე... ბევრი რამ მაინტერესებს; რაზეც პასუხის გაცემა მხოლოდ მწერალს შეუძლია... შენთან მოვიკლავ ამ სურვილს...

**ა. ბ.** – დავინტერესებულვარ მწერლისა და მისი პერსონაჟების ურთიერთობით. გახსოვს, ილია ჭავჭავაძის საუბარი ლუარსაბთან „კაცია-ადამიანის“ ვარიანტებიდან? ცხადია, გახსოვს... როგორ ეურჩება პერსონაჟი მწერალს, როგორ უძალიანდება... მწერალი თავისას გაიტანს... მიხეილ ჭავჭავიძისავე ათექრებს თავისი პერსონაჟებისადმი დამოკიდებულება (მოდინ და გასამართლებას მიპირებენო)... ემზადება მათთან შესახვედრად და თავის დასაცავად...

კითხვა: – შენი გმირები ეგუებიან თავიანთ ბედს შენს მოთხოვნებში? ხომ არ გქონია კონფლიქტი მათთან?

**თ. ბ.** – მიხეილ ჭავჭავიძის ნაწარმოების გმირები იმდენად ცოცხალნი და რეალურნი არიან, რომ, თუ კარგად ჩაეძიებიან, მხოლოდ მწერლის მიმართ მონყობილ სასამართლო პროცესში კი

არა, შეიძლება რომელიმე არჩევნებშიც ჰქონდეთ მონაწილეობა მიღებული („მკვდარი სულე-ბი“...)... აი, ვინ არიან ნამდვილი უკვდავები!...

„ჩემებიდან“ უპირველესად ნასყიდა მახსენდება. ამ მოთხრობის („ნასყიდას ვატერლოო“) ფინალი გამთენიისას ძილ-ღვიძილში ვნახე; ვილაყა შუახანს გადაცილებული კაცი საქანელაზე იჯდა და ქანაობდა. ჯერ არ ვიცოდი, ვინ იყო და რისი გამკეთებელი. როცა ახლოს გავიცანი, მივხვდი, დალაქთან „პაექრობაში“ დამარცხდებოდა; მაგრამ დღესაც ვატყობ, ჩემგან ამას არ ელოდა და ასე რომ გავანზილვე, განაწყენებული დარჩა: დალაქთან არ უნდა ნაგევები ეხებინა ჩემთვისო. თითქოს ვცადე კიდევ შემორიგება, ამ „დანაშაულის“ გამოსყიდვა, და „რიკულებიან აივანზე“ დავწერე, მაგრამ ჩემდა უნებურად აქაც დამარცხდა!.. მესამე მოთხრობის დაწერას ვაპირებდი მასზე, მგონი მოყოლილიცა მაქვს შენთვის; სიუჟეტი უკვე გამზადებული მქონდა, სადაც ფინალში გამარჯვებას იზიჟებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, (ისე როგორც ბევრიც სხვისა) ამ მოთხრობის დაწერა ვერ მოხერხდა; არ გაუმართლა... ეგეთი ყოფილა ნასყიდას ყისმათი! ეტყობა იმის ბედისწერის წიგნში საბოლოო გამარჯვება არ ეწერა.

მანც მთლად უკმაყოფილო არ უნდა იყოს: რადიოდადგმაში ეს როლი გივი ბერიკაშვილმა ითამაშა, დაუმეგობრდა და შეიყვარა კიდევ ნასყიდა...

სხვაც შეიძლებოდა თქმულიყო; მაგალითად, ჯალალა არ უნდა იყოს უკმაყოფილო, არც გაბო... დემნაზე რა გითხრა... დანერილ მოთხრობაზე ფიქრი, რასაკვირველია, მერეც გრძელდება... თუმცა იშვიათად, რომ ენობრივად რამე ჩამე-სწორებინა. რეზო ინანიშვილი რომ იტყოდა, „როგორც მეკარნახა“ თავიდან, ისე რჩება ხოლმე... გმირების ბედზე კი ხშირად მეფიქრება, წიგნებში დაბინავებულებზეც, რა თქმა უნდა, უფრო მეტად იმათზე, მხოლოდ ფიქრებში რომ არსებობენ და ცხრა თვის ნაცვლად წლობით უწევთ ლოდინი, ზოგს კი სულაც არ უწევს დაბადება...

**ა. ა.** – პერსონაჟებს რას არქმევს მწერალი და რატომ?... ცნობილი ამბავია, დავით კლდიაშვილი ნაწარმოების გამოქვეყნებამდე პერსონაჟებს სახელ-გვარებს ხშირად უცვლიდა; მაგალითად, პირველ ვარიანტში პლატონ სამანიშვილს არჩილ სანებლიძე ჰქვია, ბეკინა სამანიშვილს – ბეჟან სანებლიძე, დარიკოს – ქრისტინა, კირილეს



– ლევანი... „ქამუშაძის გაჭირვებაში“ ოტიას დედას ერთ ვარიანტში ბარბალე ჰქვია, მეორეში – ეფემია, საბოლოოდ ეკვირინებე შეჩერდა და ასე შემდეგ... მწერლის აზრით, იმერული გამოთქმა რომ მოვიშველიო, სახელ-გვარი პერსონაჟს „შემონკეპილი“ უნდა ჰქონდეს... შენს პერსონაჟებს საინტერესო სახელები ჰქვიათ: ნასყიდა, ჯალალა, გაბო, ლალო...

კითხვა: – სახელებს შენი პერსონაჟები თავად „ირქმევენ“, თუ შენ არქმევ მათი ბუნებიდან და ხასიათიდან გამომდინარე?

**თ.ბ.** – მართლაც ბევრია ამ თემაზე სალაპარაკო, მაგრამ ჩვენი დიალოგის ფორმტი ვრცლად საუბრის საშუალებას არ მოგვცემს.

სანამ წერას დავიწყებ, გმირების უმეტესობა თავისი სახელითა და გვარით მოდის და არ მანვალეებს; მაგრამ როცა პერსონაჟს შენ მიერ დარქმეულ სახელს დაუძახებ და არ მოგხედავს, თავსაც კი არ შემოაბრუნებს, უნდა მიხვდე, რომ ნათლიად ვერ ივარგე. ამ დროს სახელის გამოცვლა აუცილებელია.

დიახ, გვარ-სახელი ტანსაცმელივით არის: როგორც სოფლის მენახირეს ქულაჯით ვერ გაუშვებ ნახირში, ასევე სახელად ანდუყათარს, ქაიხოს-

როს ან ამირინდოს ვერ დაარქმევ; ეს დამწყები პროზაიკოსისთვისაც საცნაურია. ჩემი მენახირეც ჯერ გაბობას ვერ გასცილებია, თუმცა ალბათ ნათლობის სახელი გაბრიელი ჰქვია. გემახსოვრება ბესიკ ხარანაულის პოემა „ხეიბარი თოჯინა“ (რადგან სტუდენტობისას არა მხოლოდ მოცალეობის უამს ვკითხულობდით მას), თავის გმირს რომ შეუძახებს: „ადეჟი, ალე, იქვემეხე, იალექსანდრე!“ ვერა, ვერ იალექსანდრებს ალე...

გასული საუკუნის ორმოცდაათიან-სამოციან წლებში მოსულმა მწერალთა უნიჭიერესმა თაობამ სხვა ბევრ სიახლესთან ერთად პერსონაჟთა ახალი სახელები შემოიტანეს; ამ საქმეში ძველი ქართული მწერლობა დაიხმარეს და დიდი ხნით მივიწყებული გაუცვეთელი სახელები გააცოცხლეს (თარხუჯი, ვამეხი...). თვითონ არა, მაგრამ მათმა მომდევნო თაობამ ეს სახელები უკვე ყოველდღიურ ცხოვრებაში გადმოიტანა და თავიანთ შვილებს დაარქვეს (თორნიკე, ვაჩე...)..

**ა. ა.** – თავისი სახელ-გვარის გამოცვლა თუ მოუთხოვია შენტვის პერსონაჟს?..

**თ. ბ.** –ამ თვალსაზრისით, მე, ჩემდა თავად, ყველაზე მეტად „დროის მკვლელების“ პროტაგო-

ნისტმა გამანვალა – ძველი რევოლუციელივით  
ოთხჯერ თუ ხუთჯერ გამოიცვალა სახელი. მერე,  
როცა ამ რომანის ბოლო ვარიანტს ვკითხულობ-  
დი, თითქოს სხვის ნაწარმოებში მიმეკვლიოს და  
აღმომეჩინოს, მის სავარაუდო პაპას დიმიტრი  
(დემეტრე) რომ ჰქვია და ამანაც სწორედ ამიტომ  
შეიშნოვა და დაიტოვა სახელი „დემნა“. არადა,  
წერის დროს ამაზე არ დავფიქრებულვარ.

**ა. ა.** – თამაზ, შენი ნაწარმოებების კითხვისას არ  
შეიძლება მკითხველს თვალში არ მოხვდეს ის,  
რომ პერსონაჟის სახელებსა თუ მეტსახელებს  
მკვეთრად ხალხური ელფერი დაჰკრავს. საერ-  
თოდ, ის ენობრივი სივრცე, რომელიც შენი პერ-  
სონაჟების სამყაროა, მდიდარია ამგვარი ლექ-  
სიკით...

ამ თემით განვაგრძოთ საუბარი – პიროვნება (პერ-  
სონაჟი) და სახელ-გვარი, მეტსახელი; მაგრამ...  
რალა შორს წავიდეთ, შენგან დავიწყოთ: შენ  
ორი სახელი გქვია: დოკუმენტებში – აკაკი,  
საზოგადოება უფრო იცნობს თამაზ ხმალაძეს;  
შენს პიროვნებას (თუ გვარს) თამაზი უფრო  
შეეფერება?

**თ. ბ.** – ჩემი დასაწერი არც ერთსა სჭირს რამე და  
არც მეორეს. ეს ერთი ჩვეულებრივი შემთხვევი-

თობაა (თუმცა ამბობენ: ყველა შემთხვევითობა აუცილებლობით არის გამონწვეული). როცა დავბადებულვარ, ბებო წასულა საბჭოში, საკომლო წიგნში აკაკის სახელით მას გავუტარებვარ. თამაზი ჩემს უფროს ძმას დაურქმევია. შინაც და სანათესაო-სამეგობლოში თამაზს მეძახდნენ, სკოლაში რომ შევედი (ხუთი წლისა), მაშინ გავიგე, რომ აკაკი ვყოფილვარ. მერე, სკოლის პერიოდში, როცა სიღნაღის რაიონულ გაზეთში ლექსების ბეჭდვა დავიწყე, რატომღაც ფსევდონიმი მოვინდომე და რაღა შორს წავსულიყავი, ჩემივე არაოფიციალური სახელი ავიღე.

ისე, სწორი გითხრა, ორივეს ჩემი ზედმეტი სახელი – ლაღა – მირჩევნია...

**ა.ა.** – ლაღა? რატომ?

**თ.ბ.** – ალბათ იმიტომ, რომ ისეთი მინდა ვყოფილიყავ, როგორიც სხვათა თვალში ვჩანდი და რის გამოც ეს მეტსახელი „დავიმსახურე“, მაგრამ სინამდვილეში არ თუ ვერ ვიყავი...

**ა.ა.** – იმ გარემოში, სადაც შენი გმირების უმეტესობა ცხოვრობს, მეტსახელების სისტემა სხვა კუთხეზე უკეთ არის განვითარებული. ხშირად გავუოცებვარ... თუნდაც: გახსოვს, სიღნაღელმა ქალბატონმა, ჩემი მეუღლის დეიღამ, ჩემთან რომ

გნახა, მკითხა, ეს „ქვეყნის დარღის“ შვილი არ არისო? მაშინ გავიგე, რომ მამაშენს სილნალში ამ მეტსახელით იცნობდნენ (გიორგი ხმალაძე – „ქვეყნის დარღი“)... რას იტყვი კონკრეტულად ამ მეტსახელზე და, საერთოდ ამ თემაზე. ალბათ, გიფიქრია...

- თ. ხ. – „ცოცხალ კაცს დარღს რა გამოუღევეს, ჭკვათანყოფელს დარღი უღევი აქვს“ (რ. ამაშუკელი). მაგრამ დარღიც არის და დარღიც; ზოგის გულისთქმა იმის იქით არ მიდის: წინ რომ ჯამი მიდგას, რატომ პირთამდე სავსე არ არისო. კაცად კი მაშინ ხარ საქები, როცა მოყვასის სანუხარს საკუთარზე წინ დააყენებ, ქვეყნის დარღს შენს დარღად აქცევ და იმდენს შეძლებ, რომ ეს სხვებმაც დაინახონ და დაგიფასონ („ქვეყნის დარღი“ დაგიძახონ)... ამ ზედმეტმა სახელმმა (ქვეყნის დარღი) გარკვეულწილად შემდგომში ჩემი ცხოვრების წესიც განაპირობა.
- ეს რაც შეეხება კერძო შემთხვევას. ზოგადად კი: ჩემზე კარგად მოგეხსენება, ენათმეცნიერები ზედმეტ სახელებს ძირითადად ორ ჯგუფად ყოფენ – საგნებელი და საგინებელი. დროთა განმავლობაში საგინებელი საგნებლად გადაიქცევა ხოლმე. ყოფილა შემთხვევა რომელიმე ბავშვის-

თვის მიკითხავს, ვისი ხარ-მეთქი და ისეთი სიამაყით უპასუხია: **ძალლიყბაანთიო**, ანდა **ბრანძოაანთიო**, თითქოს ბიზანტიის იმპერატორის ჩამომავალი ყოფილიყოს; რაც, რაღა დაგიმალო და, ძალიანაც მომწონებია. თანამედროვე ტერმინი რომ გამოვიყენო, საგინებელი სახელი ხშირად „საკომლო ბრენდად“ იქცევა ხოლმე...

**ა. ა.** – ალბათ ესაა: **ძალლიყბა** თუ **ბრანძო** კონკრეტულ პირს როცა მიემართებოდა, იმისთვის იყო „საგინებელი“... მერე კონკრეტულ მისამართს კარგავს და თითქოს განზოგადდება; აქ „დაიცლება“ თითქოს „გინების“ სემანტიკიდან და „საკომლო ბრენდად“ გადაიქცევა...

**თ. ბ.** – სიღნაღში ერთი კარგი პოეტი იყო – ლერი ბეგიაშვილი. მისი პაპა, ძველანაგელი გლეხი, ძალიან მდიდარი კაცი ყოფილა, ზედმეტსახელად „ბუქურაული“ რქმევია. როცა გარდაიცვალა, დიდი ქონება და სამი ვაჟი დარჩენია. მემკვიდრეობის გაყოფისას ლერის მამას უთქვამს ძმებისათვის: მე, ჩემდათავად, მამაჩემის სარჩოსაბადებლის მესამედ წილსაც თქვენ გიტოვებთ, კომლიდან კი მართო ჩვენს ზედმეტ სახელს გავიტანო. ამის შემდგომ „ბუქურაულებად“ მხოლოდ ჩემი შთამომავლობა მოიხსენიებაო.

ნათქვამიდან დასკვნა იოლი გამოსატანია: რა უღირდათ და როგორ ეძვირფასებოდათ წინაპრების ზედმეტი სახელი.

**ა. ა.** – მთელი ნოველა... თამაზ, არსებობს ასეთი ცნება: არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა... როგორც ეტყობა, პიროვნებისთვის ამგვარი მეტსახელი ის სულიერი ფასეულობაა, რომელიც ყოველგვარ მატერიალურ ღირებულებებზე მაღლა დგას... ეს ჩვენი, ქართველების, ტრადიციული გააზრება ჩანს. ერთი ეპიზოდი მახსენდება „ვეფხისტყაოსნიდან“ არამატერიალური ფასეულობის თემაზე: სამი ხატაელი ძმა ტარიელს რომ გადაეყრება და მოსალოდნელ ნადავლს რომ იყოფენ:

„მე უხუცესმან უმცროსთა კაცი დაესთხოვე  
ქენებით,  
ჩემმან შემდეგმან ტაიჭი მისი მით აქო  
სხენებით;

ამან (უმცროსზეა საუბარი – გ. გ.) მართ ოდენ  
მორევნა გვითხრა, ვუვალეთ ჩვენ ნებით“...  
თუმცა, ნუ წავალთ „სხვაგან“...

**თ. ბ.** – თავად ის ფაქტი, რომ ზედმეტ სახელს ბევრი სინონიმი აქვს (მეორე სახელი, გამოცვლილი სახელი, საალერსო სახელი, კნინობითი სახელი,

ნართაული სახელი, მეტსახელი, უკანსაყივარი, თიკუნი...), იმაზე მიანიშნებს, რომ ამათი უმრავლესობა ერთმანეთისაგან მხოლოდ სახელით კი არა, შინაარსობრივადაც განსხვავდება; ამის გააზრებაც აუცილებელია...

ზოგი მეტსახელი თუ მარტივია და გამჭვირვალე (მაგ., ჯაგარა, მუქთარა, ჯანსალა...), ზოგი, მართლაც რომ, მხატვრული სახეა. ერთ კაცს **„ეზოს ლაზათს“** ეძახდნენ. ეტყობა გარეგნობით კარგი შესახედავი იყო, მაგრამ სხვა არაფერით ექნა ღმერთს... ანდა: **„ლაფის კუკლა“**. „კუკლა“, მოგეხსენებათ, რუსული სიტყვაა და ქართულად „თოჭინა“ გვიქვია. სასაუბრო მეტყველებებში „კუკლა“ ლამაზის სინონიმად იყო ნაქცევი. ამ ზედმეტი სახელის პატრონიც „კუკლასავით“ პიროვნება კია, მაგრამ ლაფისაა, ტალახისა და, რა გინდა რომ ქნა...

ვინმესთვის ზედმეტი სახელის შერქმევა და სამუდამოდ გაყოლიება, თუნდაც საქებარი ანდა საალერსო იყოს, იოლი არ არის. მახსოვს, ტარიელ ჭანტურიას ერთი შესანიშნავი რითმა: (ნოსტელ გიას ნოსტალგია), მაგრამ არ მახსენდება, ის რომელიმე კრიტიკოსს ან ლიტერატურისმცოდნეს ეხსენებინოს, როცა კარგ რითმებს ჩამოთვ-



ლიდნენ. ჩემი მოკრძალებული აზრით, მიზეზი ის არის, რომ გონება ეწინააღმდეგება „დიდი მოურავის“ „გიად“ მოხსენიებას.

მეტსახელი ბევრ საფიქრალს აჩენს; თუნდაც ის რად ღირს, როცა მშობლებს შვილები არა რჩე-ბოდათ, ახალშობილს სხვადასხვანაირად უცნა-ურ სახელს არქმევდნენ, რომ სიკვდილისათვის გზაკვალი აებნიათ, ბავშვისთვის ვერ მიეგნო..., მაგრამ ამჯერად გვეყოფა...

**ა. ა.** – პეტრე უმიკაშვილს დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ წაუკითხავს და მწერლისთვის მიუწერია, ძალიან მომეწონა შენი მოთხრობაო, მაგრამ ენა მოიკოჭლებსო... უმიკაშვილი (ქართლელი იყო), ცხადია, იმერიზმებს გულისხმობდა. დავითი სამადლობელ ბარათს უგზავნის და თან „მოუბოდიშებს“, მეც ვგრძნობ, რომ ჩემი ენა მოიკოჭლებსო... მაგრამ მაინც ისევ ისე რჩება ყოველივე – ანუ მწერალს საჭიროდ მიაჩნდა დიალექტიზმების გამოყენება, თუმცა ამის მტკიცებას აარიდა თავი... ეს ამბავი შენმა მოთხრობამ გამახსენა, „ორი ზოლი“ რომ ჰქვია; პერსონაჟები გზადაგზა დიალექტიზმებს გაურე-ვენ (ამაიცვამ, მააშორე... შავიდა, შაინძრა... გო,

ქა...), მაგრამ არა ყველგან და ყველა შესაძლო შემთხვევაში... რას იტყვი ამის თაობაზე?

სხვათაშორის, ამასაც გავიხსენებ: ანა კალანდაძეს, როცა მსგავს თემაზე საუბრობს, „გარემოს კარნახი“ ცნება შემოაქვს...

**თ. ბ.** – ჯერ ქალბატონი ანას შემოთავაზებულ ტერმინზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა. „**გარემოს კარნახი**“ – **უზუსტესი ტერმინია**. მახსოვს: როცა ჩემი მოთხრობის „ნასყიდას ვატერლოო“ ინსცენირება და რადიოდადგმა გაკეთდა, მისი რეჟისორი რებო გამცემლიძე მთხოვდა კი არა, მეხვეწებოდა: ყველა ტექნიკურ საკითხს მე მოვაგვარებ, მივლინება გავაკეთოთ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში რამდენიმე თვით ვიცხოვროთ, ამ მოთხრობის გმირები იქ გადავასახლოთ, იქაური ხასიათები და დიალექტები მოვარგოთ; შენ დანერე, მე დავდგამ და, იმ ერთი მულტფილმისა არ იყოს, „სოფელიც აშენდება“.

მისი ოცნება ოცნებად დარჩა. მაშინ მე არც მაგისი წუთისოფელი მქონდა და ამ საქმისთვისაც ვერ ვივარგებდი. მერე რებო მოულოდნელად გარდაიცვალა და ეს ოცნებაც თან გაიყოლა... რატომ გავიხსენე? იმიტომ რომ, რებო პატიოსანი შემოქმედი იყო და იცოდა, თუ გვინდოდა, ჩვენი

საკეთებელი კეთილსინდისიერად გაგვეკეთებინა, რამდენიმე თვით იმ გარემოში უნდა გვეცხოვრა და შესაქმნელიც „გარემოს კარნახით“ შეგვექმნა.

- ა. ა.** – ისევ დავით კლდიაშვილი გავიხსენოთ: „სამანიშვილის დედინაცვალი“ რომ დაიბეჭდა, საყვედური უთქვამთ, ასე მალე რად მოაძებნინე სადედინაცვლო პლატონსო... „გადავიყვანდი ქართლში, მერე კახეთში... რა სურათი იქნებოდაო!...“ დავითის პასუხი: „არ ვიცნობ ქართლსა და კახეთს!..“ ისიც გემახსოვრება, ქიზიყში ჩამოსახლებულ ამერიკელ მხატვარზე მოთხრობა რომ დაიწერა და სალაპარაკო გახდა, არ იცნობსო კახეთს მწერალი – იგი დასავლური წარმოშობისა იყო.. მორალი ესაა: მწერალმა „გარემოს კარნახი“ რომ გაიგოს, კარგად უნდა იცნობდეს იმ კუთხეს...
- თ. ხ.** – მაგრამ, ვფიქრობ, დიალექტის საჭირო დოზით გამოყენება მხოლოდ „გარემოს კარნახით“ ვერ აიხსნება (თუმცა ესეც არის, რა თქმა უნდა). ცნობილია, მეტყველება პიროვნების მახასიათებელია; მეტყველება ერთგვარი მხატვრული ხერხია პერსონაჟის ძერწვისა. იმ მოთხრობაში („ორი ზოლი“) ორი თაობა – ბებიებისა და

შვილიშვილებისა – საუბრობს; ერთი უქცევს დიალექტზე, რომელიც გაქრობის პირასაა და მეორე – სალიტერატუროზე საუბრობს და ერთ-მანეთის მეტყველება არცერთს არ ეჩოთირება, რადგან ეს ასეც უნდა იყოს...

მე არა ვარ მომხრე პროზაულ ტექსტებში დიალექტიზმების ჭარბად გამოყენებისა (არ უნდა იყვიროს, არ უნდა მოგჭრას თვალი)... მაგრამ ამგვარ შემთხვევაში არც უმაგისობა ივარგებდა... ძალიან მანუხებს დალექტის გაქრობის ტენდენცია – უდიალექტებოდ რა იქნება სალიტერატურო ენის ყოფნა... ვაი რომ, ეს საკითხიც დადგება; ეგ უამი მოახლოებული მგონია... წავიდნენ ჩემს ბავშვობაში მცხოვრები ადამიანები და ის დიალექტიც თან გაიყოლეს, რომელზეც საუბრობდნენ... თითქოს გუშინ იყო, ანბანს რომ ვსწავლობდი: ოცდაცამეტ ასო-ბგერას ჩამოვთვლიდი და ბებო მისწორებდა: აკლებო და თვითონ კიდევ ხუთს ამატებდა. განსაკუთრებით მაღიზიანებდა მისეული ანბანის დასასრული: ...ჰაე, ჰოე. ეს ჰოე რაღა ოხრობაა-მეთქი, ვბრაზობდი...

ვთქვარო ქიზიყში ბევრი აღარ დავრჩით ისეთები, ვისაც თავისუფლად შეუძლია ბგერა ჯარის წარ-

მოთქმა და ამ იუმორისტული ფრაზის სწორად გამეორება: „წიი, წარო, ჯეჟი ბალაჯ რა უნდა, შე ოჯერო!“ ასევე გაქრა, აღარავინ აღარ ხმარობს მესამე ობიექტური პირის მრავლობითობის მანარმოებლად -კე ბოლოსართს; გაქრა (მხოლოდ ანდაბებსლა შემორჩა) ძალიან საჭირო და ტევადი მწკრივი ძველი ხოლმეობითისა...

და ეს ყველაფერი ჩემ თვალწინ ხდებოდა და ხდება; ვგრძნობ, რომ რაღაც მნიშვნელოვანს ვკარგავთ...

ისე, არა გგონია, გოგი, რომ ზოგი დიალექტი ძველ სალიტერატურო ენასთან უფრო ახლოს არის, ვიდრე ახალთან? თითქოს დიალექტი უფრო უფროთხილდება ძველს, ერიდება მისი ნორმების შეცვლას...

**მ. მ.** – დიალექტების პერსპექტივა ძალიან მტკივნეული და რთული თემაა; მგონია, მწერალს განსაკუთრებული როლი აკისრია დიალექტის შენახვა-გადარჩენაში... ნუ გავყვებით ამჯერად ამ გზას... თუმცა ისევ დიალექტის თემაზე:

ნაირა გელაშვილი წერს ოთარ ჩხეიძის შესახებ: „ზოგჯერ მიჩნდება სურვილი, ერთგული გადამწერივით გადმოვწერო მთელი მოთხრობა; რო-

ცა მწყურდება მხოლოდ სიჩუმე და მთხრობელი-სათვის ასე გარინდებით ყურის მიგდება“... ესეც გემახსოვრება: რეზო ინანიშვილი წერს: „გადაშლილი მაქვს ეგნატე ნინოშვილის ათას ცხრაას ოცდათხუთმეტ წელს გამოცემული თხზულებათა სრული კრებულის უკვე გაყვითლებული მესამე ტომი და სიტყვა-სიტყვით ვინერ ესმა თოთიბაძის მოგონებას. ჩვენი ღროისთვის ამ უცნაურ საქციელს ექნება თავისი მიზეზი“... რეზო ინანიშვილს მთელი „წყება“ აქვს მიზეზთა, მაგრამ მე სხვა კუთხით ვუყურებ ამ თემას – **დიალექტური სტილისტიკის** საკითხი მაფიქრებს... თუართო თემას; მოდი, **ამყვეი ამგვარ „ექსპერიმენტში“**: ვცადოთ ნოდარ დუმბაძის ან რეზო ჭეიშვილის მოთხრობის გადაწერა შენი „კახური ხელით“... თუ „მოგთხოვს კახური მარჯვენა“ რაიმეს შეცვლას...

**თ. ბ.** – სხვა მწერლის ნაწარმოების გადაწერა... ეგ სხვებისაგანაც გამიგონია. რალა შორს წავიდეთ, დავიჯერო, ჩვენს ავთო გაფრინდაშვილს შენთვის არ უთქვამს: როცა ჩემსას ვერა ვწერ, კონსტანტინე გამსახურდიას რომელიმე წიგნს ავიღებ და იქიდან მთელ გვერდებს გადაწერ ხოლმეო... გადაწერის სურვილი ბევრმა რაიმემ

შეიძლება გააჩინოს, მაგალითად, მუზის მოხმობაში „დაეხმაროს“, ინსპირაციად იქცეს...

მთავაზობ: ვცადოთ ნ. ღუმბაძის ან რ. ჭეიშვილის მოთხრობის გადაწერაო; არა, მოდი ნუ ვცდით, ვერცერთს ვერ შევკადრებ რამის შეცვლას, საამისოდ „კახური მარჯვენა“ არ მომიბრუნდება...

**ა. ბ.** – სამწუხაროდ, ამჯერად „ექსერიმენტი ვერ შედგა“... დიალექტური სტილისტიკა მოითმენს...

**ა. ბ.** – თამაზ, მე ჩემდათავად მიფიქრია ამის შესახებაც: ჩემში ენისადმი ინტერესის აღძვრასა თუ განვითარებას ვინ შეუწყო ხელი-მეთქი. ალბათ შენც გიფიქრია. ეს, ცხადია, არ ხდება მას შემდეგ, რაც სამწერლო გზას დაადექი; მჯერა, რომ მწერლობამდეც ამ ინტერესმა მიგიყვანა... ერთი ასეთი ფაქტი მაგონდება ჩვენი სტუდენტური ცხოვრებიდან: პირველკურსელებს სემინარი უნდა გვექონოდა „ბიბლიის“ თემაზე ნეტარხსენებულ რეზო სირაძესთან (დიდებულ პიროვნებასთან); საგანგებოდ ვემზადებოდით; ჩვენს საუბარს დედაშენი ისმენდა. ახლაც მახსოვს ზოგი რამ, მისგან განმარტებული და ახსნილი... შეგიძლია გაავრცელო ეს თემა?

**თ. ხ.** – სიამოვნებით გავავრცელებ, მაღლობელიცა

ვარ, ამის საშუალება რომ მომეცე. დედაჩემს დედა ცხრა წლისას გარდაეცვალა, მამა – თორმეტისას. ჩვიდმეტისა მამაჩემზე დაქორწინებულა. ობლისათვის მზითევში „ვეფხისტყაოსანი“ ვერ გამოუტანებიათ, მაგრამ „სახარება“ კი მოუყოლებია თან (ახალგაზრდობაში უსვინდისოდ ვხუმრობდი: მაშინ ისეთი დრო იყო, შეიძლება იგი მისმა პატრონმა თავიდან მოიშორა-მეთქი). კონსტანტინე გამსახურდიას ერთი გმირი ამბობს: დაანებეთ წერას თავი, რაც სათქმელი და დასაწერი იყო, ბიბლიასა და ვეფხისტყაოსანში უკვე დაიწერაო. ჰოდა, დედაჩემსაც, „რაც წასაკითხი“ იყო, წაკითხულიცა ჰქონდა და კარგადაც ერკვეოდა (მისეული სხვაც ბევრი წიგნი შემოგვრჩა აქამდე).

პროფესორი ლეილა შალვაშვილი, ცნობილი ენათმეცნიერი, შენც კარგად გახსოვს, ჩვენი ახლო ნათესავი იყო. ჩემს ბავშვობაში საათობით უჯდა დედაჩემს და მის ნაუბარს იწერდა. თავიდან ეს მაღიზიანებდა, დედაჩემის ნათქვამ შეცდომებს ინუსხავს-მეთქი. მაგრამ მერე ამ საქმიანობამ მეც გამიტაცა და ჩემი ლექსიკონის შედგენა დავიწყე. ეხლაც ბევრი იმდროინდელი სიტყვა შემომრჩა ჩაწერილი, რომელსაც ვერცერთ და ვერანაირ



ლექსიკონში ვერ იპოვი, თუმცა საჭირო და საინტერესო კი მგონია.

ვნანობ, რომ დედაჩემისგან ის სიმდიდრე სრულად ვერ ავითვისე. თუნდაც შინაარსობრივადაც და დიალექტოლოგიური თვალსაზრისითაც საინტერესო ის ხალხური პოემები, რომლებიც დედაჩემმა ზეპირად იცოდა და ჩემს მეხსიერებას მხოლოდ რამდენიმე სტროფი შემორჩა.

თუმცა რას ვიზამთ, იმევეყნად ძალიან ცოტა წასულა ისე, რომ მთელი სულიერი სიმდიდრე აქ დაეტოვებინოს...

**მ. მ.** – თამაზ, ქართული სიტყვისადმი, სიტყვიერებისადმი შენი დამოკიდებულება გამორჩეული მგონია.... განსაკუთრებით ლექსიკური სიმდიდრე მიზიდავს შენი... საუბრის დასაწყისში მოხმობილ აზრს მეცნიერისას ჭაბუა ამირეჯიბის შეფასებით შევამაგრებ: „ბატონ თამაზ ხმალაძეს – მშვენიერ მწერალს, ბრწყინვალე მამულიშვილსა და ქართული სიტყვიერების ხმალამოღებულ რაინდს“... – ეს ავტორისეული ავტოგრაფია შვიდტომეულზე... ორი მონმე საკმარისია – მეცნიერი და მწერალი... „სიტყვაზე“ მინდა ვისაუბრო... კითხვა: კონსტანტინე გამსახურდია წერს – „სიტყვე-

ბი ჩვენი ლაშქარია; გააჩნია, ვის როგორი ომის გადახდა დაგვჭირდებაო“... როგორია „სიტყვა-თა ლაშქართან“ „სარდლის“ (მწერალ თამაზ ხმა-ლაძის) დამოკიდებულება; ხომ არ ჭირს „ომში“ ურთიერთვაგება?

**თ. ბ.** – თუ მწერლობას „ომად“ მივიჩნევთ, რა თქმა უნდა, ჭირს, ისე როგორც ყველა ომში; მაგრამ ეს პროცესი მე უფრო „ქმნალობა“ მგონია და თავის დროზე მშვენიერი ტერმინიც მოუნახავთ: „შემოქმედება“. ადამიანი ღმერთს „ხატად თვისად“ გაუჩენია და რადგან უფალი ყველაზე დიდი შემოქმედია, ყოველ ადამიანს გვევალება მეტნაკლებად შემოქმედები ვიყოთ ჩვენ-ჩვენს პროტესტში – ხარატი იქნება თუ აგროტექნიკოსი, მხატვარი თუ მებაღე-დეკორატორი, მუსიკოსი თუ ქვითხურო...

ამ ქვითხურომ გამახსენა: ჩვენც მშენებლები ვართ, ვაგებთ ქვითკირის შენობებს, ზოგნი – მცირეს და ზოგნიც – დიდრონებს. ჩვენი ქვა და აგური სიტყვებია. საშენი მასალის არსი რაც არ უნდა კარგად იცოდე, საკმარისი არ არის. იმისი ცოდნა არანაკლებ აუცილებელია, შენებისას რომელი ქვა რომლის გვერდით დადო, როგორ დადო და რა დუღაბი იხმარო მათ შესაკავშირებლად.

რაც უნდა საუკეთესო აგური დაყარო ერთად, ეს მხოლოდ აგურის გროვა იქნება და სხვა არაფერი... ამიტომ წერის ღროს გასათვალისწინებელია სიტყვის არა მხოლოდ შინაარსობრივი მნიშვნელობა, არამედ მისი ადგილი წინადადებაში სხვა სიტყვების გვერდით. დავით წერედიანი ერთ თავის მრავალმხრივ საინტერესო ესეში წერს: „ყველა სიტყვას თავისი შეგრძნება ახლავს, მაგრამ სხვა სიტყვასთან მეზობლობა ძირითადი შეგრძნების კორექციას ახდენს, აძლიერებს, ასუსტებს, ნებისმიერი მხრისაკენ წარმართავს. „სასტიკი ქარი“ სულ სხვა ემოციური ოდენობაა, ვიდრე „ნელი ქარი“ ანდა „სურნელის ქარი“, თუმცა ქარის ცნება ყველა შემთხვევაში ერთი და იგივეა. უსათუოდ არსებობს რომელიმე სიტყვა, ჯერ რომ ქარის გვერდით არასოდეს დასმულა, მოულოდნელი შესატყვისი, რომელიც ოდესმე მშვენიერ პოეტურ სახედ შეიძლება იქცეს.“

მწერლის ერთ-ერთი მიზანიც სწორედ ამ სიტყვის ძებნა-ძიება უნდა იყოს.

**ა. ბ.** – მაჰატიე, თამაზ... „სიტყვის ადგილმა წინადადებაში სხვა სიტყვების გვერდით“ ერთი პასაჟი გამახსენა ოთარ ჩხეიძის „ბორიაციდან“:

მოგზაური რუს წააწყდება და მწერალი სამსიტყვიან წინადადებას სამჯერ იმეორებს სიტყვათა სხვადასხვა განლაგებით: „რუში კაცი ეგლო... კაცი ეგლო რუში... ეგლო რუში კაცი“... სიტყვათა განლაგების ცვლით და წინადადების განმეორებით მწერალი ეფექტს ქმნის: მოგზაური გაკვირვებული გარს უვლის ნანახს და ათვალიერებს... ვფიქრობ, ამ ორი, უაღრესად საინტერესო მწერლის ხედვა წინადადებაში სიტყვის ადგილის შესახებ ავსებს ერთმანეთს... მაპატიე... გისმენ, თამაზ.

**თ. ბ.** – გოგი, შენ ჩემგან არ გესწავლება, ენის ღრმა ცოდნა მხოლოდ გრამატიკის კარგი ცოდნით არ შემოიფარგლება, თუმცა უცილობელია. ენა ერთიანად უნდა გიყვარდეს, მისით ცოცხლობდე, ენაში უნდა ცხოვრობდე, ენა უნდა გეცვას და გეხუროს; ენას უნდა სჭამდე და სვამდე და ენა უნდა გყავდეს ბატონად, თუ გინდა რომ ის დაიმორჩილო...

სხვა რა გითხრა, ამ საკითხზე საუბრით არ დავიღლები, მაგრამ დანარჩენი სხვა ღროს იყოს. ერთს დავამატებ მხოლოდ: ენის სიღრმეებთან მიახლოებამ უფალთან მიმახლოვა, ღვთის არსებობის რწმენა განმამტკიცა.

პო, რაც შეეხება ბატონი ჭაბუას სიტყვებს: დიდ მწერლებს უმცროსი (არა მხოლოდ ასაკით) კოლეგებისადმი გულუხვი შეფასებები არ ენანებათ...

**ა. ბ.** – თამაზ, საინტერესო რაღაც თქვი: პროფესიონალი რაც უფრო ღრმად შედის თავისი საქმიანობის სფეროში, მითუფრო უახლოვდება უფალს. დიდ ფიზიოლოგს, პავლოვს, უთქვამს: სისხლის შემადგენლობას რომ გავეცანი, მერე ვინამეო ღმერთი...

ისევ ლექსიკას დავუბრუნდეთ.

– შენი წიგნების კითხვისას სურვილი გამიჩნდა, ჩემთვის (მოგეხსენება, იმერელი ვარ) „უცხო“ ან „უჩვეულო“ სიტყვა-ფორმა ამომეწერა და განმარტება შენთვის მეთხოვა; საინტერესო სიტყვანი (ლექსიკონი) გამოვა... აქ ძალიან კარგად გამოჩნდება ხალხური მტყველების სიმდიდრე – უდიდესი საგანძური სალიტერატურო ენისა. (ისე, გამოვტყდები და ეს სურვილი დღესაც ცოცხალია...)

**თ. ბ.** – იდეა ასეთი ლექსიკონის შექმნისა ძალზე საინტერესოა. ოცნებაში უფრო შორსაც შეიძლება წავიდეს კაცი: არის ხალხში გაბნეული სიტყვები, რომლებსაც ათიოდე მწერალი თუ ხმარობს. ყველას რომ ცალ-ცალკე განემარტა ეს სიტყვები,

ნეტავი როგორ ახსნიდნენ, რა შინაარსს ჩაღებდნენ მასში, ნიუანსობრივად რა განსხვავება იქნებოდა მათ შორის? მერე ამათი ერთად შეკვრა და გამოცემა... ამას იმიტომ ვამბობ, რომ მქონია შემთხვევა, სიტყვაში მე სხვა შინაარსი დამიჭერია, ლექსიკონში კი (თუნდაც ქიზიყურ ლექსიკონში) სხვანაირად ყოფილა ახსნილი...

ახლა ისიც ვთქვათ, როცა შენ მიერ ნახსენებ წერილში ბ. ჯორბენაძე ჩემი მოთხრობებიდან სიტყვებსა თუ ფრაზებს გამოარჩევს, რა დაგიმალოთ და, ერთი თალია მეგონა, სხვაზე საუბრობდა; მისგან გამორჩეული სიტყვები მეც ძალიან მომეწონა; ჩემები თუ იყო, აღარც კი მახსოვდა... დავით კლდიაშვილი მომაგონდა: სერგო კლდიაშვილმა ჰკითხა ერთ გამოთქმაზე, „მამა, ეს გაიგონე და ჩაინერეო, თუ?“ დავითი გაუწყრა: „არც გამიგონია და არც ჩამინერიაო. არც კი ვიცოდი, ასეთი რამ თუ მეწერა; მე მაშინ გავიგე ასეთი ფრაზა რომ მქონდა, კიტა აბაშიძემ რომ აღნიშნა თავის წერილშიო“ ... როგორც ყოველთვის, დავით კლდიაშვილი აქაც მართალია...

**ა. ბ.** – ეს კითხვაც დიდი ხანია მაფიქრებს: ფაქტია, ლექსი და სიმღერა განუყრელადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. შეიმჩნევა ასეთი კანონზომიერება: ქართულ სინამდვილეში იქ, სადაც მაღალია პოეტური კულტურა, შედარებით დაბალია მუსიკალური კულტურა და პირიქით. მაგ., ფშავ-ხევსურული პოეზია უმაღლესი ხელოვნებაა, ამ კუთხის მუსიკალური კულტურა გაცილებით დაბალია; სამაგიეროდ, გურიაში უმაღლესი მუსიკალური კულტურაა, ხალხური პოეზია კი მასთან შედარებით – უფერული... ამ ფაქტის ახსნა შესაძლებელია?

**თ. ბ.** – ასე რომ ვთქვათ, მაგალითად, დაგვიჯერებენ? – ენათა ზებუნებრივი შემოქმედი ქართული ენის დიალექტებად დაყოფისას ალბათ ექსპერიმენტს აკვირდებოდა: ერთი დიალექტი სასიმღეროდ შექმნა – ამ კუთხის მცხოვრებნი არა მხოლოდ შესანიშნავად მღერიან, ჩვეულებრივი საუბრისასაც კი წამღერებით საუბრობენ, თითქოს გალობენ... მეორენი ლექსებით ატყობინებენ ერთმანეთს თავიანთ სათქმელს. ქიზიყური კი თხრობის კულტურით გამოირჩევა – თავისი მხატვრობით, ხატოვანი სიტყვა-თქმებით, ორიგინალური შედარებებითა და ეპითეტებით;

მდიდარი ლექსიკით, შეკრული ფრაზებით...

სალიტერატურო ენას მწერლობა ხვეწს; აი, ეს დიალექტი კი რამ დახვეწა, ძნელია ამის გააზრება; ვითომ ხალხურმა შემოქმედებამ (თქმულებებმა, ზღაპრებმა)?.. ეს ჩემზე ბევრად ადრე შეუმჩნევიათ ჩემზე უფრო ჭკვიან ადამიანებს. მეფე არჩილი თავის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ თეიმურაზს ასეთ საყვედურს ათქმევინებს რუსთველისადმი: „ღაზოდა სთქვი, შემოიღე ჯავახური ენა მიძიმე, ქისიყურად პასუხს მოგცემ, ამიხვიდე შენ ვინძი მე!“ ქიზიყური დახვეწილი ენით მოგახსენებო, ეს შემთხვევითი ნათქვამი არ არის – ქართლელი უფლისწული არჩილი თორმეტ წელს მეფობდა კახეთში, შემდეგ სამ წელიწადს იჯდა იმერეთის მეფის ტახტზე და მის მერე დვალეთში წერს ამ პოემას. ქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, ქართული დიალექტები ცუდად არ ეცოდინებოდა...

ეჰ, მანუხებს, მენანება გაქრობა დიალექტისა...

**ა. ბ.** – თამაზ, ცხადია, სიყმაწვილეში ფიქრობდი მწერლობაზე. ასეთ შემთხვევაში ყმაწვილკაცები ჩვეულებრივ საუნივერსიტეტო განათლებას ლიტერატურათმცოდნეობის ან ჟურნალისტიკის



სპეციალობით ირჩევენ. შენ ენათმეცნიერული მიმართულება ირჩიე – კავკასიურ ენათა განყოფილება დავამთავრეთ. როგორ ახსნი ამ ფაქტს?

**თ.ბ.** – სამწუხაროდ, ჩვენს სურვილებს ცხოვრება ნაკლებად უწევს ანგარიშს, სანადღის ასრულება მხოლოდ ჩვენზე არ არის დამოკიდებული. უამრავი თითქოს ეთმანეთთან დაუკავშირებელი მოვლენა ერთდროულად მოქმედებს ჩვენს მომავალზე და დასახულ გეზსა თუ მიმართულებას გვაცვლევინებს. ეს მოვლენები, გაგიკვირდება და, ყოველნაირად მაბრკოლებდა და მიშლიდა ხელს განათლების მიღებაში, ანდა ეგებ არ ვემეტებოდი და ცოდვისაგან მიფარავდა, მიფრთხილდებოდა... წვრილმანებზე არ შევჩერდები, რადგან, ნახავ, მსხვილმანებიც მეტისმეტი ბევრი მოგეჩვენება.

**ბ.ბ.** – საინტერესოა, ბევრი რამ პირველად მესმის, მაგრამ... ვერ გავიგე, რატომ ამბობ: განათლებაში ხელისშემშლელ დაბრკოლებებს „ეგებ არ ვემეტებოდი და მიფარავდა, მიფრთხილდებოდა“ ... ცოდნისაგან „გიფარავდა“?

**თ.ბ.** – „ცოდნა“ და „ცოდვა“ მხოლოდ უღერადობით კი არა, შინაარსითაც ახლო მდგომი ცნებებია, ერთი ძირის სიტყვებია („ცოდ“); უცოდნელი კაცი

უცოდველი არის და ამას, შენც კარგად მოგეხსენება, ჩვენი ანდაზებიც გვიმტკიცებენ: „ბევრის მცოდნე ბევრჯერ შეცდებო“; „არ ვიცი ერთია და ვიცი – ათასი“; „ვიცის დედა ტიროდა და არვიცისა – იცინოდაო“; ცოდნა სულ იოლად შეიძლება იქცეს ღვთის სასჯელად (აქ არ შეიძლება გონებაში „ხე ცნობადისა“ არ წამოტივტივდეს). დიდი ცოდნის ზიდვა მხოლოდ გამორჩეულებსა და განდობილებს შეუძლიათ...

**მ. მ.** – რა გამოდის, თამაზ: დღეს რომ აღიარებენ, ცოდნის დონე დაეცაო, სადღეისოდ განათლების სისტემა დაქვეითდაო, ეს კეთილშობილურ მიზნებს ისახავს მიზნად?! ვხუმრობ, ცხადია, საინტერესო მსჯელობაა, ოღონდ ამ მიმართულებით ნუ წავაღთ ახლა...

**თ. ნ.** – ერთ ამბავსაც გეტყვი ხალხური სიბრძნიდან: ქიზიყში ოდესღაც არსებული დიდი თქმულებებისა თუ მითების ნამსხვრევებმა ჩემს ბავშვობამდეც მოაღწია, რომლის ფიქსაცია, როგორც ვიცი, სამწუხაროდ, არავის უცდია და უკვე დაიკარგა. ერთ ასეთ ნამსხვრევს აქ გავიხსენებ, ეს მაინც გადარჩეს.

მაშინ ჯერ სკოლაში არ დავდიოდი, სოფელში ვცხოვრობდით და საქონელიცა გვყავდა; ეზოს

გარეთ, ჩვენს გასაღვეარზე, გვება ხოლმე ღორი. ზოგჯერ, როცა მშვენიერი ამინდი იდგა და ავდრისა არც მიწასა და არც ცას არაფერი ეტყობოდა, ღორი უცებ ატეხავდა ჭყვივლს, შინისაკენ ინევდა, პალოს მოგლეჯას უპირებდა. დედაჩემი დამიძახებდა და მთხოვდა: წადი, აუშვი, ცოდოა, მალე ალბათ ქარი ამოვარდებო. ღორი არასდროს ცდებოდა. გაცეხული ვეკითხებოდი დედას: რა იცის ღორმა, რანაირად იგებს, ქარი რომ იქნება-მეთქი. შვილო, ქარს წინ ეშმაკი მოუძღვის, ის აძლევს მიმართულებას, სად რა მოსპოს და წაახდინოს. ეშმაკი გაუძლისად საშინელი შესახედავია. სანამ ქარი ჩვენამდე მოაღწევს, ღორი წინ მომქროლავ ეშმაკს ხედავს და ვერ უძლებს შეხედვას, ცდილობს, სადმე შეძვრეს და დაიმალოსო. ღორი თუ ხედავს, ჩვენ რატომ ვერ ვამჩნევთ-მეთქი, მიკვირდა მე. იმიტომ რომ ღორი ღორის რძით არის გაზრდილი. ვინც გაბედავს და ღორის რძეს დალევს, ეშმაკსაც დაინახავს, ეცოდინება, როგორია, მაგრამ გაუძლებს ამ ცოდნას? არა მგონია...

მე ვერ გავბედე, გოგი, ღორის რძის დალევა...

**ა. ა.** – ერთ ხალხმრავალ სუფრასთან ქართველი მწერლები ვადღეგრძელე. ცნობილი გეოლოგი ივერი წულუკიძე შემეხმიანა, მკითხველების სადღეგრძელოც თქვი, ორიოდელა დავრჩითო... არის რაღაც სიმართლისა ამ „ტრაგიკულ“ ხუმრობაში... ხუმრობა იქით იყოს და, ნაირა გელაშვილი წერს ერთგან, **„კარგი მწერალი მეტია, ვიდრე კარგი მკითხველიო“**... რას იტყვი; როგორც მწერალი, გრძნობ მკითხველთა სიმცირეს? და საერთოდ რა შეგიძლია თქვა მათზე?

**თ. ბ.** – ის, არცთუ მრავალრიცხოვანი წრე მკითხველებისა, ვისთვისაც ვწერ და ვინც სტიმულს მაძლევს მუშაობისას, ყოველთვის ჩემთან არის; მაგრამ მკითხველად მხოლოდ ის ხომ არ იგულისხმება, დროის მოცემულ მონაკვეთში რომ წაიკითხავს ტექსტს, თანამედროვეებთან ერთად ძვირფასი გარდასულებიც გვერდით მყვანან: „რომ წაეკითხათ რას იტყოდნენ?“ და ბადიშიშვილებიც: „თუ წაიკითხავენ, რას იტყვიან?“

და ზოგადად ვინ არის მკითხველი?

არცთუ იშვიათად შევხვედრივართ ისეთ ადამიანებს, საოცარი სმენა რომ აქვთ, სულ მცირე ფაჩუნი და შრიალი არ გამოეპარებათ, მაგრამ მუსიკის აღსაქმელად მათი ყური უძლურია. ზოგჯერ ასე-

თებს სიმღერაც შეუძლიათ, ცეკვაც, მაგრამ ბეთ-  
ჰოვენის მეცხრე სიმფონია, ან თუნდაც ჯორჯ  
გერშვინის ცისფერი რატსოლიის მოსმენა ერთ  
სიმსაც ვერ შეარხევს მათ სულში. ის კი არა,  
ძალით თუ მოასმენინებ, სასჯელად მიიჩნევენ...

ისეთი ხალხიც არსებობს, ქორივით მხედველობა  
რომ აქვთ, მათ მზერას რეალობიდან არათფერი  
გამოეპარება, მაგრამ საათობით რომ უყურონ  
ფიროსმანის ან ვან გოგის ნახატებს, იმაზე მეტს  
ვერათფერს შეამჩნევენ, რაც ჩანს. მხატვარი და  
კომპოზიტორი (გნებავთ ხელოვნების სხვა  
დარგებში მომუშავენი) ასეთებს ნაკლებად  
უნევენ ანგარიშს...

ამბობენ, უილიამ შექსპირის დროს სოფლად  
მცხოვრებთა უმეტესობა (ვინც იმდროინდელი  
ინგლისის უმრავლესობას წარმოადგენდა)  
დაბადებიდან გარდაცვალებამდე მხოლოდ  
ორასიოდე სიტყვას იყენებდა, მეტი არა სჭირდე-  
ბოდაო; შექსპირს კი თავის შემოქმედებაში  
სამოცდაათათასამდე ლექსიკური ერთეული  
აქვს ნახმარი. რა ექნა მწერალს, იმასაც ორასი-  
ოდე სიტყვით დაეწერა თავისი ნაწარმოები იმის  
შიშით, რომ ყველასათვის გასაგები ვერ იქნე-  
ბოდა?

თავის დროზე ერთი ქართველი კრიტიკოსი მართებულად წერდა: „ქართულ კულტურას მეზ-ჩანობამ რამდენიმე შემმუსვრელი დარტყმა მიაცენა ჩვენს საუკუნეში (მეოცე საუკუნეში – თ. ხ.). მთელი რიგი პირველხარისხოვანი ტალანტებისა სამუდამოდ დამახინჯდა იმის გამო, რომ იოლი წარმატების ცდუნებით მოხიბლულ ხელოვანს ძალა არ ეყო, წინააღმდეგობა გაეწია მკითხველთა გარკვეულ წრეებში გაბატონებული გემოვნებისათვის“.

და მაინც, გაგიკვირდება და, საბოლოოდ იმას ვიტყვი: არცთუ ცოტაა მსოფლიო ლიტერატურაში ისეთი ბრწყინვალე ქმნილებები, რომელთა კითხვისას მკითხველთა გარკვეულ ნაწილს ვერაფერი გაუგია და ამას ნაწარმოების ნაკლად ვერ მივიჩნევთ, მაგრამ ნეტარება იმ ავტორს, ვისი შემოქმედების გაცნობისას ყველანაირი მკითხველი რაღაცა სათავისოს იპოვის და გამოიტანს. ეს უდავო ღირსებაა ნაწარმოებისა და არც ასეთებია სანთლით საძებარი მსოფლიო ლიტერატურის უმდიდრეს საგანძურში...

**ა. ა.** – თამაზ, გააკვივრებდა საუბარი... საოცრად შთამბეჭდავია კატამონთან მოსმენილი ხმა, დედაენას რომ მიმართავს პოეტი: „შენ ერთს, შენ

ვერ გთმობ სამარის პირთანო!“... და რადგანაც  
ასეა, ხშირად მოგვიწევს ამ თემაზე საუბარი  
„იქამდე“... დღეს ამით დავასრულოთ...

**თ. ხ.** – მადლობელი ვარ შენიც და ჩვენი მომავალი  
მკითხველისაც!

## ავტორი და მისი პერსონაჟები

წინა დიალოგში ბევრი რამ ვთქვით; ბევრიც დაგვრჩა უთქმელი... ეს დიალოგი წინა საუბრის გაგრძელებად ჩავვითვალეთ... არ ვფიქრობთ, რომ ამ საუბრით ამოვწურავთ სათქმელს... ამჯერად ძირითადი აქცენტები ავტორისა და პერსონაჟის ურთიერთდამოკიდებულებაზე გვინდა გავაკეთოთ...

**გიორგი გომოლაშვილი** – თამაზ, მიხეილ ჯავახიშვილს აქვს ასეთი ჩანაწერი: „ჩემი ნაწერების გმირები იკრიბებიან და მასამართლებენ: კარგი თემაა. 1924 წ.“ რა განცდაა ეს? ავტორს თავისი პერსონაჟების მიმართ რატომ უჩნდება ასეთი ფიქრი? და საერთოდ, როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება ავტორისა თავისი პერსონაჟების მიმართ და პირიქით.

**თამაზ ხმალაძე** – მოდი, თუ დასაწყისია, მართლაც დასაწყისიდან დავიწყოთ ჩვენი საუბარი: სწორუპოვარი შედეგრიდან – „შესაქმედან“ – უფლის მთავარი ნაწარმოებიდან. იქმნება სამყარო;



შემოქმედი ქმნის სამყაროს და აქ შემოდიან ერთმანეთისაგან გარეგნულადაც და დანიშნულებითაც ძირეულად განსხვავებული „პერსონაჟები“, მათ შორის ადამიანიც... – დრო და სივრცე ნულ-პუნქტიდან გამოვიდა, დაიძრა და დაიწყო ურთიერთობა ყველაზე დიდ შემოქმედსა და მისგან შექმნილ სამყაროს შორის.

- ა. ბ.** – ყველანი შემოქმედის „პერსონაჟები“ არიან?
- თ. ბ.** – ჰო, ოღონდ მივაქციოთ ყურადღება, უკვე ყველა და ყველაფერი არსებობს ადამიანის გარდა, მაგრამ აქამდე არავისზე თქმულა: ხატად თვისად შექმნაო. დიახ, დიახ, შემოქმედი თვითონ ხდება პროტოტიპი თავისი პერსონაჟისა – ადამიანისა...
- ა. ბ.** – ხომ ყველაფერია შექმნილი და რატომ ხდება საჭირო „ნაწარმოებში“ ასეთი პერსონაჟის შემოყვანა?
- თ. ბ.** – ველოდი ამ შეკითხვას. იმიტომ, რომ ადამიანის გარეშე „ნაწარმოები“ ნაკლულოვანი იქნებოდა. აქამდე რაც შეიქმნა იმ ხუთ სამყაროსეულ დღეში, ყველაფერი უზადოა, სრულქმნილი და ნუნდაუდებელია, შემოქმედი კმაყოფილია შექმნილისა, მაგრამ ეს მოწონება ვერავისათვის გაუზიარებია – ირგვლივ ემოციის ნაკლებობა; ნაკ-

ლებობაა გრძნობებისა – არსად არის შემფასებელი და დამფასებელი შექმნილისა. არის მონონება და სიხარული მხოლოდ შემოქმედისა. სიხარული და მონონება კი თავისთავად გულისხმობს, რომ სხვასაც უნდა გაუზიარო... და აი, მეექვსე დღეს ქმნის ადამიანს, მას თავისი სიხარულის მონანილედ ხდის და ეუბნება: აჰა, ეს მშვენიერება შენთვის ჩამიბარებია, დატკბი, ისიამოვნე და ამასთან ერთად, მოუარე კიდევ ყველაფერსო... რა თქმა უნდა, ადამიანი სავსებით განსხვავებული, სხვა ტიპის პერსონაჟი შემოქმედის „ნაწარმოებისა“.

- ა. ზ.** – თუ სწორად გავიგე, შემოქმედი თავად იყო კმაყოფილი თავისი შემოქმედებით და ეს კმაყოფილება სხვასაც უნდა სიხარულად უქციოსო, ასეა?
- თ. ს.** – დიახ, და არა მხოლოდ ეგ, თავად „ნაწარმოებმა“ მოითხოვა ახალი პერსონაჟი – ემოციის გამზიარებელი, ემოციის აღმქმელი. გარდა ამისა, თავისი შედეგის შექმნით ისიც დაგვავალა, რომ, რადგან ხატად ჩემდა ხართ შექმნილნი, თქვენც შემოქმედები უნდა იყოთო და ჩვენც, მიუხედავად ხელობისა, ხითხურონი ვიქნებით თუ ქვითხურონი, მინის მუშაკი თუ სახელმწიფო მოხელე, მწერალი თუ მოქანდაკე, ვალდებუ-

- ლნი ვართ, ჩვენს საქმეს შემოქმედებითად ვემსახურეთ, შემოქმედნი ვიყოთ ჩვენი საქმისა.
- ა. ა.** – შენ ფიქრობ, რომ როგორცაა დამოკიდებულება ჩვენს შემოქმედსა და მის პერსონაჟებს შორის, იმგვარი უნდა იყოს, ვთქვათ, მწერალსა (თუ მხატვარს) და მის პერსონაჟებს შორისაც?
- თ. ბ.** – ჰო, უნდა იმგვარი იყოს, უნდა ვბაძავდეთ. გასაგებია, რომ იმ მწვერვალთან („დიადი ვერასოდეს!“ – გ. დოჩანაშვილი) მიახლოებაც კი წარმოუდგენელია, მაგრამ იდეალურთან მიახლოებისკენ ლტოლვას წინ რაღა უდგას, ჰა?
- ა. ა.** – გასაგებია, რომ იმ დონის მიღწევა შეუძლებელია, შესაძლებლობათა განსხვავება აშკარაა, მაგრამ ყველაზე მთავარი განსხვავება მაინც რა არის?
- თ. ბ.** – სული, ჩემო გიორგი, სული. სამყაროს შემოქმედმა შექმნა თავისი პერსონაჟი და ჩაუდგა სული. ჩვენ მიწიერი შემოქმედები ამას ვერასოდეს შევძლებთ.
- ა. ა.** – ანუ პერსონაჟს ქმნით, მაგრამ სულს ველარ უდგამთ...
- თ. ბ.** – ერთი გავრცელებული თქმულება მახსენდება, აღმოსავლური უნდა იყოს (ადრე მაქვს წაკითხული): თურმე ყველა მხატვართან მისი გარ-

დაცვალების უამს მიდიან მის ნამუშევრებზე გამოსახული პერსონაჟები და სთხოვენ, რადგან შეგვექმენი, კეთილი ინებე და სულიც ჩავგიდგო.

- ა. ა.** – ეს მხატვარი და მისი პერსონაჟები... მწერალი? მიხეილ ჯავახიშვილთან რისთვის მიდიან მისი პერსონაჟები; რას ედავებიან, რას მოითხოვენ მისგან?
- თ. ბ.** – მოდი, ჯერ მხატვრობაზე ვთქვათ კიდევ ორი-ოდე სიტყვა და მერე მწერლობაზე გადავიდეთ...
- ა. ა.** – კეთილი.
- თ. ბ.** – კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ გავიხსენოთ. დიდოსტატი სიკვდილის პირასაა... დიდ შემოქმედთან მიდიან და სულს სთხოვენ.
- ა. ა.** – თამაზ, ბარემ რომანში ჩავიხედოთ: „მოეძალა ბობლია ლანდი, მგლისფერი თვალები შემოანათა და სთხოვა სული. არ მისცა სული მგლისფერთვალება მოხუცებულს მხატვარმა“... და მერე „შორენა ჩამოვიდა კედლიდან. (...) დაუჩოქა სამგზის სანატრელმა და სთხოვა დიდოსტატს სული“...
- თ. ბ.** – ე. ი. მერე უკვე სიყვარული სთხოვს სულს... სიყვარულს კი თითქოს უნდა შესწიროს სული... გვახსოვს ჩვენ სიყვარულს შეწირული სული...

**მ. მ.** – „ეთერიანიდან“ ...

**თ. ბ.** – მაგრამ ოსტატმა ვერც სიყვარულისთვის გაიმეტა სული, იმიტომ რომ შემოქმედია! და ჭეშმარიტმა შემოქმედმა სული მხოლოდ თავის შემოქმედებას შეიძლება შესწიროს.

**მ. მ.** – დიდებულია: „ცრემლმა იწვიმა კონსტანტინეს თვალთავან, მაგრამ ვერც საყვარელს მისცა სული, რადგანაც სვეტიცხოვლისათვის შეენირა იგი“ ...

**თ. ბ.** – ეს საინტერესო და ცნობილი თემა შესანიშნავად გამოიყენა თავის პიესაში რუსმა დრამატურგმა ვადიმ კოროსტილოვამაც. მისი „მარტოობის დღესასწაული“ ხომ გახსოვს?

**მ. მ.** – შესანიშნავი სპექტაკლი რუსთავის თეატრისა და ბრწყინვალე ფიროსმანი – ოთარ მეღვინეთუხუცესისა.

**თ. ბ.** – ფიროსმანს ამქვეყნიდან განშორებისას თავისი პერსონაჟები რომ მოაკითხავენ და უჩივიან, „ასამართლებენ“: მე ასეთი რად დამხატე, მე ეს რატომ დამაჭერინე ხელში; მეთევზე უბრაზდება: წითელი პერანგი რად ჩამაცვი, ამ ფერზე თევზი ფრთხებაო და სხვა... აუჰ, მტრისას, ვთქვათ, ჰიერონიმუს ბოსხს რომ მიაკითხავდნენ მისი ნახატებიდან გადმოსული პერსონაჟები, ანდა რომე-

ლიმე აბსტრაქციონისტს, სანახევრო ფიგურებს რომ ხატავენ... ასეთ სასამართლოს შორიდანაც ნუ შეასწროს ადამიანი...

**ა. ბ.** – ალბათ ამის გამოძახილია ლადო გუდიაშვილისადმი მიძღვნილი მირზა გელოვანის ბალადაც „შუალამისას“. ორიოდე ამონარიდი მოვიშველიოთ:

„...ირიბ ქუჩაში ხელადით, მწვადით  
დაგხვდება კინტო შეითანს ზემოთ:  
„აქეთ მობრძანდით, აქეთ მობრძანდით,  
აქეთ მობრძანდით, ოსტატო ჩემო!“

მერე კი პერსონაჟები და მხატვარი... და პრეტენზიები, საჩივრები, უკმაყოფილებათა კორიანტელი:

„რა დაგიშავე, რა დაგიშავე,  
რა დაგიშავე, ოსტატო ჩემო?!“...

ლექსი ვრცელია, პრეტენზიებიც უცნაური:

„რას მემდურები, რას მიჩიოდი,  
რა განყენინე მტრედით კაცმა?!“

„მე სამუდამო ძილი მინდოდა,  
რად გამაცოცხლეთ, ოსტატო ჩემო?!“ ...

და გაურბის შემოქმედი თავის პერსონაჟებს...

**თ. ბ.** – კარგი, გვეყოფა მხატვრობაზე საუბარი... ჩვენ დასაწყისში მიხეილ ჯავახიშვილის ჩანაწერი ვახსენეთ, ამ თემით – მწერლისა და მისივე პერსონაჟების ურთიერთდამოკიდებულება – ბევრი დაინტერესებულა მსოფლიო ლიტერატურაში. ამ მხრივ საყურადღებოა თუნდაც ლუიჯი პირანდელოს ცნობილი პიესა „ავტორის მაძიებელი ექვსი პერსონაჟი“, რომელიც 1921 წელს დაინერა; მას შემდეგ მსოფლიოს უამრავი თეატრის სცენაზე დაიდგა და მისადმი ცნობისწადილი დღემდე არ განუღებულა. შედარებით გვიანდელია ასევე მეორე იტალიელი დრამატურგის ალდო ნიკოლაის პიესა „მისტერ მარიო წერს კომედიას“. სხვაც შეიძლება გავიხსენოთ...

**ბ. ბ.** – მიხეილ ჯავახიშვილს, ეტყობა, თავისი სადარდებელი აქვს, როცა ამას წერს; 1924 წელია, ჯერ მხოლოდ მოთხრობების ავტორია.

**თ. ბ.** – და წერს, მოდიან და მასამართლებენო... და არა მესაუბრებიანო... დამნაშავედ მიიჩნევს თავს მათ წინაშე... თან დაამატებს, „საინტერესო თემა-

აო“...

- ა. ბ.** – შენთან ამ თემაზე რატომ მომინდა საუბარი: მწერალი ხარ. მართალია, შენი პერსონაჟების სამყარო არაა ისე ვრცელი და მრავალფეროვანი, როგორც ჯავახიშვილისა, მაგრამ შენ, მწერალ თამაზ ხმალაძეს, თუ გაგჩენია ასეთი ფიქრი შენი პერსონაჟების მიმართ?
- თ. ხ.** – არა. ჩემი პერსონაჟების მიმართ მე ეს განცდა არ გამჩენია. ვფიქრობ, არ უნდა იყვნენ ჩემი უკმაყოფილო. ისინი საყვედურს ვერ მეტყვიან: მე ისინი შევქმენი, ჩამოვაყალიბე, დავასახლე, თავისი ადგილი მოვუნახე, მივუჩინე ბინა.
- ა. ბ.** – და გამოიყვანე ქვეყანაზე, გააცანი საზოგადოებას... ასეთი რამ გამახსენდა: ანა კალანდაძე ივონებს – უმცროსი კონსტანტინე გამსახურდიას ნათლობისას „უნწინდესმა (ეფრემ მეორემ – გ. გ.) ბატონ კონსტანტინეს ფრთხილად შეაპარა იმ დღეს თავისი გულისტკივილი: თქვენს რომანში კათოლიკოსი მელქისედეკი სათანადოდ ვერ გამოიყურებაო. ამაზე ბატონმა კონსტანტინემ მიუგო: პირიქით, მელქისედეკი მსოფლიოს გავაცანო“... ეს შედარება მთლად მარჯვე შეიძლება არ იყოს, მაგრამ იმის თქმა მსურს, „ქვეყანაზე გამოყვანა“ თუ რამხელა მნიშვნელობის ფაქტად



მიაჩნია კლასიკოს მწერალს (რეალობაზე მაღლა დგასო!)...

**თ. ხ.** – ჰო, გავაჩინე, სიცოცხლე მივეცი, დავასახლე და გამოვიყვანე ქვეყანაზე...

**ა. ზ.** – იჯდა თავისთვის სახლში ჯალალა („სადღეგრძელო“), მშვიდად უვლიდა თავის ოჯახს; მივიდა თამაზ ხმალაძე, ჩაჰკიდა ხელი და შემოიყვანა მოთხრობაში... გახსოვს, ცხადია, ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან: „ჩაავლო ხელი ყურში ილიამ ლუარსაბს: „– რომ მიგყავარ, სად მიგყავარ? – მოთხრობაში, ჩემო კარგო! – მოთხრობა რა არის? – პატარა ტილოა, ზედ ადამიანებსა ხატავენ“... „ქვეყანას მინდა დაგანახვო“ და მშვიდად „მცხოვრებმა“ ლუარსაბმა ასე ამოჰყო თავი მოთხრობაში...

ამას აკეთებს მწერალი... მერე მწერლისგან ნაბოძები ცხოვრება მოეწონება თუ არა პერსონაჟს, ამის მიხედვით, უნდა ელოდეს მწერალი მაღლობასაც და გასამართლებასაც პერსონაჟისაგან...

სხვათაშორის, „პერსონაჟმა“ საყვედური მთავარ შემოქმედსაც შეჰბედა:

„უფალო ღმერთო, რად გამაჩინე,  
მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია?“...

ამიტომ აღარ უნდა უკვირდეს შემოქმედს პერსონა-  
ჟთა ამბობი...

**თ. ბ.** – სხვა რამეცაა: მე ხომ ჩემს პერსონაჟებს სი-  
ცოცხლე გავუხანგრძლივე. ახალი სიცოცხლე  
მივეცი...

**ა. ა.** – შენ სხვა სიცოცხლე მიეცი; მათ ჰქონდათ  
ღვთისგან ბოძებული სიცოცხლე; შენ ის სიცოცხ-  
ლე მიეცი, რომელსაც არსთაგამრიგე ვერ შეეხე-  
ბა... ეს ის სიცოცხლეა, რომლის ხანგრძლიობაც  
შენი, როგორც მწერლის, ოსტატობის ტოლფა-  
სია... პირდაპირპროპორციული... ქართულ ლი-  
ტერატურულ სამყაროში რამდენსაც იცოცხლებს  
მწერალი თამაზ ხმალაძე, იმდენს იცოცხლებენ  
მისი გმირებიც... და აქ ამასაც ვიტყვი: თამაზ ხმა-  
ლაძის პერსონაჟები ბედის მადლიერნი უნდა  
იყვნენ, რომ ამ მწერლის მოთხრობაში დაე-  
სახლნენ...

**თ. ბ.** – მე უფრო სხვა მათეიქრებს. მე მეშინია იმ გმი-  
რებისა, რომლებიც გაჩნდნენ ჩვენს თეიქრებში;  
უნდა დაწერილიყო მოთხრობები, სადაც ისინი  
დასახლდებოდნენ და ვერ იშვნენ... მე იმისი  
მეშინია, ისინი მოვლენ და გამასამართლებენ;  
მეტყვიან, დასაბადებლები რომ ვიყავით, რატომ

არ დაგვბადეო... გასაჩენები რომ ვიყავით, რად  
გაგვწირეო... რით იყვნენ ჩვენზე უკეთესი ისინი,  
ვინც გააჩინეო, დაასახლეო...

**ა. ბ.** – თამაზ, მოდი მეც „ვექილად“ დავუდგები იმ არ-  
დაბადებულ პერსონაჟებს და გკითხავ: რა არის  
მიზეზი მათი არდაბადებისა? ჩასახვით ხომ ისევე  
ჩაისახნენ, როგორც გაჩენილი პერსონაჟები?

**თ. ხ.** – ბევრი რამე, ჩემო გიორგი: პირველი ალბათ  
მედღეხვალეობაა... ისიც სათქმელია, რომ გაი-  
წინა ჩემი ცხოვრება ბევრი სუბიექტური თუ ობიექ-  
ტური მიზეზის გამო. საჩემო დრო არ დადგა. ხომ  
გახსოვს გურამიშვილი: „ყოველთვის მოცლას  
ვუცდიდი, ნეტავი არა მეცადა“... და მაინც მთავა-  
რი მიზეზი ისა მგონია, რომ მე ვერ მოვახერხე  
სული „ჩემი სვეტიცხოვლისთვის“ შემეწირა, და-  
ვანანევრე, დავამსხვრიე და ათას მსხვილმან-  
წვრილმანში უყაირათოდ გავანაწილე.

არ მავინწყდება (ანდა როგორი დასავინწყებელია?!):  
ახალგაზრდობისას ოტია იოსელიანი მესტუმრა  
რადიოში და მითხრა: – შენი მოთხრობები წავი-  
კითხეო. – მერე? – ცნობისწადილმა ამიტანა. –  
კარგია, კარგია... – ცალი თვალით ამათვალ-  
ჩამათვალეირა, – მაგრამ დაიმახსოვრე: იცოდე  
ეს მხოლოდ ერთი-ორისთვის მაქვს ნათქვამი:

მოპარული ღროით ნამდვილი მწერალი ვერ გახდება. ჯანდაბამდე გზა ჰქონია სამსახურს, მიაგდე ოჯახიც და თავს მიხედე, თავს!..

ჩემი ასაკის გადასახედიდან მივიჩნევ, რომ ყველას თავისი სიმართლე აქვს, მაგრამ უმთავრესი მაინც ბედისწერა მგონია.

„ნაღვლიანად დამიწყია მღერა,  
ცოცხალი ვარ, მე კი არა მჯერა!  
იეთიმ გურჯო, ესეც ბედისწერა!..“

შენ რას იტყვი, გიორგი?

**ა. ა.** – საინტერესო კაცია ოტია იოსელიანი... თამაზ, მოდი, მედღეხვალიობა გვერდზე გადავდოთ, რაღა ეშველება, მე სხვა რამ მაინტერესებს: დაბადებამდე რა ხდება შენს პერსონაჟთა თავს; აქვთ თავიანთი ცხოვრება, სახელგვარი?...

მე ისევ დავით კლდიაშვილს მოვიყვან მაგალითად (ისე შენთან საუბრისას დავითი ხშირად მახსენდება)...

**თ. ბ.** – ეს ჩემთვის დიდი პატივია...

**ა. ა.** – სერგო კლდიაშვილის მემუარულ ჩანაწერებს მოვიშველიებ („მოგონებები დავითზე“). დავითი უყვება სერგოს: „მოთხრობა მოფიქრებული

მქონდა, ოღონდ გვარი ვერ მოვინახე და ეს მან- ვალებდა. წერას მიშლიდა“... ამ ღროს დედა- მისს ესტუმრა ვილაც, მორბედაძე აღმოჩნდა გვა- რად. დავითი აგრძელებს: „ეს გვარი მეოცა რა- ტომლაც. „მორბედაძე“ შევცვალე „მორბელა- ძედ“, გვარმა სახელიც მოათრია და ამის შემდეგ მოთხრობაც ადვილად დაიწერა. მუშაობა კი არა, უდიდესი სიამოვნება იყო“...

- თ. ბ.** – მოთხრობაც იცის, პერსონაჟებსაც იცნობს, მთავარი მოქმედი პირის ვინაობა არ იცის და...
- ა. ა.** – შემთხვევით გაიგო „მისი ვინაობა“ – გვარი; „გვარმა სახელი მოათრიაო!“...
- თ. ბ.** – დიდებულია!...
- ა. ა.** – როგორ მოათრია? რატომ სოლომანი? ამ გვართან იმ სახელს რა აკავშირებს?..
- თ. ბ.** – მორბელაძე თითქოს გასაგებია... მირბი- მორბის... ეს კაცი სხვა გვარისა არც შეიძლება ყოფილიყო...
- ა. ა.** – ამას ახლა ვამბობთ... თამაზ, ეს ამბავი იმ დაუ- ბადებელი გმირების გულშემმატკივრობამ გა- მახსენა. მსგავსი მიზეზი ხომ არ გქონია გმირთა არდაბადების? ან სახელი ვერ მოიხრგო, ან – გვარი, ანდა რაიმე სხვა მიზეზი?...
- თ. ბ.** – ასეთი არაფერი ყოფილა... ჩემთან საინტე-

რესო იყო ერთი შემთხვევა. როგორ შევხვდი ნას-  
ყიდას (მითქვამს კიდეც სხვა დროს). განთიადი-  
სას გავიღვიძე და ბუნდად, სანამ გამოვერკვეო-  
დი, წამიერად, თვალი არ მქონდა გახელილი,  
დავინახე შუახანს გადაცილებული კაცი საქანე-  
ლაზე იჯდა – თოკით ჩამოკიდებულ საქანელაზე  
– და ქანაობდა... მე მასთან ურთიერთობა მომი-  
ნდა; სახელი უნდა დამერქმია მისთვის, დამე-  
ძახა...

**ბ. ბ.** – გაგერკვია, ვინ არის, რატომ ზის საქანელაზე,  
წაგეყვანა მოთხრობაში და ბოლოს... მიგეყვანა  
ის იმავე საქანელასთან... – ეს რაც დაინერა...  
დაუნერლობისა ვთქვათ ისევ...

**თ. ბ.** – ჩემი დაუნერლობის მიზეზი მაინც სხვა არის...  
მეც მწყდება ახლა გული... მოთხრობა მთლიან-  
ნად მოფიქრებული მაქვს; მთელი თავისი დრა-  
მატურგით, ყველაფრით; როგორ იწყება; რო-  
გორ ვითარდება, როგორ მთავრდება... ფიქრ-  
ში, გონებაში მიზის ყოველივე. უნდა მიხვიდე,  
დაჯდე და დანერო... მაგრამ თითქოს რაც კი  
რაიმე არსებობს ამქვეყნად, ყველაფერი ხელს  
მიშლის, ყველაფერი ჩემი დამაბრკოლებელია.  
ფიქრში თავიდან ბოლომდე გაივლის როგორც  
კინოფილმი შენელებლი ჩვენებით; და ეს ხდება

რამდენჯერმე... ის ადგილები, მომენტები, ეპიზოდები, პასაჟები, დიალოგები – ყველაფერი... ის რას პასუხობს, ამან რა თქვა, იმან როგორ მოიქცეა თავი... ეს ყოველივე ჩამოყალიბებულია... და რომ გაივლის და გაივლის; როგორც ორჯერ-სამჯერ ზედიზედ წაკითხული წიგნის მეოთხედ წაკითხვა გაგიჭირდება, წერა ისე მესიკვდილება ხოლმე... თითქოს რაც მევალებოდა, რაც გასაკეთებელი იყო, უკვე გაკეთდა და მეტი აღარაფერია საჭირო...

- ა. ბ.** – მე როგორც დაუბადებელ პერსონაჟთა ვეცილი, ვერც ავტორს ვიმეტებ და შევეცდები არდაბადების მიზეზები დავაკონკრეტო, მოვუძებნო გამართლება... ერთ შემთხვევასაც გავიხსენებ კლდიაშვილიდან. საერთოდ ამ თემამზე დავითი ხშირად საუბრობს. ერთი მიზეზიც ესაა – დასაწყისი... მოვიხმობ ადგილს „მემუარებიდან“: „მეტად დიდი გასაჭირი მომაყენა შემდეგმა მოთხრობამ, „წრფელი გული“ რომა აქვს სათაურად. ჩამოყალიბებულ, ჩამოსხმულ მოთხრობას ვერ მოვუნახე პირველი სტრიქონი. ჩემთვის ეს პირველი სტრიქონი ყოველთვის ტონის მომცემი იყო; ამ პირველი სტრიქონიდან, ასე ვთქვათ, გასრიალდებოდა მოთხრობა, იგი ტონს აძლევდა

მოთხრობას. დიდხანს ვარჩევდი, თუ როგორ დამეწყო, რა სიტყვებით შევდგომოდი წერას – საჭეროს ვერ ვპოულობდი.

ერთხელ მე და გრიგოლ ვოლსკი ბათუმის ბულვარში ვართ; ზღვის ნაპირას ვზივართ. ვოლსკიმ თქვა, – ერთი ჩვენი კარგი ნაცნობისას წავიდეთო. დავეთანხმე, გამოვდივართ ბულვარიდან, გზაში ჩემი მოთხრობა გამახსენდა, ჩემი გმირები ალაპარაკდნენ; ვოლსკი რაღაცას მეუბნება – მე არ მესმის. უცებ ჩემს თვალწინ თითქო ჩამოფარებული ფარდა გადაიწია და ჩემი მოთხრობა თავიდან ბოლომდე ერთ წუთში გადამეშალა... დასაწყისიც აგერ არის, ნაძებარი დასაწყისი, რომელსაც გაყვა, გაყვა რაღაც გატაცებით სიტყვა, წინადადება, სურათი... სურათები ბოლომდი. – მე არ მოვდივარ, გრიშა! – ვუთხარი და გავეშურე ბანაკისაკენ, სადაც ამხანად ვიყავი. (...) მივედი ბანაკში, შევედი ჩემს კარავში, ჩამოუშვი შესავალი კალთა, გადმოვიღე ქალაღი და გატაცებით ვიწყე წერა, წერა გაცხარებული. ეს მუშაობა კი არ იყო, იყო უმაღლესი სიამოვნება. ამგვარივე გატაცებით ნაწერი „სამანიშვილის დედინაცვალი“.



მწერალი იმ მოთხრობაში პერსონაჟს „იცნობდა“, სახელი არ იცოდა მისი... აქ პირველი წინადადება ვერ იპოვა... თამაზ ხმალაძეს ეს მაგალითი აგონებს რამეს? ამგვარი რამ ხომ არ არის პერსონაჟის „არდაბადების“ მიზეზი?...

**თ. ხ.** – ეგეთი შემთხვევა მეც მქონია – „დაცლილი ჭურჭელის“ სიუჟეტი სტუდენტობიდან მანვალეზა და ძალიან გვიან დავწერე... ერთხელაც მოვიდა პირველი წინადადება: „ბუმბა შეაწუხა“ და... წავიდა და წავიდა. ეს მოთხრობა დასაბეჭდად მივუტანე ნუგზარ შატაიძეს (იმხანად გამოდიოდა მართლაც შესანიშნავი, მსოფლიო დონის ჟურნალი „ომეგა“ როსტომ ჩხეიძის რედაქტორობით და ნუგზარი იქ პროზის განყოფილების გამგედ მუშაობდა. ასეთ ჟურნალში დაბეჭდვა ნამდვილად დიდი პატივი იყო). დაიწყო თუ არა კითხვა ნუგზარმა, წამოხტა და გადამკოცნა; – „აი დასაწყისი!“ – დაიძახა. ამ ამბავს სხვებიც ესწრებოდნენ, რომლებმაც გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს: „ამისთანა რა ნახაო?!“... არ ვიცი... რა ვიცი...

**ა. ბ.** – ეს კიდევ ცალკე თემაა – მოთხრობის დასაწყისი... აქაც ბევრია სათქმელი, მაგრამ პერსონაჟებს დავუბრუნდეთ.

თ. ბ. – პერსონაჟებზე საუბარმა ერთი ადრინდელი ინფორმაცია გამახსენა, მოგიყვები და ეს ამბები რამდენად არის დაკავშირებული ერთმანეთთან, თვითონ განსაჯე. ცოტა ვრცელია და თუ მოგებზრდება ჩემი საუბარი, გამაჩერე, არ მენწყინება... კარგა ხნის წინათ ტორონტოს ფსიქიკურ კვლევათა საზოგადოებას ერთი უჩვეულო ექსპერიმენტი ჩაუტარებია: შეუკრებიათ სხვადასხვა ასაკის, პროფესიისა და სქესის ექვსი პიროვნება და დაუვალეზიათ, ერთობლივად წარმოესახათ („შეექმნათ“) გარდასული ხანის ადამიანის ხატება („პერსონაჟი“). მკვლევარებს კი ევალეზოდათ თვალყურის დევნება იმის გასარკვევად, შეძლებდნენ თუ არა ცდისპირები გამოგონილ აჩრდილთან კონტაქტის დამყარებას. ამ ყველაფერს კამერიათაც იღებდნენ და მაგნიტოფონის ფირზეც ინერდნენ. შედეგი განსაცვიფრებელი აღმოჩნდა...

**ბ. ბ.** – ესე იგი, გამოიგონებენ პერსონაჟს კონკრეტული მონაცემებით და ცდილობენ მასთან რეალური კონტაქტის დამყარებას?

**თ. ბ.** – დიახ. ჯგუფს საზოგადოების მესვეურის, დოქტორ ოუენის, გვარის მიხედვით „ოუენის ჯგუფი“ ეწოდა. ესენი იყვნენ: ოუენის მეუღლე, სამრეწვე-

ლო დიზაინერი, ბულალტერი, დიასახლისი, მოანგარიშე და სტუდენტი. თავდაპირველად მათ შეეძინეს გამოგონილი პერსონაჟის, ვინმე ფილიპ ეილეს ფონდის, ბიოგრაფია: „ინგლისელი არისტოკრატი ფილიპი XVII საუკუნის შუა ხანებში ცხოვრობდა. იყო კათოლიკე და მონარქიის მომხრე. ცოლად ჰყავდა ლამაზი მაგრამ გულცივი დოროთეა – ერთ-ერთი მეზობლის ქალიშვილი. ერთხელ, ცხენით სეირნობისას, თავის სამფლოელოს გასცდა, ბოშათა ბანაკს გადაეყარა და თავდავინწყებით შეუყვარდა შავთვალა მარგო, რომელიც თავისი საგვარეულო სახლის – დიდგეტონ მერონის – სიახლოვეს დაასახლა. მალე საიდუმლოს ფარდა აეხადა და განრისხებულიმა დოროთეამ მარგო ჯადოქრობაში დაადანაშაულა.

ფილიპს საშინლად შეელახა რეპუტაცია, მამულის დიდი ნაწილიც გაყიდა, რათა მარგო სასამართლოს უღმობელ განაჩენისაგან გადაერჩინა, მაგრამ ბოშა ჯადოქრად ცნეს და კოცონზე დაწვეს. მწუხარებისაგან გათანგული ფილიპი იქამდე დაეხეტებოდა თავისი საგვარეულო ციხესიმაგრის შემოგარენში, სანამ ერთ დილას კედლის ძირას მომაკვდავს არ მიაგნეს – ქონ-

გურიდან გადმომხტარიყო.

**ა. ა.** – ესე იგი, შეთხზეს იმდროინდელი ინგლისური რომანებისათვის დამახასიათებელი ერთი ჩვეულებრივი სიუჟეტი, მისთვის შესაფერისი პერსონაჟით...

**თ. ბ.** – ჰო, მაგრამ ეხლა იწყება მთავარი, როცა ექსპერიმენტის მონაწილენი „აჩრდილთან“ (ანუ შემოქმედნი პერსონაჟთან) კონტაქტის დამყარებას შეეცადნენ: მასზე ფიქრობდნენ, ერთმანეთში საუბრობდნენ, ერთი სიტყვით „კოლექტიური ჰალუცინაციის“ ვიზუალირებას ახდენდნენ. ასე გაგრძელდა წელიწადზე მეტ ხანს, მაგრამ უშედეგოდ.

**ა. ა.** – თამაზ, ვაზუსტებ: თავიანთ შექმნილ პერსონაჟს მიიჩნევენ რეალურ პიროვნებად და ეკონტაქტებიან მას?

**თ. ბ.** – სურდათ, მაგრამ ვერ შეძლეს... მაშინ გადაწყვიტეს, რომ საჭირო იყო სპირიტუალი სენსის ატმოსფეროს შექმნა: ჩააქრეს შუქი, გარშემო ძველებურ ციხისიმაგრეთა სურათები ჩამოჰკიდეს, მრგვალ მაგიდას შემოუსხდნენ და... ერთ-ერთი ასეთი სენსისას პირველი შეტყობინებაც მიიღეს ფილიპისაგან – მაგიდაზე მკაფიო ვაკუნი გაისმა. მალე ინგლისელმა არისტოკრატმა შეკითხვებზე

პასუხის გაცემა შეძლო: ერთი დაკაკუნება „ჰოს“ ნიშნავდა, ორი – „არას“. ექვსეულის პერსონაჟმა სკამის გადაადგილება შეძლო. თუმცა ის გარემოება, რომ ფილიპი კოლექტიური შემოქმედების ნაყოფი იყო, მისი „შეზღუდულობითაც“ დასტურდებოდა. მართალია, ზუსტ პასუხებს იძლეოდა შეკითხვებზე, მაგრამ ახალი არაფერი უთქვამს – ყველა ინფორმაცია იმ ეპოქის მოვლენებსა თუ ადამიანებზე ჯგუფის წევრებისათვის მანამდეც ცნობილი იყო. ამდენად ფილიპის პასუხები ექსპერიმენტის მონაწილეთა ცნობიერებიდან მოდიოდა.

- ა. ზ.** – ანუ პერსონაჟს თავისი ფიქრი არ გააჩნია, პერსონაჟი შემოქმედის „ფიქრით ფიქრობს“?
- თ. ბ.** – ასე გამოდის... ყოველი მორიგი სეანსისას ხელოვნურად შექმნილი პერსონაჟის შესაძლებლობები იზრდებოდა. ჯგუფის წევრთა თხოვნით ფილიპი ჩართავდა და თიშავდა სინათლეს. მაგიდა, რომლის გარშემოც ცდა მიმდინარეობდა, თითქოს რაღაცა ენერგიით იჟღინთებოდა და მის ცენტრში ღრუბლის მაგვარი მასა ჩნდებოდა. ექსპერიმენტის კულმინაციად საჩვენებელი სეანსი იქცა, რომელიც ორმოცდაათი ადამიანის თვალიდან ჩატარდა. ფილიპმა სრულად გაამართლა

ჯგუფის იმედები – გარდა წელან ჩამოთვლილი მოქმედებებისა, მაგიდის ჰაერში აწვევაც შეძლო. ეს ფაქტი თვითმხილველებმაც დაამონწმეს და ტელეკამერების ობიექტივმაც დააფიქსირა.

თუ ამ ყველაფერს ვირწმუნებთ, ექსპერიმენტს გაუმართლებია, არა? თუმცა ოუენის ჯგუფმა ფილიპის აჩრდილის მატერიალიზება ვერ შეძლო.

**ა. ა.** – დავაკონკრეტოთ მიზანი ამ ექსპერიმენტისა: არის თუ არა შესაძლებელი ავტორსა და მის პერსონაჟს შორის რეალური კავშირის დამყარება? „კოლექტიური შემოქმედი“ იმისთვის იყო საჭირო, რომ მიზნის მიღწევა გაიოლებულიყო...

**თ. ბ.** – ვერ შეძლეს ეს და ამიტომ გადაწყვიტეს ახალი ექსპერიმენტის ჩატარება სხვა მონაწილეებითა და ახალი გამოგონილი პერსონაჟით. ხუთი კვირის შემდეგ მორიგმა ჯგუფმა კონტაქტი დაამყარა სხვა აჩრდილთან – ჯაშუშ ქალ ლილიტთან. ანალოგიური ცდების მეშვეობით „გაცოცხლდნენ“ შუა საუკუნეებში მცხოვრები ალქიმიკოსი სებასტიანი და მომავლის ადამიანი აქსელი. ისინი გამოგონილი პერსონაჟები იყვნენ, მაგრამ ხალისით ამყარებდნენ კონტაქტს მათ შემქმნელ ჯგუფებთან.

მოგვიანებით ავსტრალიელმა ენთუზიასტებმა კანადელთა ჯგუფის ცდა გაიმეორეს. ექვსმა მონაწი-

ლემ გამოიგონა თოთხმეტი წლის ავსტრალიელი გოგონას – სკიპი კარტმანის – ისტორია. მათი თქმით, სკიპი ჯგუფის წევრებს მაგიდის მოძრაობითა და სხვადასხვა ხმის საშუალებით ეკონტაქტებოდა...

სიმართლე გითხრა, ახალგაზრდობის წლებში რუდოლფ შტაინერის ნაშრომების ასე თუ ისე გაცნობის მიუხედავად, მისტიკასა და სპირიტუიზმს არასოდეს მიუტაცია ჩემი ცნობისწალი-ლი. აი, პერსონაჟთა სიცოცხლისუნარიანობისა კი მაშინაც მწამდა და ეხლაც მწამს.

**ა. ბ.** – მოდი, რეალურ ყოფას დაუვებრუნდეთ და იმაზე დაფიქრდეთ, რა გავლენას ახდენენ ნაწარმოების პერსონაჟები ჩვენს ცხოვრებაზე. ვთქვათ, ილია ჭავჭავაძის ოთარაანთ ქვრივი და გიორგი, არჩილი და კესო, ანდა ლუარსაბი და დარეჯანი, ლელთ ლუნია... ისინი უფრო მეტად ზემოქმედებენ ერის სამოძრაო გზის მიმართულების განსაზღვრისას, ვიდრე იმ დროს რეალურად მცხოვრები ბევრი საზოგადო მოღვაწე თუ პოლიტიკოსი...

**თ. ხ.** – მეც, შენი თქმისა არ იყოს, მიმაჩნდა და მიმაჩნია მწერლის ერთ-ერთ დიდ ღირსებად სიცოცხლისუნარიანი და დასამახსოვრებელი გმირის

დახატვა. ალბათ ამ ინტერესმა და ცნობისწა-  
დილმა მათარგმნინა ამ ორმოცდახუთიოდე  
წლის წინ და ბატონ ვახტანგ ჭელიძისეულ „ლი-  
ტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა ერთ-  
ერთი დიდი პროზაიკოსის ლაო შეს (ხუნვეიბინე-  
ლებმა მოკლეს და დღეს მეოცე საუკუნის ჩინური  
მწერლობის კლასიკოსად არის აღიარებული)  
ერთი თავი „პერსონაჟების გამოსახვა“ ესეების  
წიგნიდან „ბებერი ხარი, დანჯღრეული ურემი“, სა-  
დაც ბევრი რამეა ამ თვალსაზრისით საინტე-  
რესო და დასამახსოვრებელი.

შემოქმედისა და პერსონაჟის დამოკიდებულების  
ძალზე საინტერესო მაგალითს ვხვდებით როს-  
ტომ ჩხეიძის ერთ ლექსში („მზის ალუბლები“ –  
ლექსები პროზად): საუბარია უილიამ ფოლკნე-  
რის ნოველაზე „ვარდი ემილისათვის“.

„მკითხველი ვერასდიდებით ვერ მიუხვდებოდა მწე-  
რალს, ვარდი რას გულისხმობდა, რისი სიმბო-  
ლო გახლდათ, და ერთ-ერთი საჯარო შეხვედ-  
რისას ამ ინტერესს რომ გამოიჩინებდნენ, ფოლკ-  
ნერს ასე უნდა აეხსნა:

„ეს ვარდი მე ვაჩუქე პერსონაჟს მისი გაუხარელი,  
დრამატული ცხოვრების სანაცვლოდ, ამით  
მისადმი ჩვენი თანაგრძნობა გამოვხატეო“.



**ა. ბ.** – აი, შესაშური და მარად გასათვალისწინებელი მიმართება მწერლისა პერსონაჟისადმი.

**თ. ს.** – დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ ყველაზე დიდი შემოქმედი უზენაესიაო. მოგეხსენება, მასაც არც თუ იშვიათად ემდურებიან „პერსონაჟები“, ერთ, შენტვისაც კარგად ცნობილ თქმულებას შეგახსენებ: მძიმე ცხოვრებაგამოვლილი ადამიანი, როცა წუთისოფელს განეშორა და ღმერთთან მივიდა, უსაყვედურა: ეგ რა იყო, უფალო, გამაჩინე და მიმაგდე, მთელი ტანჯული ცხოვრება მარტომ გამოვიარეო. ღმერთმა გაახედა და დაანახა მის მიერ გამოვლილი გზა: ხომ ხედავ ნაფეხურებს, ორი კვალი მოდის, ერთი შენია და ერთი ჩემი, მე მუდამ შენს გვერდით ვიყავიო.

აი, აგერ, ყველაზე მეტად როცა მიჭირდა, მხოლოდ ჩემი ნაკვალევია, აქ რატომღა მიმატოვეო.

არა, შვილოო, უთხრა ღმერთმა, ეგ შენი ნაკვალევი კი არ არის, ჩემია, მაგ ღროს ხელში აყვანილი მომყავდიო.

**ა. ბ.** – თამაზ, როცა ამ თემაზე ვფიქრობდით, რუსთაველიც ვახსენეთ...

**თ. ს.** – ...რუსთაველი!...

„ვეფხისტყაოსანში“ აუცილებელი გახდა ფატმანის მსგავსი პერსონაჟის შემოყვანა, რომელიც უარ-

ყოფითი უნდა იყოს (ბოლოს და ბოლოს ათ მცნებას არღვევს: არ იმრუშო!), მაგრამ ავტორი ვერც მას იმეტებს ბოლომდე და მცირე გამართლებას იმასაც უძებნის: „მით არ ვსჯერვარ ქმარსა ჩემისა, მჭლე არის და თვალად ნასი“. ეს ფრაზა შეიძლება მთლად ვარდი არ იყოს, მაგრამ პატარა სურნელოვან მინდვრის ყვავილივით მიათვავა ავტორმა ფატმანს...

- ა. ბ.** – ეს არის მარადსამახსოვრო დამოკიდებულება შემოქმედისა შექმნილის მიმართ. უნდა შეეძლოს მწერალს თანადგომის გამოხატვა პერსონაჟის მიმართ, დადებითი იქნება ის თუ უარყოფითი. ზოგჯერ ვარდის ჩუქებაც უნდა მოახერხოს მისთვის და თუ საჭირო გახდა, ხელშიც აიყვანოს.
- თ. ბ.** – აქ არ შემოძლია, თამაზ ბიბილურის აზრი არ გავიხსენო – ეს იყო რჩევა ახალგაზრდა კოლეგისადმი: როგორც ცხოვრებაში უნდა მოერიდო კაცის მოკვლას, ისე – მოთხრობაში. თუ ამისი აუცილებლობა არააო, – მარიგებდა.
- ა. ბ.** – მსგავსი დამოკიდებულება პერსონაჟისადმი რემო ინანიშვილსაც გამოუხატავს. თემურ მალაფერძე იგონებს: მეორეკურსელმა მოთხრობა დაწვწერე და უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის სხდომაზე წავიკითხეო. მოთხ-

რობაში ნამდვილი ამბავი მქონდა აღწერილი: იმ ზაფხულს ბაკურიანის მახლობლად ვისვენებდი; მასპინძლის ოჯახში ტრაგედია დატრიალდა: რაღაც სენმა სამი წლის ბიჭი იმსხვერპლა. ეს ნამდვილი ამბავი აღწერე მოთხრობაშიო, – წერს თ. მალლაფერიძე. სხდომას რეზო ინანი-შვილიც ესწრებოდა. გამოვიდა და, როგორც იტყვიან, ქვა-ქვაზე არ დატოვაო“; „ამნაირად წერა არ შეიძლებაო. ვინ მოგცათ უფლება ადამიანთა ასე უმოწყალოდ გამეტყვისაო. იქნებ, რაც მოთხრობაშია აღწერილი, მართლაც მოხდა, მაგრამ რაც ცხოვრებაში ხდება, განა ყველაფერი გადმოცემის ღირსიაო? ლიტერატურა ახალ რეალობას უნდა ქმნიდეს, თანაც ისეთს, რაც ადამიანებს ცოტაოდენ შვებას მაინც მოუტანს, შენ კი გახსნილ იარაგს მარილს აყრი, აკრძალული ილეთებით მუშაობ, აბა როგორ შეიძლება, სამი წლის ბავშვი სასიკვდილოდ გაიმეტო, თუ მართლა მწერალი ხარო. რა მხატვრული აუცილებლობაა ამისიო? კიდევ თქვა რაღაცეები, მაგრამ, არსებითად, ეს იყო“.

ეს პრინციპია მწერლისა პერსონაჟებთან დამოკიდებულებისა...

და კიდევ: სერგო კლდიაშვილი იგონებს, დავითმა

მისაყვედურა, რა ამბავია ამდენი სიკვდილიო; არადა ვრცელ რომანში ორი პერსონაჟი მოკვალა... მოკლედ, მწერალია პერსონაჟის არსთაგამრიგე და უნდა მოუფრთხილდეს მის სიცოცხლეს...

– თამაზ, არ ვიცი, გახსოვს თუ არა: ერთხელ უხასიათოდ იყავი და მიზეზი გკითხე; ნიკო მოკვდაო, შემომჩივლე. ნიკო ერთი იმ სამთავანია, „სამი კაცი ღუქანს რომ არის“...

**თ. ბ.** – ჰო, იყო ასეთი შემთხვევა. შენ წარმოიდგინე, ისეთი განცდაა, ძალიან ახლობელი რომ გარდაიცვლება...

**ა. ა.** – მოდი, შევცვალოთ მიმართულება საუბრისა. პერსონაჟთა სახელ-გვარები მაინტერესებს: რას არაქმევს მწერალი პერსონაჟს და რატომ?

მე არ ვსაუბრობ ისეთ სახელ-გვარებზე, გიორგი წერეთლის პერსონაჟებს რომ აქვთ: ფულავა, წარბა, ჭიბიაშვილი, ჭამიაშვილი და სხვა; ანდა ეგნატე ნინოშვილისას – უიშვილი, მუნჯაძე, მცირიშვილი, მკლავაძე... მე ჩვეულებრივი სახელები მაინტერესებს, არამოტივირებული... ილია ჭავჭავაძე გავიხსენეთ არაერთგზის. ილიას პერსონაჟი არის **ლუარსაბ თათქარიძე** გვარს დავანე-

- ბოთ თავი; ეს სახელი (ლუარსაბ) რატომ მოერგო ასე პერსონაჟს?
- თ. ბ.** – საოცრებაა, სამეფო სახელი; წმინდანი მეფის სახელი...
- ა. ბ.** – დიახ, ჩვენს ანთროპონიმოლოგიაში ეს ცალკე რიგია საკუთარი სახელებისა... მწერალმა აიღო, წამოიღო, დაარქვა თავის პერსონაჟს და... წარმოიდგინეთ, „მოკლა“ სახელი...
- თ. ბ.** – „მოკლაო“ ალბათ იმას გულისხმობ, რომ ამ სახელს თითქმის აღარ არქმევენ...
- ა. ბ.** – ვინმეს გადაჭარბებული რომ არ მოეჩვენოს, სტატისტიკა მოვიშველიოთ წიგნიდან „გვარსახელები საქართველოში“ (ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, 1997). 1995 წლის მონაცემებით „სამეფო სახელებიდან“ რომელი სახელი რამდენია: გიორგი – 147454; დავითი – 76051; ვახტანგი – 24578; ერეკლე/ირაკლი – 1324/21881; თამარი – 100558; მირიანი – 3540... და ამ დროს **ლუარსაბი** – 218!..
- თ. ბ.** – მე მაგდენიც არ მეგონა, თუ იქნებოდა...
- ა. ბ.** – ეს მე-20 საუკუნის მონაცემია... ფარნაოზიც კი თითქმის სამჯერ მეტია – 586! და ეს ლუარსაბ თათქარაძის „ბრალი“ ჩანს...
- თ. ბ.** – ჰო, ყოველ შემთხვევაში მე დღეს არ ვიცნობ

ადამიანს, ლუარსაბი რომ ერქვას... ეს სახელი იმდენად მოერგო „კაცია-ადამიანის“ პერსონაჟს, იმდენად „თავისი“ გახდა, რომ განზოგადდა კიდევ: „ლუარსაბობა“ – ლუარსაბ თათქარიძის მსგავსს, მისი თვისებების მქონეს გულისხმობს და არა „ლუარსაბ II-ის“ მსგავსებს...

**ა. ა.** – რატომ მოერგო, რით მოერგო?... ზემოთ სოლომან მორბელაძე გავიხსენეთ, გვარმა სახელი მოათრიაო... აქაც ასეა ვითომ? გვარი გაჩნდა – თათქარიძე – და ამან „მოათრია“ სახელი?

**თ. ბ.** – ერთი მოწათვე მყავდა, აბიტურიენტი, „კაცია-ადამიანი?!“ რომ დამთავრდა და ლუარსაბი და დარეჯანი გარდაიცვალნენ, თვალები ცრემლგებით აევსო: როგორი კარგები იყვნენო, არავისათვის არათფერი დაუშავებიათო, არათფერი წახდენიათო... აქ მწერლის დამოკიდებულებას მივაქცევ ყურადღებას: ლუარსაბი იმიტომაა უარყოფითი მწერლისათვის, რომ არათფერი გაუკეთებია... მკითხველისათვის იმიტომაა კარგი, რომ არათფერი დაუშავებია...

**ა. ა.** – ანუ: ერთი და იგივე პერსონაჟი „ცუდიცაა“ და „კარგიც“.

**თ. ბ.** – ეს ასეც შეიძლება გავიაზროთ: იმ დროში ვინც კარგს არ აკეთებდა, ცუდი კაცი იყო; დღეს – ცუდს თუ არ აკეთებს, კარგი კაცია!... ამან

- შეიძლება დროების შეფასებისათვისაც ივარგოს.
- ა. ბ.** – ისევ პერსონაჟთა ნათლობის პროცესს დავუბრუნდეთ... როგორც მწერალს გეკითხები: შეიძლებოდა თუ არა ამ პერსონაჟს, ლუარსაბს, **გიორგი** რქმეოდა? გავიხსენოთ – მის ძმას **დავითი** ჰქვია.
- თ. ხ.** – გიორგი ალბათ ვერ დაერქმეოდა. სიტყვის ბგერითი შედგენილობაა ისეთი – ლუარსაბ – თითქოს გაბერილია... ბ – ბერ – ბერვა... თითქოს კავშირშია პერსონაჟთან... **გიორგი** ამ ასოციაციას ვერ შექმნიდა.
- ა. ბ.** – საინტერესო საკითხი დასვი: სიტყვის ბგერითი შედგენილობა და პერსონაჟი...
- ბასილ მელიქიშვილის შემოქმედებაზე ვფიქრობდი. იქ დაისვა ეს საკითხი: ორი ძირითადი მოთხრობის მთავარ პერსონაჟს **თურმანი** და **თორელი** ჰქვია: არამულერი, არამკვეთრი თ და სონორები: რ, მ, ნ. ლ... მათ გვერდით ასეთი სახელებია: ხვედია, ბინალა, სალთუჯი, ბანჯურა, ჯათი, ბეასლამი... – ეს მამაკაცის სახელებია. ქალის სახელებიც თითქოსდა ფონეტიკურად გამორჩეულია (ნ მეორდება ხშირად):
- თ. ხ.** – არა, არა ჩანს შემთხვევითი... ძნელი სათქმელია, მწერალი ამაზე ფიქრობს, თუ როგორც

შენ ამბობ („ჩოხა-ახალუხივით შემოწკეპილი უნდა ჰქონდესო“ სახელ-გვარი...), ეს სახელი „მოერგო“ პერსონაჟს... მაგრამ აქ კიდევ ერთი რამეა გასათვალისწინებელი: მწერლობაშიც არის მოდა; დგება დრო მწერლობაშიც, როცა შემოდის მოდური სახელები, რომლებიც მხოლოდ ლიტერატურაში იხმარება და ცხოვრებაში დამკვიდრება არ უნერია. თუ გადავხედავთ ბასილ მელიქიშვილის დროის მწერლობას, ასეთი სახელები იშვიათობა არ იქნება. ამ მხრივ განსაკუთრებით ლაღო კოტეტიშვილის შემოქმედება იპყრობს ყურადღებას.

- ა. ა.** – ერთი ამბავიც გამახსენდა: სტუდენტებთან საუბრისას ასეთი კითხვა დამისვამს: ვაჟას ერთ პოემაში ორი პერსონაჟია – გოგოთური და აფშინა. ერთი დადებითია, მეორე – უარყოფითი; რომელი რომელია (იგულისხმება პოემა არა აქვთ წაკითხული). პასუხი უცთომელია!...
- თ. ბ.** – ესეც იქედანაა, „რაიც შთაგონებით გვწყალობს“...
- ა. ა.** – დავით კლდიაშვილის პერსონაჟებზე მიფიქრია ამ თვალსაზრისით. შეიძლება ფაქტები დავაზუსტოთ: დავითი ვარიანტებში პერსონაჟთა სახელ-გვარებს ცვლის. მაგალითად, „სამანიშვი-



ლის დედინაცვლის“ აღრეულ ვარიანტში **პლატონ სამანიშვილი არჩილ სანებლიძეა...** რატომ შეიცვალა, რა იყო მოტივაცია, ძნელი სათქმელია. „ქამუშაძის გაჭირვების“ ერთ-ერთ პერსონაჟს ჯერ ეფემია ერქვა, მერე – **ბარბარე**, ბოლოს – **ეკვირინე...**

- თ. ხ.** – მხოლოდ ქართულ მწერლობაში ხომ არ გვაქვს ასეთი მაგალითები. ამბობენ, არტურ კონან დოილს მთელი გვერდი ჰქონდა გადავსებული გვარ-სახელებით, როცა თავისი მოთხრობების მთავარი გმირისათვის სახელს არჩევდა და ბოლოს, როგორც იქნა, შერლოკ ხოლმისს მიაგნო; ასევე ინვალა მისი მენწყვილის, ექიმ უისტონის, გვარის გამოსაჩხრეკადაც...
- ა. ა.** – ალბათ ბევრი მწერალი ამას თავადაც ვერ ახსნის
- თ. ხ.** – ჰო, არის რაღაც ისეთი, რაც ავტორს ამას აკეთებინებს, ჩვენ გაგვიჭირდება ამოცნობა... ეს შეეფერება და გათავდა... აი, მოფერებითი სახელები რომ არის, მაგალითად გიორგი – გია, გოგი, გიო... ყველას ვერ აკადრებ, არ შეეფერება... აღრეც მითქვამს: ტარიელ ჭანტურიას აქვს ერთი შესანიშნავი რითმა: „ნოსტელ გიას – ნოსტალგია...“ შინაარსობრივადაც რა კარგია – ნოს-

ტალგია გიორგი სააკაძისა. მაგრამ ვერავინ ვერ მიიღო ეს რითმა; არ ასახელებენ კარგ რითმათა ჩამონათვალში: გიორგი სააკაძეს გიას ვერ აკადრებენ... დიდი მოურავი გია არ შეიძლება იყოს... – მარტო გიორგი...

**ა. ბ.** – მაგრამ აქ მწერლის ფაქტორიც ხომ არ შემოდის? – დიდოსტატს კონსტანტინე ჰქვია და უტა დაუძახა...

**თ. ბ.** – აი, აქ მოვუახლოვდით მწერლის დამოკიდებულებას პერსონაჟის მიმართ. უყვარს ავტორს, იხსენებს მის ბავშვობის სახელს და როცა ასე მოიხსენიებს, თითქოს ეფერება, ეალერსება.

**ა. ბ.** – დიდოსტატის სახელთან დაკავშირებით ერთი კითხვაც ჩნდება. ვერ ვიხსენებ შემთხვევას ქართულ ლიტერატურაში, მთავარ პერსონაჟს ავტორის სახელი რომ ერქვას, ავტორის სენია რომ იყოს... კონსტანტინე გამსახურდიას ორი რომანის გმირი კონსტანტინეა – კონსტანტინე სავარსამიძე და კონსტანტინე არსაკიძე... როგორ განმარტავ ამ ფაქტს?

**თ. ბ.** – ეტყობა, ავტორს თავისი სახელიც მოსწონს, უყვარს კიდევ და ორი მთავარი რომანის პროტაგონისტებს საკუთარი სახელი დაარქვა. თუმცა „დიონიოს ღიმილის“ დასასრულისას იმასაც

ამბობს: ნუ ამკიდებთ კონსტანტინე სავარსამიძის ცოდვებს, მე ჩემი ცოდვებიც მეყოფაო...

**ა. ბ.** – თამაზ, ჩვენს დროს სკოლაშიც ისწავლებოდა ნიკო ლომოურის მშვენიერი მოთხრობა „ქაჯანა“. გახსოვს?

**თ. ბ.** – რა თქმა უნდა.

**ა. ბ.** – აბა, გაიხსენე: ქაჯანა პერსონაჟთაგან დას ჰქვია თუ ძმას?

**თ. ბ.** – დას.

**ა. ბ.** – არა!... ძმას ჰქვია. და-ძმა არის, კატო და ქაჯანა... წიგნში ჩავიხედოთ. მოთხრობის პირველი წინადადებაა: „პატარა ქაჯანა გახლავთ მეტი სახელი სოფლელი პატარა ბიჭისა“... და მერე: „საშინელი ეშმაკი და კუდიანი გოგონა იყო ეს კატო“... აი, ეს არის პერსონაჟთათვის სახელების არასწორად შერჩევა.

**თ. ბ.** – ვისაც ახსოვს ეს მოთხრობა, ყველა იტყვის ალბათ, რომ ქაჯანა გოგოა, დიახ, თავისი ქცევით: ცელქი ბუნებით, მოქმედებით. სხვათაშორის ეტიმოლოგიურადაც ქალის სახელია „ქა“ (შემოკლებული ქალო) და „ჯან“... ძველსპარსული „სულო“ (აქ მეგრული „ჯანსულოც“ ამოტივტივდა გონებაში...).

**ა. ბ.** – ესაა ის, რასაც ვამბობდით: არასწორად შერ-

ჩეული სახელი პერსონაჟისა... სხვათაშორის, ნ. ლომოური განმარტავს, რატომ დაერქვა ამ პერსონაჟს ქაჯანა: ლაპარაკში ხშირად უყვარდა სიტყვა „ქაჯანას“ ხმარება.

**თ. ბ.** – ეჰ, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს პერსონაჟის გვარ-სახელს, მაგრამ უპირველესი მაინც სხვა რამეა: დაარქვი სახელი და ნაწარმოები თუ ივარგებს, ეს პერსონაჟი თავსაც დაიმკვიდრებს და სახელსაც მოივებს...

**ა. ა.** – წინა დიალოგში კარგად თქვი: შენს პერსონაჟს სახელს რომ დაუძახებ და არ მოიხედავს, უნდა მიხვდე, რომ ნათლიად ვერ ივარგე და უნდა შეუცვალოო სახელი... გქონია, თამაზ, შენ ასეთი შემთხვევა?

**თ. ბ.** – დამთავრებულ მოთხრობაში სახელი არ შემიცვლია. მუშაობისას – კი, მომხდარა ასეთი რამე; ადრეც ვთქვი, რომანის პერსონაჟს გზადაგზა რამდენჯერმე შეეცვალა სახელი.

**ა. ა.** – მახსოვს, სანამ **დემნას** დაარქმევდი.

**თ. ბ.** – ოღონდ, მერე, როცა ვკითხულობდი, როგორც სხვის ნაწარმოებს, მაშინ ვიფიქრე, ეს ასე გაუკეთებია-მეთქი ავტორს... მაშინაც ვთქვი, ეს ჩემდაუნებურად მოხდა, თავისით მოვიდა ეს სახელი; მერე მივხვდი, რატომაც... ეს ჩვეულებრი-

ვი შემოქმედებითი პროცესია, მოვლენაა, როგორც ჩანს. ამასაც განსაზღვრავს ის, „რაიც შთაგონებით გვწყალობს“.

- ა. ბ.** – ხშირად პროტოტიპი კი ჰყავს პერსონაჟს, მაგრამ ამ პროტოტიპის სახელი იშვიათად თუ გადაჰყვება ნაწარმოებში. რეზო ინანიშვილს ვსტუმრობდით უჯარმაში. აი, იმ სახლში ცხოვრობდაო ბიბო (ცნობილი საბავშვო მოთხრობის პერსონაჟი), დაგვანახა. ბადრი ერქვაო და გვიამბო, როგორი ბიჭი იყო... სახელი მაინც სხვა მოერგო – ბიბო... ოტია იოსელიანი ავტობიოგრაფიული მოთხრობების შესავალში გვაფრთხილებს, რომ აქ ყველაფერი სინამდვილეა, მაგრამ ნამდვილს „შეთხზულ სახელს არქმევს“, რადგან მიაჩნია, რომ „ყველაფერს არ ჰქვია თავისი სახელი“...
- თ. ბ.** – პერსონაჟის სახელის დარქმევა ასეთივე პროცესი ჩანს და არა მხოლოდ სახელი...
- ა. ბ.** – ლუარსაბზე რომ ვსაუბრობდით, ვთქვი, დავანებოთ-მეთქი თავი გვარს, მაგრამ, ეტყობა, პერსონაჟის გვარს მაინც ვერ აწვევლით გვერდს... ლუარსაბ თათქარიძე და დარეჯან გრძელაძე... ფაქტია, თათქარიძე არ არის რეალურ გვარი; მაგრამ არც ისეთი გამჭვირვალეა, როგორც ე. ნინოშვილისა და გ. წერეთლის პერ-

სონაჟთა გვარები, თუმცა ეტყობა რალაც სემანტიკური დატვირთვა მაინც აქვს...

- თ. ბ.** – საერთოდ ილია ჭავჭავაძის პროზაში ეს საკითხი საგულისხმო მეჩვენება. აბა დავფიქრდეთ: მოთხრობებში „ოთარაანთ ქვრივი“, „გლახის ნამბობი“, „სარჩობელაზედ“ მთავარი პერსონაჟების გვარი არ ვიცით; არ მიიჩნია საჭიროდ მწერალმა... „კაცია ადამიანში“ სხვა ვითარებაა: თათქარიძე და გრძელაძე...
- ბ. ბ.** – საგანგებოდ მოვიძიე ცნობარებში და ეს ვარიანტი - გრძელაძე - არ ჩანს, გრძელიძე - კი. (ასევე რ სონორის გარეშე - გძელიძე არის, გძელაძე - არა). ანუ: რეალური გვარისგან ფონეტიკურ ვარიანტს აკეთებს: ი ხმოვანს ჩაანაცვლებს ა ხმოვნით...
- თ. ბ.** – მსგავსი ვითარება დ. კლდიაშვილთანაც იყო: მორბელაძე მორბელაძედ გადააკეთა... იქ თითქოს მოტივირებული ჩანდა: გვარი რბოლარბენას დაუახლოვდა ფონეტიკურად... გრძელაძის შემთხვევაში რა ვიფიქროთ?
- ბ. ბ.** – ი/ა შენაცვლებით ირონია შემოაქვს, დასცინის; სიტყვას საპირისპირო მნიშვნელობას აძლევს. წიგნში ჩავიხედოთ: ლუარსაბის გარეგნობა გვახსოვს; დარეჯანზე იტყვის: „ფერი ერთი ჰქონდა-

თო“; „ეს ამოდენა დედაკაცი, ჩაგოდრებული, ჩასორსლებული (...) გორგალსავით დაგორავდა...“ და გრძელაძეო... ეს ა სუფიქსის გამოყენების ის შემთხვევა ჩანს, სიტყვას კნინობითობის (უქონლობის) შინაარსს რომ აძლევს: კუდა უკუდოს ნიშნავს..

- თ. ბ.** – ასეთი შემთხვევები ხშირად არის კახურ მეტსახელებში: უყუროს შეიძლება ყურა დაარქვან, მოკლევცხვირიანს – ცხვირა, დაბალსა და ჩამრგვალებულს – გრძელა... ასეთი თიკუნი პერსონაჟს კიდევ უფრო სასაცილო ელფერს ანიჭებს; აქ ალბათ გაუცხოების ეფექტიც არის გასათვალისწინებელი... მაგრამ თათქარიძე როგორ მოერგო ლუარსაბს, არა? თან სათავადო გვარი იყო... შეიძლება ჩვენ ვერა ვხვდებით, თორემ უმოტივაციოდ არც ეს გვარები უნდა იყოს შემოტანილი.
- ბ. ბ.** – აქ „სცენებიდან“ გლახა ჭრიაშვილის გახსენებაც გვმართებს. ორსიტყვიანი სინტაგმა იქცა სახელ-გვარად: გლახა ჭრიაშვილი – გლახად (ცუდად) ჭრიალებს, გლახად ჭრის... ანუ გაუჩერებლად, გაუთავებლად, უაზროდ მრავალსიტყვაობს და იკარგება აზრი... იმდენად ზუსტად და საინტერესოდ არქმევს პერსონაჟს გვარ-

სახელს, იმდენად საინტერესო პერსონაჟებს ხატავს, რომ თათქარიძეც და ჭრიაშვილიც განზოგადდა... უნდა ვიფიქროთ, რომ მე-19 საუკუნის ქართულ პროზაში მოტივირებული სახელგვარები სათავეს ილიასთან იღებს...

**თ. ბ.** – ილიას სხვა მოთხრობებში რა ხდება? ოთარაანთ ქვრივის, გიორგის, არჩილს, გაბრიელს, პეპიას, დათიკოს, პეტრეს გვარი არა აქვთ... არ სჭირდებათ?... ალბათ, არა... ეტყობა, ილიასთან „გვარიანობაც“ და „უგვარობაც“ მოტივირებულია...

ხომ გახსოვს, ზემოთ კლდიაშვილის ნათქვამი რომ დავიმონწმეთ – „გვარმა სახელი მოათრიაო“? ჯერ იყო და ავტორმა რეალურ გვარს ფონეტიკური სახე შეუცვალა, მერე „მოათრია“ მორბელაძემ სოლომანი და მოთხრობაც იოლად დაინერა... ამ შემთხვევაში გვარს ეძლევა უპირატესბა... მორბელაძეს რომ მიაგნო, მერე გაეხსნა გზა მოთხრობას...

**ბ. ბ.** – ძალიან საინტერესოა ის, რომ დავითი ვარიანტებში გვარსაც უცვლის პერსონაჟს და სახელსაც: არჩილ სანებლიძე პლატონ სამანიშვილი გახდა („სამანიშვილის დედინაცვალი“), ოტია ქამუშაშვილი – ქამუშაძე („ქამუშაძის



გაჭირვება“), ბაბო სარალიძე – გარაყანიძე („წრფელი გული“)... რეალური გვარი იცვლება რეალური გვარით, „ძეზე“ დაბოლოებული „შვილზე“ დაბოლოებულით და პირიქით... მოტივაცია თითქოს არ ჩანს...

**თ.ბ.** – ცხადია, ჩვენ ვერ ვამჩნევთ, თორემ...

**ა.ბ.** – პერსონაჟის გვართან დაკავშირებით დ. კლდიაშვილთან ესეც საინტერესოა: პიესაში „ღარისპანის გასაჭირი“ ყველა პერსონაჟს გვარი აქვს (მართა ქვიტირიძისა, პელაგია საბელაშვილისა, ღარისპან ქარსიძე, ონისიმე მათარაძე, ოსიკო ხარაბაძე...), ხოლო პიესაში „უბედურება“ არცერთ პერსონაჟს გვარი არა აქვს.... ან ერთგან რა დატვირთვა აქვს „გვარიანობას“, ან მეორეგან – „უგვარობას“, ალბათ მხოლოდ დავითმა იცის...

**თ.ბ.** – არადა რომ აქვს ეს დატვირთვა, ფაქტია: „სოლომან მორბელაძე“ ვერ დაიწერა, სანამ პერსონაჟის გვარს არ მიაგნო...

**ა.ბ.** – აქ ესეც საინტერესოა: ვარიანტებში შეიცვალა გვარი, შეიცვალა სათაურიც: სანებლიძე გადაკეთდა სამანიშვილად და სათაური „ძილი მოსვენება“ იქცა „სამანიშვილის დედინაცვლად“... ქამუშაშვილი ქამუშაძედ შეიცვალა და შესაბამისად

„გამოსაცვლელი ცხოვრება“ – „ქამუშაძის გაჭირვებად“... არც ეს უნდა იყოს შემთხვევითი...

**თ. ბ.** – კლდიაშვილისნაირ მწერლებთან შემთხვევითი არაფერია... მაგრამ რა ხდება, რატომ და რა მიზნით, ეს ალბათ მხოლოდ ავტორმა იცის... ან იმან, ვინც ან „რაიც ავტორს შთაგონებით წყალობს“... გახსოვს, ამაზე მე არ მიფიქრიაო, ვწერდი, როგორც იწერებოდაო...

**ა. ბ.** – ამ თვალსაზრისით მიხეილ ჯავახიშვილის კვატი კვატანტირაძე თუ გივი შალური, ჭაბუა ამირეჯიბის დათა თუთაშხია ძალზე საინტერესოა... სხვა, რა თქმა უნდა. მაგრამ ამ საკითხზე საუბრისას დღეს ნუ წავალთ უფრო შორს...

**თ. ბ.** – ლიტერატურის ისტორიამ მსგავსი შემთხვევები იცის... ზემოთ კონან დოილი ვახსენეთ... მაგრამ, მართალია, გაგვიგრძელდა საუბარი...

**ა. ბ.** – ისევ შემოქმედებით პროცესს მივუბრუნდეთ: რეზო ინანიშვილს აქვს ასეთი ჩანაწერი: „ვიღაც თუ რაღაც მკარნახობს წერის დროს. როცა არ მკარნახობს, ვიტანჯები, თავის მოკვლა მინდა, ისეთ სიცარიელეს ვგრძნობ. დღეს, 25 აგვისტოს, სულ რომ არ ვფიქრობდი ასეთი რამის დაწერას, უცებ მეკარნახა მოთხრობა „სულ ოდნავ მარჯვნივ“ („წრე“), ჩავიწერე იგი საათნახევარში“.

თამაზ, „მკარნახობს“, „მეკარნახა“, „ჩავიწერე“... აქვე ვიტყვი ბარემ, არასოდეს ანა კალანდაძე არ ამბობს, ლექსი დაწერეო; ამან დამაწერიანა, დაიწერა ლექსი... თამაზ ხმალაძის კომენტარი მაინტერესებს.

**თ. ბ.** – როცა „გეკარნახება“, როცა მოდის („წრფელი გულის“ დასაწყისისა არ იყოს), არ უნდა გაატარო... იმას თუ გაუწიე ანგარიში, უხერხულია, მეგობარს აქ ხომ არ მივატოვებ და მე საწერად ხომ არ წავალო და ა. შ. ... ჩაივლის ის, რაც „მოვიდა“!... უხერხულობა ცხოვრებისეული ამბავია, შემოქმედებითი პროცესი – სხვაა... სამწუხაროდ, ამ გადასახედიდან რომ ვუმზერ, ბევრჯერ გავუწიე ანგარიში ამგვარ „უხერხულობას“...

**ა. ბ.** – მოდი, ისევ პერსონაჟებთან მივიდეთ...

**თ. ბ.** – პერსონაჟი მაინც საინტერესოა. ხანდახან მოდის და გულს გიჩვილებს, გეფერება კიდევ...

**ა. ბ.** – ვინა გყავს ასეთი?

**თ. ბ.** – არიან...

**ა. ბ.** – მენახირე გაბო გამახსენდა („სავსე მთვარე“); შენისთანა გულშემატკივარი, თანამგრძობი და მესაიდუმლე არავინა ჰყავს... ამგვარ პერსონაჟს მწერალი ეყვარება, ცხადია.. თამაზ, სიტყვამ მოიტანა და – პერსონაჟი კვდება და ავტორი

გლოვობს, პერსონაჟს უყვარს ავტორი, ეფერება მას... ის თუ შეიძლება, მწერალს თავისი პერსონაჟი შეუყვარდეს, გაუმიჯნურდეს?

**თ.ბ.** – განა არის ამქვეყნად ისეთი რამე, რაზეც შეიძლება ითქვას: არ შეიძლებაო? მაგალითისთვის რალა შორს წავიდეთ, ეგეთი ამბავი მეც გადახდა თავს, „დროის მკვლელები“ წერისას ნაია შემიყვარდა... უნდა გვევარაუდნა, რომ ამას სასიკეთო შდეგი მოჰყვებოდა. რა გასაკვირია, როცა გიყვარს ადამიანი, რეალურ ცხოვრებაში იქნება თუ ვირტუალურში, უფრო მშვენიერად, უზადოდ და სრულქმნილად მიიჩნის იგი. მაგრამ პირიქით კი მოხდა, ეს პერსონაჟი იმასთან შედარებით, ბევრად უფერული გამოვიდა, რაც სინამდვილეში უნდა ყოფილიყო. ბევრი რამე დავაკელი გარეგნულადაც და ხასიათის მხრივაც. ვერ გეტყვი, რა იყო მიზეზი, ვითომ მკითხველზე ვიქვანე? რა ვიცი, ცხოვრებაში ეჭვიანი არა ვარ და აქ რა ღმერთი გამიწყნებოდა? ფაქტი ის არის, რომ მისი ბევრი საუკეთესო თვისება დავმაღე, არ გავამულაფნე... რომ გითხრა, ბოლომდე გამიარა-მეთქი მისადმი გრძნობამ, ტყუილი იქნება; მისი სახელის ხსენება ახლაც სასიამოვნოდ ელამუნება გულს... სიტყვამ მოიტანა

და ბარემ იმასაც გეტყვი, რომ, საერთოდ, მწერალი ხშირად შეგნებულად და ზოგჯერ უნებურად ყველაფერს არ უმხელს მკითხველს, რაღაცას საიდუმლოდ ინახავს და მის ალლოს ენდობა ამ საიდუმლოს ამოსაცნობად. თავში ვთქვით, ყველა ხელობის ადამიანს არსთავამრიგესაგან ევალება თავისებური შემოქმედი იყოსო. „მკითხველობაც“ პროფესიაა; მისი „შემოქმედობა“ კი იმით მულავნდება, რამდენად შეუძლია მწერლის მიერ საიდუმლოდ გადანახულის ამოცნობა...

- ა. ბ.** – უდავოდ საინტერესოა. ეს შენი პირადი გამოცდილებაა, მაგრამ სხვებთან რა ხდება? სხვა მაგალითის მოყვანა შეგიძლია?
- თ. ხ.** – უფრო შთამბეჭდავ მაგალითს გეტყვი, გიორგი; მშვენიერ ძველბერძნულ მითს გაგახსენებ პიგმალიონზე, კვიპროსის მეფეზე. თუმცა მან შთამომავლობას როგორც მონარქმა კი არა, როგორც ხელოვანმა, ისე დაამახსოვრა თავი; სწორუპოვარი მოქანდაკე გახლდათ. ერთხელ პიგმალიონმა სპილოს ძვლისაგან ქალწული გამოაქანდაკა – გალათქა და მოხდა უცნაური რამე: შემოქმედს თავდავინწყებამდე შეუყვარდა თავისი ქმნილება და მუდმივ სატანჯველად ექცა. ველარ შორდებოდა თავის ქანდაკებას და

ვევდრებოდა, ხმა გამეციო... აფროდიტეს შეებრა  
ლა შემოქმედი და გალათეას სული ჩაუდგა.  
ბედნიერმა პიგმალიონმა გალათეა ცოლად  
შეირთო, შვილებიც ეყოლათ...

შედგომში ამ თემაზე მრავალი მხატვრული ქმნილე-  
ბა შეიქმნა ხელოვნების სხვადასხვა დარგში, მათ  
შორის ალბათ საუკეთესოა ეტიენ მორის ფალ-  
კონეს ქანდაკება „პიგმალიონი“, აგრეთვე ფრან-  
სუა ბუშეს „პიგმალიონი და გალათეა“ (შიშველი  
გალათეა დგას და პიგმალიონი ხელზე კოც-  
ნის)... ძალიან ბევრი ქვეყნის სცენაზე დაიდგა და  
ალბათ დღესაც იდგმება ბერნარდ შოუს კომე-  
დია „პიგმალიონი“... ჯილბერტსაცა აქვს პიესა  
„პიგმალიონი და გალათეა“... კინემატოგრაფიცი  
დაინტერესდა ამ თემით; ვთქვათ, ჩვენი დროის  
ფრიად ნაქები მელოდრამა „ლამაზმანი“, სადაც  
რიჩარდ გირი და ჯულია რობერტსი თამაშო-  
ბენ...

დღეს რა უნდა ვქნათ, რა ნემსის ყუნწში უნდა გაძვ-  
რე, რით უნდა გააკვირვო ჩვენი მკითხველი? გა-  
ნა არსებობს რაიმე სიუჟეტი, რომელიც ან ბიბ-  
ლიაში, ან მითოლოგიაში არ იქნება? თუ მოვა-  
ხერხებთ და ჩვენეულ ვარიანტს შევქმნით, თუნ-  
დაც ჩვენეულ მცირე დეტალს შევძენთ, ჩვენი სამ-

ზერიდან დავანახებთ ვინმეს, მე მგონია, ესეც უკვე წარმატებად მისაჩნევია...

- ა. ბ.** – თამაზ, მოდი ისევ შენს პერსონაჟებთან დავბრუნდეთ... როცა შენს მოთხრობებზე ვფიქრობ, ნასყიდა და ჯალალა სხვაგვარად ეჭიდება გულს. მგონია, რომ ეს სახელებიც შენი საკუთრებაა, სხვა ვერ შეეხება. ანდა, თუ სხვა მოჰკიდებს ხელს, იმგვარად, გოდერძი ჩოხელმა „მიჯაჭვეულ რაინდებში“ ილიას ლუარსაბი და დარეჯანი რომ გამოიყვანა (ანდა, დონკიხოტი და სანჩო პანსა...)...
- თ. ბ.** – ჰო, გოდერძიმ სხვისი პერსონაჟები გადმოასახლა თავის მოთხრობაში, სხვა გარემოში დაასახლა...
- ა. ბ.** – ასე ვთქვათ, სხვისი პერსონაჟები არიან; გოდერძიმ ღროვებით ისტუმრა, „მდგმურად“ არიან... მაგრამ მთავარი ისაა (ამისთვის დავინწყე ამბზე საუბარი), რომ გოდერძის ჰქონდა ენის განსაკუთრებული გრძნობა და ამ პერსონაჟთა საუბარში ეს კარგად გამოიყენა... შენთან არის ასეთი ენობრივ-სტილისტური საინტერესო გადასვლები. აი, ის მოთხრობები – „ამბავი ჩალამბარასი და კიდევ სხვისა“ და „ორი ზოლი“... სხვადა-

სხვა თაობის პერსონაჟები როგორ ცდილობენ, თან „ერთნაირად“ ილაპარაკონ, ერთ დიალექტზე და თანაც „სხვადასხვაგვარად“ – თაობათა შორის წარმოშობილი ენობრივი სხვაობის გათვალისწინებით. გულწრფელად გეტყვი, აქ მწერალს ურთულესი ამოცანა აქვს (თუ პასუხისმგებლობას გრძნობს დედაენის წინაშე)... ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში მწერალი თავს კარგად ართმევს ამ ამოცანას. თამაზ, ამის თაობაზე წინასწარ გითქვია, თუ ეს ყოველივე „გეკარნახა“?

**თ. ბ.** – ისევ გავიმეორებ: „ის“ განსაზღვრავს ყველაფერს; აქაც ასეა: დაიწყო ლაპარაკი მოხუცმა. იწყება წინადადება, მერე ეს წინადადება თვითონ წაგიყვანს თავის გზაზე... ამ გზაზე უარგონი არ არის, – ვერ გამოიყენებ. მიჰყვები და თვითონ გაწერიწებს ყოველივეს. ნაღფარიანთ დედაბერი რომ მიმართავს „ახტაჯანა“ ელიკოს: „ამაი-ცმევ პანანკინა ნიფხავს, ჩაიცმევ მოკლესა და გულამოღებლ კაბას და მიდიიი! ქვევით და ზევით დაჰფრიალობ ეგრე შიშლიკანა“... გოგო თავისას ეტყვის, თავისებურად: „შენ რაღას ამბობ, ქა, ნეტა რა იცი, რას ამოვიცვამ ხოლმე და რას არა!.. ვისი რა საქმეა, იქნება მე არც ეგ პანანკინა უნდა ჩავიცვა?!.. – არ ჩაიცმევ და ნუ ჩაიც-



მევ! ჩვენ რას გვაგულისჯირებ, ქა! სიმართლე გითხრა, სულ რო ტატრაყუნებმა ირბინოთ, არც ეგ გამიკვირდება, მამიჩემის სულის ცხონებამა!“  
აი, აქ, მსგავსებაც არის სტილში და განსხვავებაც... მე არაფერ შუაში ვარ, ამას თვითონ ის პერსონაჟები აგვარებენ...

- ა. ა.** – ორივე ერთ დიალექტზე ლაპარაკობს, მაგრამ სხვაობა მაინცაა...
- თ. ბ.** – ორივე თანამედროვე დიალექტზე საუბრობს, ოღონდ „თავთავიანთ თანამედროვე დიალექტზე“... ნალფარიანთ დედაბრის დიალექტი უკვე „გასული“ დიალექტია, „ახტაჯანასი“ – დღევანდელი...
- ა. ა.** – ამას ისინი თავად აწესრიგებენ და როგორც დავით კლდიაშვილი იტყვის, „ამაზე მე არ მიფიქრიაო“...
- თ. ბ.** – ასეა, ცხადია. აქ ჩემი მხოლოდ „ნალფარია“. „ნალფარი“ ქართულ ნალს ერქვა, რომელიც რუსების შემოსვლის მერე იშვიათად იხმარებოდა და სიტყვაც დაიკარგა. მე ვეცადე ჩემს შემდგომ მცირე ხნით მაინც გადამერჩინა რალაცა ფორმით.
- ა. ა.** – თამაზ, წელან შენ დაახლოებით ასეთი რამე თქვი: პერსონაჟი საუბარს რომ დაიწყებს, მე

აღარ მეკითხება, წინადადება თავისით მიდისო...

**თ.ბ.** – ჰო.

**ბ. ბ.** – ჯემალ აჯიაშვილმა შუა საუკუნეების ებრაელ ავტორთა პოეზია რომ თარგმნა, შეხვედრა მოვუწყვეთ უნივერსიტეტში. ჯემალს ძალიან საინტერესო ენა აქვს; მდიდარი ლექსიკა, სიახლეები სიტყვანარმოებაში, ლექსიკური ინიციატივები. ვკითხე, რა იყო საიდუმლო ამ ლექსიკური ინიციატივებისა, როგორ იბადება ახალი სიტყვა, ფრაზა... ვერ გეტყვიო, მითხრა; ერთი სიტყვა რომ მოვა, იმას მოჰყვება მეორე, მესამე და ასე შემდეგო. პირადად მე ამ განმარტებიდან გამომდინარე პროცესი ასე მესახება: მწერალი ელოდება სიტყვას, ფრაზას, წინადადებას... ხმა ესმის და აი, გვირაბიდან გამოდის „მატარებელი“: გამოჩნდა ორთქლმავალი და მერე ჯერ ერთი ვაკონი, მერე – მეორე, მესამე და ა. შ.

**თ. ბ.** – საინტერესო გააზრებაა... მწერალი კარგად უნდა იცნობდეს ენის შესაძლებლობებს; სწორედ ამ შესაძლებლობათა ცოდნა აძლევს იმის საშუალებას, „გააკეთოს“ ახალი ფორმა; „აღმოაჩინოს“ ახალი სიტყვა... თუმცა ეს „გაკეთებული“ ფორმაც და „აღმოჩენილი“ სიტყვაც ბუნებრივი ქართულია...

- ა. ა.** – სწორედ ამის შესახებ წერს ბესიკ ჯორბენაძე: „მწერალი პირველალმომჩენია და არა გამომგონებელიო“... მე ამ შემთხვევაში, ამ თვალსაზრისის დასტურად, მკითხველს თამაზ ხმალაძის წიგნებში ჩახედვას ვურჩევდი... მსჯელობამ შენი პერსონაჟების ენის შესახებ ერთი უცნაური კითხვაც გამიჩინა: თამაზ, ასეთი კარგი ქართული შენ ასწავლე შენს პერსონაჟებს თუ იმათ გასწავლეს შენ?
- თ. ბ.** – ვითომ გვეტყობა რამე ნასწავლობისა ან მე ან ჩემს პერსონაჟებს? განა ბუნებრივი არ არის ჩვენთვის ასეთი ქართული?... ისე კი, არ დავმაღლავ და, ჩემს გარეშე ისინი ასე ვერ ისაუბრებდნენ და მეც სხვებს ასე ვერ ავალაპარაკებდი. ჩემს მოთხრობებში (და რომანშიც) თბილისელებიც ხომ არ არიან სანთლით საძებარნი და არა მგონია, საუბრისას მათაც რამე „იალლიში“ მოსდიოდეთ.
- ა. ა.** – კარგი, ახლა ისიცა ვთქვათ: თუ უმაღლესს შემოქმედს გაუჩნდა სურვილი თავისი შექმნილისადმი დამოკიდებულება სხვისთვისაც გაეზიარებინა, მიწიერი ხელოვანიც (ჩვენს შემთხვევაში მწერალი) ხომ გულისხმობს შემოქმედების პროცესში იმას, ვისთვისაც ქმნის ნაწარმოებს, მკითხვე-

ლს ვგულისხმობ.

**თ. ბ.** – უჰ, ეს ძალიან ძნელი თემაა, დღეს ვერ მოვერევით (საერთოდაც, ოდესმე თუ შევძელით მორევნა). მკითხველი ტრიადის აუცილებელი წევრია და დღეს მხოლოდ ერთ სახალისო ამბავს მოგიყვები, რომელიც ჩვენმა ერეკლე საღლიანმა მიაგმო:

ერთხელ გურამ დოჩანაშვილთან სტუმრად ყოფილა ერეკლე (ამ ამბავს გურამის მეუღლე ნათელაც ესწრებოდაო); ვილაც ქალს დაურეკავს მწერალთან. მცირე ხნის საუბრის მერე გაოცებულ გურამს ერეკლესთვის გადაუცია ყურმილი: ნახე, რას მეუბნებაო:

- რაო, რა გნებავთ, ქალბატონოო; – უკითხავს ერეკლეს.
- იცით, მე გურამ დოჩანაშვილის პერსონაჟმა გამაუპატიურა და მწერლისაგან მორალურ კონპენსაციას მოვითხოვო!...

ერეკლე არ დაბნეულა:

- მე ვარ, ქალბატონო, ის პერსონაჟი და ეხლა მაგ საქმის გამო ავტორთან აღსარების სათქმელად ვარ მოსულიო!

ტელეფონში მხიარული კისკისი გაისმა და ყურმილი დადესო.

აი, ზოგჯერ ასეთ დამოკიდებულებასაც გადავეყრებით ცხოვრებაში იმ ტრიადას შორის, მწერალი, პერსონაჟი და მკითხველი რომ ჰქვია. მაგრამ ამ საკითხზე, მოდი, სხვა დროს ვისაუბროთ, დღეს ეს ვაკუაროთ...

## როგორ ვიცით დადანა

(ძველი დიალოგი სადღეისო გაგრძელებით...)

დიალოგი გადაიყა რადიოპროგრამით  
„დროება“ 1991 წლის 15 ივნისს.  
საგაზეთო ვარიანტი დაიბეჭდა გაზეთში  
„ქართველი ერი“ (№20, 1991)

- თ. ბ.** – გიორგი, ამ ბოლო დროს არაერთი კრიტიკული თუ პოლემიკური წერილი გამოქვეყნდა ქართული ენის თაობაზე. მათში სხვადასხვა კუთხითა და განსხვავებული სულისკვეთებით განიხილებოდა დედანასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები. როგორც ყოველთვის ხდება ჩვენში, პოლემიკას ვნებათაღელვაც ახლდა...
- ა. ა.** – და როგორც ხშირად ხდება, ამ შემთხვევაშიც წინა პლანზე პირადულმა ინტერესებმა წამოიწია... თავის გამოჩენის სურვილმა იმძლავრა და საზოგადო ინტერესი პირადულს შეეწირა...
- თ. ბ.** – დიახ, ზოგჯერ მოჰაექრეები იმაზე მსჯელობას მეტ დროს ანდომებენ, რომელ მათგანს რა

შეეშლება, რა შეცდომა დაუშვა ქართულში, კინკლაობასა ჰგავს ეს პაექრობა... მაშინაც, როცა ზოგადი პოზიცია მათი განსხვავებულია და მაშინაც კი, როცა ზოგადი პოზიცია დედანდინადმი ერთგვარია, და ამ დროს კამათსაც აღარ ელოდები...

- ა. ბ.** – და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, ქართული არც ერთმა იცის წესიერად და არც მეორემ...
- თ. ხ.** – გარკვეულწილად ამ შემთხვევაში უფლებასაც კი ართმევენ ერთმანეთს ამ პრობლემაზე საუბრისას: შენ შენი საქმე ვერ მოგიგვარებია და სხვას რას ასწავლიო...
- ა. ბ.** – ამგვარ კამათს რომ ვისმენ, აკაკი წერეთლის ერთი მოგონება მახსენდება: „ერთხელ სადილად ვიყავით ივანე მაჩაბელთან და სუფრაზე ჩამოვარდა ლაპარაკი შექსპირის შესახებ. ვანომ თქვა: მეფე პირდაპირ ინგლისურიდან არის ნათარგმნი და კარგი ენითაც არის ქართულზე გადაღებულიო! – პირდაპირ ინგლისურიდან რომ არის ნათარგმნი, ეტყობა, მაგრამ ქართული ენა კი ძალიან კოჭლობს-მეთქი, ვუპასუხე მე. – გაცხარდა. წამოვარდა ზეზე, შეიჭრა მეორე ოთახში, გამოიტანა წიგნი და დამიგდო წინ... აბა გვიჩვენე შეცდომებიო! პირველ გვერდზევე

მივეუთითე. გადააბრუნა მეორე, აქაც აღმოჩნდა... ჩაჰყვა ამ გვარად და რომ გმტყუნდა, მითხრა: „რა ვუყოთ მერე, განა შენს ნაწერებში კი არ არის შეცდომები თუო?“ მე სიცილი დავიწყე და ვუთხარი: „აქ სიტყვა ჩამოვარდა მეფე ლირზე და მეც მიტომ ვამბობ! და როცა ჩემ ნაწერებზე გადახვალთ, რა იცით, რომ აქაც არ დაგეთანხმებით? – მერე კიდევ, განა ერთის უვარგისობა ამართლებს მეორისას? მე რომ ქართული კარგად არ ვიცოდე, ნუთუ სხვებმაც აღარ უნდა ისწავლონ? ამ გვარი ბაასი ინტელიგენტური ბაასი კი არ არის, მოახლური გაქიშვებაა-მეთქი“.

**თ. ბ.** – და სწორედ დედაენის თაობაზე „ინტელიგენტური ბაასი“ გვჭირდება; როგორც აკაკი ბრძანებდა, და არა „მოახლური გაქიშვება“. მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით ახლახან გამართულ დისკუსიაში, სადაც შენც მოგიწია, გიორგი, კამათში ჩაბმა, სრულიად ნათლად გამოიკვეთა აზრი, რომ **ქართული ენა ჩვენმა ახალგაზრდობამ ცუდად იცის**, ამის გამო იმასაც კი მოითხოვდნენ, მისაღებ გამოცდებზე ნუ მოგვიტახავთ ქართული ენის ცოდნასო...

**ა. ა.** – ეს მეორე უკიდურესობაა. თუ ცუდად იციან, ფაქტია, არ ასწავლიან კარგად (ეს ასეა და, რა



თქმა უნდა, ვეთანხმები); ამ დროს უნდა დავსვათ საკითხი სწავლების გაუმჯობესებისა და არა საგნის უარყოფისა. ყველამ ერთად უნდა ვეძებოთ ეს გზა – გზა ქართული ენის სწავლების გაუმჯობესებისა, თორემ გამოცდაზე მოვკითხოთ თუ არა აბიტურიენტს ქართული ენის საკითხების ცოდნა, ეს არაა პრობლემის გადაწყვეტა. მოდი, ავს ვუნდოთ ავი და ვალიაროთ, რომ ქართული ენის სწავლება ცუდადაა დაყენებული; ქართველ კაცს დედაენას არ ვასწავლით ისე, როგორც საგანს ეკადრება, ენას ეკადრება და ქართველს სჭირდება.

- თ. ბ. – დედაენის უცოდინარობა ყოველ ფეხისნაბიჯზე საცნაურია; ასეთი აზრიც გამიგია, არცერთი ერი ისე გულგრილად არ ეკიდება მშობლიურ ენას, როგორც ქართველიო...
- ბ. ბ. – ეს იმათ შესახებ, ვინც დაუდევრად ეკიდება ენას, მაგრამ არის სხვაგვარი დამოკიდებულება: ამას წინათ ერთი ცნობილი ლიტერატური იმასაც მიმტკიცებდა, არავის ისე არ უჭირს გამართული, ლიტერატურული ენით საუბარი ოფიციალურ სიტუაციაში, როგორც ქართველსო და მაგალითად რადიოსა და ტელევიზიაში გამომსვლელთა საუბარი მიჰყავდა.

- თ. ბ.** – სხვაგან რა ხდება ამ მხრივ, ამის მტკიცება ძნელია ალბათ, მაგრამ რაზეც თვალი და ყური მიგვიწვდება, იმასთან შედარებით რომ გვიჭირს, ფაქტია. რატომ ხდება ასე?
- ა. ბ.** – აქ მართო ენის ცოდნის საკითხი არ უნდა იდგეს. ფსიქოლოგიურ მომენტსაც უნდა გაეწიოს ანგარიში. ჩვენ ყველაფერს იმ აზრით სამოცდაათ წელს ვაბრალვებთ და ასეთ ფაქტზე მინდა დავფიქრდეთ: გვქონდა საკუთარი აზრი რაიმე საკითხთან დაკავშირებით; ტრიბუნაზე, მიკროფონთან თუ ეკრანზე გამოსვლისას ვინცებლით ფიქრს (და ეს ახლაც გრძელდება გარკვეულწილად) – გვეთქვა რაც შეიძლება მომხიბლავად, ლამაზად (ამას პატივმოყვარება თუ თავმოყვარეობა გვაიძულებდა) და ამავე დროს გვეთქვა ისე და იმ ფორმით, უფროსს მოსწონებოდა, ვინმე (და ასეთები მრავლად იყვნენ) სიტყვაზე არ გამოგვიკიდებოდა... ნათქვამი ყოფილიყო გამართული, პოლიტიკურად, იდეოლოგიურად, სოციალურად... და ამგვარ ფიქრებში ჩამოყალიბებული აზრი დეფორმირდებოდა; საუბრისას იწყებოდა ძებნა სიტყვისა, ფრაზისა... მოკლედ, საუბარი აღარ იყო ბუნებრივი და, რა თქმა უნდა, კარგი ქართული...

- თ. ბ.** – ესე იგი, ჩვევად გვიქცია სიტუაციამ არა-ბუნებრივი, ნაძალადევი ლამაზსიტყვაობა და...
- ა. ბ.** – და ამას ეწირება კარგი ქართული. ეს ერთი მხარეა მედლისა. ამგვარი პირი, თუ მან ქართული რიგიანად იცის, სწორედ მაინც დაწერს და ფსიქოლოგიურად დაუტვირთავ სიტუაციაში სწორად იმეტყველებს, მაგრამ ბევრი გვყავს ასეთი კარგი მოქართულე? ვეჭვობ.
- თ. ბ.** – ბოლო წლებში ეროვნული მოძრაობის აღორძინებამ ახალი ძალა შემატა, ასე ვთქვათ, სალიტერატურო ქართულის სინწინდისათვის ბრძოლას. ბევრს ვწერთ, ვლაპარაკობთ დედაენის პატრონობაზე, მისთვის კუთვნილი ღირსეული ადგილის მინიჭებაზე ქართველი კაცის სულიერ საგანძურში... პრაქტიკულად რა შედეგი გვაქვს, რა კეთდება მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის?
- ა. ბ.** – მე ერთგან დავწერე კიდეც, რომ ბრძოლამ სალიტერატურო ქართულის სინწინდისათვის კამპანიური ხასიათი მიიღო. ენა კიდეც არაა ის ფენომენი, რომლის პრობლემები კამპანიურ ღონისძიებებით შეიძლება გადაიჭრას. როგორც ყოველი კამპანიური ღონისძიება, მალე მინელდება ხოლმე ერთუზიანში და ახალ წამოწყებასა

და ახალ კამპანიებს უნდა დაველოდოთ. დედა-ენის პრობლემებზე ზრუნვა და ფიქრი შინაგან მოთხოვნილებად უნდა გვექცეს. მაღლიდან დავალებას, ვინმესგან მოწოდებას კი არ უნდა ველოდეთ, ყველამ ჩვენ თავსა და საქმეს უნდა მივხედოთ. არადა, როგორც ყოველ კამპანიურ ღონისძიებებში, გახსოვთ ალბათ, ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის მიღებისას (1989 წ.) ყველა ავლაპარაკდით, იყო ქადილი და დაპირებები, ვინ რას გააკეთებდა... ასევე იყო, ქართული ენის დღე რომ ვიზიემეთ პირველად, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ყველა დანაქადები თუ დაპირებული შესრულდა, ანდა სრულდებოდა.

**თ. ს.** – შინაგანი მოთხოვნილება დედაენისადმი ზრუნვა-პატივისცემისა უნდა ჩამოყალიბდეს, უნდა გამოვიმუშაოთ. ამას ალბათ დრო დასჭირდება, მანამდე კი ამგვარი კამპანიური ღონისძიებებიც საჭირო იქნება.

**ა. ბ.** – გეთანხმებით. ერთი მაგალითიც მინდა მოვიყვანო დედაენის წინაშე მოქალაქეობრივი ვალის შეგრძნებისა: ცნობილი გეოლოგის, აკადემიკოს ალექსანდრე ჯანელიძის მოწაფე იგონებდა: ასპირანტები ნაშრომს რომ ვაჩვენებდით, პროფე-

სიულად რაც უნდა კარგი ყოფილიყო, თუ ცუდი ქართულით იყო დანერვილი, მასწავლებლის რისხვას ვერ გადაურჩებოდი. უფრო მეტიც, პირველ რიგში ამ თვალთ გადახედავდა ნაშრომს, შემდგომ – პროფესიულით.

**თ. ბ.** – დღეს ალბათ მსგავსი მაგალითების მოძიებაც გაგვიჭირდება.

**მ. მ.** – „გაგვიჭირდება“ არაა ის სიტყვა... გაგვიჭირდება კი არა, ვერ მოვიძევთ ასეთ მაგალითს. საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ დარგებში, ასე ვთქვათ, „სამუშაო ენა“ აღარაა ქართული. დავკარგეთ დიდი ივანე ჯავახიშვილის დამკვიდრებული ტრადიცია და ალბათ ათეული წლები დავგვიჭირდება 30-იანი წლების დონემდე რომ ავიდეთ ამ მხრივ. ყველაფერს იმპერიას ნუ დავაბრალებთ. იმპერია არ აიძულებდა მავანსა და მავანს აკადემიის „მოამბესა“ თუ „მაცნეში“ რუსულად ებეჭდათ ნაშრომები, რუსულად გამოეცათ წიგნები, როცა ამის აუცილებლობას ეროვნული ინტერესი არ უკარნახებდა. იმპერია არ აიძულებდა თბილისში სამეცნიერო კონფერენციაზე ქართველს რუსულად ეკითხა მოხსენება. ეს ვაიქართველთა კერძო ინიციატივა იყო.

**თ. ბ.** – იმპერიული პოლიტიკა რომ მაინც შუაშია,

ხომ ფაქტია... სხვა რომ არა იყოს რა, სამეცნიერო წრეების ენის საკითხებს როცა შევეხებით, ვერც იმას ავუვლით გვერდს, რომ იძულებითი იყო დისერტაციების რუსულად დაწერის ფაქტი...

**ა. ზ.** – ღმერთმა დასწყევლოს იმპერიაც და მისი დამცველ-მაქებარიც... მაგრამ მე სხვა რამ მინდოდა მეთქვა. იმპერია არ გვიკრძალავდა დისერტაციის ქართულად დაცვას. ასეც ხდებოდა ფილოლოგიაში, ისტორიაში და ზოგჯერ, ალბათ, სხვაგანაც. მაგრამ სადისერტაციო ნაშრომი შემდეგ რუსულად უნდა გვეთარგმნა და დასამტკიცებლად გაგვეგზავნა იმპერიის ცენტრში. რუსულად თარგმნა, მოგვხსენებათ, საქმეს ართულებდა და ეს საქმე გააიოლეს, როცა რუსულად დაიწყეს დისერტაციების წერა, სამეცნიერო საბჭოების სხდომათა რუსულად გამართა. ე. ი. იმპერიული მოთხოვნები სტიმულად იქცა ვაიქართველთათვის და საკუთარი საქმის გაიოლებას დედაენის ინტერესი შეეწირა... ჰოდა, იმდენი რამ გაგვირთულა ამან, იმდენი რამ გაფუჭდა, წლები დასჭირდება გამოსწორებას... ქართველთა შორის ქართული ენის საკითხებზე რუსულად საუბრის მონმეც ვყოფილვარ... ზოგ პროფესიულ წრეში ქართულად საუბარი პროვინციალიზმად მიიჩ-

ნეოდა და მიიჩნევა კიდეც... ამის დაძლევისასაც წლები დასჭირდება. არადა ეს უკვე ჩვენზეა დამოკიდებული, ამას „ზევიდან“ არ გვავალევენ და გვაიძულებენ. ეს დედაენისადმი ჩვენი მოქალაქეობრივი ვალის, ჩვენი ენობრივი შეგნების შესუსტების შედეგია. კ. გამსახურდია წერდა: „დაუდევრობა უდიდესი სენია დღევანდელი ქართველობისა. სწორედ მეტყველებაში იჩენს უწინარესს ყოვლისა ამ დაუდევრობას ქართველი კაციო“.

- თ. ბ. – გურამ პეტრიაშვილის წერილების სერიის მთავარი თემაც ეგ იყო, თუმცა საზოგადოებას არაერთგვარი რეაქცია ჰქონდა ამის გამო...
- ა. ა. – დიახ და, მე ეს აღრეც ვთქვი, მანამ სანამ გ. პეტრიაშვილი პარლამენტის წევრი გახდებოდა, მის პოზიციას სავსებით ვეთანხმები, მომწონს და მისაბაძად მიმაჩნია ის თავგამოდებული ბრძოლა (დავარქვათ ამას ბრძოლა), დაურიღებლობა ავტორიტეტთა მიმართაც კი, თუკი საამისო საბაბს მათი მოქართულებობა იწვევდა; პირდაპირი და პრინციპული უნდა ვიყოთ... თუ ვართ ენისა და ერის ჯარისკაცები, დედაენისათვის თავდადების შეგნებაც უნდა გვქონდეს. განაწყენებულთა რისხვის არ უნდა შეგვეშინდეს.

**თ.ბ.** – „მართალია, მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მიუხდების, მაგრამ თარვა სიავისა, ქვეყანას არ მოუხდების!“...

**ა.ა.** – გურამიშვილი იმასაც ამბობს, „უსირცხვილოს თუ არ არცხვენ, ბაძით მორცხვიც გაურცხვდები-სო“. მორცხვიც რომ არ გაგვიურცხვდნენ, ვისაც უყვარს და პატივს სცემს, იმანაც რომ არ აიყაროს გული დედაენაზე, ვთქვათ სიმართლე... როცა ეს პოზიცია საყოველთაოდ იქცევა, როცა ყველა ამ შეგნებით მიუღდება დედაენას, აღარც გ. პეტრი-აშვილს დასჭირდება ხმალამოღებული ბრძო-ლა და აღარც განანწყნებულს „გააჩერეთ, გაა-ჩერეთ“ – ამის ძახილი... მე თუ მკითხავს კაცი, როცა შეცდომაზე მიგვითითებენ, მადლობა უნდა უთხრა და არა რისხვა დავატეხოთ, შენ ვინ გკით-ხავსო... მაგრამ მადლობას ის იტყვის ამგვარ შენიშვნაზე, ვისთვისაც შინაგანი მოთხოვნილება იქნება დედაენის რიგიანი ცოდნა. კარგი მოქართულეობა პრესტიჟის საკითხი უნდა იყოს ქართველისათვის...

**თ.ბ.** – გეთანხმებით, მაგრამ მე უფრო კონკრეტული საკითხი მაინტერესებს. ახლახან მისაღებ გამოც-დებზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში ახალი მოდელის თაობაზე გამართულ დისკუსიაში



გარკვევით ითქვა, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ ცუდად იცის ქართული ენა. ამის გამო, ქართული ენის გრამატიკის საკითხის ამოღებასაც ითხოვდნენ. დისკუსიაში თქვენც მიიღეთ მონაწილეობა. რამდენად სწორად იყო დასმული საკითხი და რა გზას ვხედავთ მდგომარეობის გამოსწორებისა.

- ა. ბ. – სამწუხაროდ, როგორც ხშირად ხდება, საკითხი დაისვა, მაგრამ მისი გადაჭრის გზების ძიება არ ყოფილა. მე მაშინაც ვთქვი: არასერიოზულია ასეთი მსჯელობა – რადგან კარგად არ იციან (არ ასწავლიან, ანდა არ სწავლობენ), მისაღებ გამოცდაზე ნუ მოგვკითხავენო... დავანებოთ თავი მისაღებ გამოცდებს. თუ არ სწავლობენ, ანდა არ ასწავლიან კარგად, ამ საკითხს ხომ უნდა მოგვარება. ქართული ენის ცოდნის მოთხოვნა ენათმეცნიერთა ახირებად მიაჩნიათ ოპონენტებს. რა შუაშია ენათმეცნიერი; ქართული ენის ცოდნა, ზემოთაც ვთქვი, ყოველი ქართველის შინაგანი მოთხოვნილება უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, სჭირდება თუ არა მისაღებ გამოცდაზე ჩასაბარებლად. აქ ერთ პოზიციასზე უნდა ვიდგეთ ენათმეცნიერიც, ლიტერატორიც, მწერალიც და მკითხველიც.

- თ. ბ.** – თქვენ მართალი ხართ, მაგრამ დისკუსიისას საკითხი ასეც დაისვა: ენას უნდა ვასწავლიდეთ, ჩვენ ენას კი არა, გრამატიკას ვასწავლითო. ენა და გრამატიკა გავაიგივეთო.
- ა. ა.** – იმ დისკუსიაში მრავალ გაუგებრობას დაედვა სათავე. ოპონენტები იმასაც გვიკიჟინებდნენ, რომ ჩვენ, ენათმეცნიერებს, ენა და გრამატიკა ვერ გაგვიჩვეია თურმე ერთმანეთისაგან. „ენა სხვაა, გრამატიკა – სხვა, შუა უდევს დიდი ზღვარიო“ – გვმოძღვრავდა ერთი მოპაექრე. შეეძლო ეთქვა და დავიჭერებდით, „ანდაზა სხვაა, გამოცანა სხვაო“, რამეთუ ფოლკლორისტი გვასწავლიდა ამას, მაგრამ... რა გითხრათ. ყველაფერი ერთმანეთში აირია: **ენა**, როგორც ურთულესი ფენომენი – ერის მეობის უპირველესი ნიშანი; **ენათმეცნიერება**, როგორც მეცნიერება ენის შესახებ და **გრამატიკა**, როგორც დარგი ენათმეცნიერებისა. გრამატიკა ზედმეტია, ენათმეცნიერებმა ისწავლონო, სხვას ენა ვასწავლოთო... ასეთი რიტორიკული კითხვაც დასვა მოპაექრემ ამ თავისი თვალსაზრისის ნათელსაყოფად: „საინტერესოა, აბიტურიენტმა რომ დაწეროს: „კაცმა მოვიდა“, დედაენის არცოდნაში ჩაეთვლება თუ „ქართული ენის საკითხების“ არცოდ-

ნაშიო“? ჯერ ერთი, აქ ისაა დასაზუსტებელი, რომ ქართული არაა დედაენა ყველასთვის, ვინც ამ საგანს აბარებსო და მეორეც, ე. ი. „კაცმა მოვიდა“ ენის არცოდნაა თუ გრამატიკისო. და ელემენტარული გრამატიკული წესი თუ არ ვასწავლეთ, ამ შეცდომას რომ ვერ გაასწორებს, ამაზე აღარ ფიქრობენ. მოკლედ, ამ დისკუსიამ ბევრი რამ ყირაზე დააყენა. სერიოზული, პროფესიონალური განსჯაა საჭირო საკითხებისა. დილექტანტიზმს სიკეთე როდის მოუტანია, ახლა რომ მოგვიტანოს...

**თ. ბ.** – უფრო კონკრეტულად, გზა ხსნისა?

**ა. ა.** – ქართულის სწავლება სკოლაში ძირეულ გარდაქმნას მოითხოვს. ქართულის და არა მხოლოდ ქართული ენისა. დანყებითი კლასიდან თავანკარა ქართულის ნიმუშები უნდა მივანოდოთ მოზარდს. კარგი ქართულით გამართული ტექსტებით უნდა ვასწავლოთ წერა-კითხვა...

**თ. ბ.** – საყოველთაოდ ცნობილია, იაკობ გოგებაშვილი როგორ მუშაობდა „დედაენასა“ თუ „ბუნების კარში“ შესატან ტექსტებზე.

**ა. ა.** – ახლახან განათლების სამინისტროში ქართულ ლიტერატურაში სასკოლო პროგრამების განხილვისასაც დაისვა ეს საკითხი. განსაკუთ-

რებით დანყებით კლასებში დგას ეს პრობლემა. სამწუხაროდ, არ იყო აზრთა ერთგვარობა. სახელმძღვანელოში სწორი ქართულით გამართული ტექსტების შეტანის მოთხოვნა ენათმეცნიერთა ახირებად მიიჩნიეს. ერთმა ლიტერატორმა დანაშაულადაც კი მიიჩნია სასკოლო სახელმძღვანელოებში აშკარა ენობრივი შეცდომების ჩასწორებაც კი, თუნდაც დანყებით კლასებში.

- თ. ბ.** – გულისხმობდა ალბათ, რომ ეს ხელყოფა ავტორისეული ტექსტისა.
- ა. ბ.** – კი., ბატონო, მაგრამ როგორ ავეხსნათ დანყებითი კლასების მოსწავლეს, რატომ იხმარა მწერალმა ესა თუ ის დიალექტური ფორმა და საერთოდ რა არის დიალექტიზმი და სხვა. მწერლობა რა არის, როგორ უნდა მოვეპყროთ ლიტერატურულ ძეგლს, მე მგონი, კ. გამსახურდიამ იცოდა, მაგრამ, აბა, მოვესმინოთ: „არც ერთი მწერლის ნაწარმოები შეუსწორებლად არ უნდა დაიბეჭდოს ახალი თაობისათვის განკუთვნილ ქრესტომათიაში. ჩვენთვის, ჩვენი კულტურისათვის, მთავარზე უმთავრესია არა თუ ამბიციის რომელიმე მწერლისა (სულერთია, ცოცხალი იქნება იგი თუ გარდაცვლილი), არამედ სიჭანსალე ჩვე-

ნი კულტურისა და ჩვენი ენის სიფაქიზის შენარჩუნება“. უვიცობა ავტორისა, დაუდევრობა რედაქტორისა თუ კორექტორისა, – განაგრძობს კ. გამსახურდია, – „ნაახდენს ხოლმე სკოლებისთვის განკუთვნილ ქრესტომათიებს და ანაგვიანებს ქართულ ენას. ეს ამბავი ცალკეულ გამოცემებში ისე სახიფათო არაა, როგორც სახელმძღვანელოებსა და ქრესტომათიებში. ასეთი ქრესტომათია წლების განმავლობაში ავრცელებს უარგონს ნორჩი თაობის მესხიერებაში“.

- თ. ბ.** – როცა სახელმძღვანელოების ენაზე ვსაუბრობთ, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები. რამდენადაც მახსოვს, ენათმეცნიერების ინსტიტუტმა სპეციალური კრებულიც კი მიუძღვნა სახელმძღვანელოების ენის საკითხს.
- ბ. ბ.** – დიახ, ჩვენმა ინსტიტუტმა შეისწავლა ქართული სახელმძღვანელოების – ნათარგმნისა თუ ორიგინულის – ენის საკითხები. მასალები გამოქვეყნდა „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ ერთ-ერთ ტომში. სავალალო მდგომარეობაა ამ მხრივ როგორც ნათარგმნ, ისე ორიგინალურ სახელმძღვანელოებში. ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ქართული ენის სინმინ-

დის თაობაზე მხოლოდ ქართულის გაკვეთილზეა საუბარი და სხვა საგნების გაკვეთილებზე პრაქტიკულად არასწორი ქართულით ვსაუბრობთ, ეფექტი ქართულის გაკვეთილებზე მიღებული ცოდნისა ნაკლები იქნება, ბუნებრივია.

**თ. ბ.** – თვითონ ქართულის გაკვეთილებზე კი ვასწავლით იმას, რასაც ჰქვია „ქართული ენა“, ანდა ისე ვასწავლით, როგორც საჭიროა?

**ბ. ბ.** – რთულ პრობლემას ვსვამთ. ქართული ენის სწავლება სკოლაში ძირეულ გარდაქმნას მოითხოვს. ეს საკითხი არაერთხელ დასმულა ოფიციალურად, ჩვენც მიგვიღია მონაწილეობა მის განხილვაში. მაგრამ ვსაუბრობთ ბევრს, ვაკეთებთ ცოტას, ანდა არაფერს საქმის გამოსასწორებლად. პროგრამებისა თუ სახელმძღვანელოების თაობაზე ყოველ კრიტიკულ შენიშვნას ძალზე მტკივნეულად აღიქვამენ ისინი, ვისაც ეს უშუალოდ ეხება. პროგრამა-სახელმძღვანელოების საკითხი მათი ავტორების პრესტიჟის საკითხად იქცა, თავგამოდებული იცავენ... და ავტორრედაქტორთა პატივმოყვარეობას ეწირება საზოგადო საქმე.

**თ. ბ.** – რა დასამალია და, იშვიათად მინახავს მოსწავლე, საგანი ქართული ენა რომ უყვარდეს,

ანდა ქართული ენის გრამატიკა რიგიანად რომ იცოდეს.

- ა. ბ.** – მე არ ვიცი, რა შედეგი ექნება, ასეთი გამოკითხვა რომ ჩატარდეს სკოლებში, რომელი საგანი უფრო უყვარს მოსწავლეს; რამდენი პროცენტი დაასახელებს ქართულ ენას პირველ საგნად, მაგრამ დიდი რომ არ იქნება ეს რიცხვი, მეც მჯერა. ცუდი სახელმძღვანელოთი და ცუდი პროგრამით აგებულ საგანს გენიოსი მასწავლებელიც კი ძნელად შეაყვარებს მოსწავლეს.
- თ. ბ.** – მაინც რას გულისხმობთ, როცა პროგრამასახელმძღვანელოების ნაკლებე საუბრობთ?
- ა. ბ.** – ერთი ამბავი მინდა გავიხსენო. გახსოვს, ალბათ, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ორ წელი სომხეთში ვმსახურობდი.
- თ. ბ.** – ჯარში გაგინვიეს, ოფიცერი იყავი...
- ა. ბ.** – დიახ, და სომხურ მოსახლეობასთან კარგი ურთიერთობა გვექონდა; ჩვენ, ქართველებს, დიდი პატივისცემით გვეპყრობოდნენ; ხშირი და ახლო კონტაქტები გვექონდა მათთან. გაოცებელი ვიყავი, V-VI კლასის მოსწავლეც კი, როცა გაიგებდა, რომ ქართველი ვიყავი, მესროპ მამტოცს მიხსენებდა...
- თ. ბ.** – ამან შეგიქმნათ ქართველებს ანბანიო?

**ბ. ბ.** – დიახ! მადლი უფალს, საუნივერსიტეტო კურსი მქონდა გავლილი და ვიცოდი, ვინც იყო მესრობ მაშტოცი. ის, ჰატარა სომეხი ბიჭი, სათავისოდაც იცნობდა მესრობ მაშტოცს და საჩემოდაც – ჩვენც რომ დიდად ვიყავით მისგან დავალებული. რა თქმა უნდა, ამას ბოროტი განზრახვით არ აკეთებდნენ, უბრალოდ შეგვახსენებდნენ ჩვენი ისტორიული ურთიერთობის ფაქტს... მაგრამ, დამერწმუნეთ, მშურდა და მშურს ახლაც ერისა და ენის ისტორის ასეთი ცოდნა იმ ასაკში.

**თ. ბ.** – რასაც ჩვენ, ქართველები, ვერ დავიკვივებით...

**ბ. ბ.** – ვერა, იმიტომ რომ არ ვასწავლით. ფარნაოზის სახელს გ. ორბელიანის „სადღეგრძელოში“ მოკრავენ ყურს, ღვთის მადლით, თუ კარგი მასწავლებელია, შეიძლება განუმარტოს კიდევაც, ვინ იყო ფარნაოზი და რა დამსახურება ჰქონდა ქართული ენის წინაშე.

**თ. ბ.** – არადა, რა ლამაზი მოთხრობა აქვს ი. გოგებაშვილს „ბუნების კარში“ ფარნაოზზე.

**ბ. ბ.** – ჩვენ კიდევ უამრავ ლექსსა თუ მოთხრობას ვასწავლით ლენინსა და პარტიამე პირველი კლასიდანვე და ფარნაოზი ვიღას ახსოვს. ქართული ენის კურსი უნდა ითვალისწინებდეს ამგვარი მასალის მიწოდებასაც. თუ ეს არ გავაცა-



ნით და ამგვარი მასალით არ შევაცვარეთ დედანა, არაფერი გამოვა.

**თ. ხ.** – ალბათ ამას გულისხმობდნენ, როცა წერდნენ ზემოხსენებული დისკუსიის მონაწილენი, რომ საგანი ქართული ენა ქართულმა გრამატიკამ შეცვალაო.

**მ. მ.** – რას გულისხმობდნენ, ვერ გეტყვით, რადგან, როგორც ითქვა, ამ დისკუსიამ ბევრი რამ აუარია... მაგრამ ფაქტია: სანამ ბავშვი ენის ფონეტიკური სისტემისა თუ გრამატიკული სტრუქტურის შესწავლას დაიწყებდეს, მანამდე უნდა იცოდეს, თუ რას ნიშნავს დედაენა. რომ ენა არის უპირველესი ნიშანი ერის მეობისა. რომ ენის წახდენა ერის დაცემის მაუნყებელია, რომ ენის მტრობა ერის მტრობაა... ყოველივე ეს ცოდნა ლიტერატურული მასალით შეიძლება მიენოდოს და მოზარდისათვის გასაგებ ენაზე გაუკეთდეს კომენტარი, ახსნა-განმარტება. ბავშვმა დაბალკლასებშივე უნდა გაიცნობიეროს, რატომაა აუცილებელი მშობლიური ენის ცოდნა, მშობლიურ ენაზე განათლების მიღება... ყოველივე ეს შეიძლება იოლად მოგვარდეს. ქართული პოეზია ამისათვის მდიდარ მასალას გვაძლევს. როგორ შეიძლება, ი. გოგებაშვილის „ბურჯი ეროვ-

ნებისა“ თუნდაც საკითხავ მასალად არ ეძლეოდეს სკოლაში მოსწავლეს. კი, ცალკეული ფრაზები თუ გამონათქვამები, თითო-ოროლა ლექსიც ისწავლება ამ თემაზე, მაგრამ ეს საქმეს არ შეეღობა.

**თ. ბ.** – დამამთავრებელ კლასებში, ალბათ, ამგვარი შემეცნებითი მასალის გაზრდა შეიძლება.

**ა. ა.** – დამამთავრებელ კლასებში ენის თეორიული კურსი უნდა ისწავლებოდეს. ქართული ენის სახელმწიფო პროგრამაში არის კიდევაც ასეთი პუნქტი. უნდა იცოდეს, რა არის ენა, ენის წარმოშობის, ენათა ნათესაობის, ენათა ურთიერთმიმართების, ენის ცვალებადობის შესახებ წარმოდგენა უნდა ჰქონდეს; ანდა: რა არის სალიტერატურო ენა, რა არის დიალექტი, რა მიმართებაა სალიტერატურო ენასა და დიალექტებს შორის, ქართული ენა და ეროვნული ლიტერატურა, ქართული ენის ისტორია... რა ვიცი, გრძლად შეიძლება საუბარი ამის თაობაზე.

**თ. ბ.** – თქვენ მრავლად ჩამოთვალეთ საკითხები და ხომ არ გადავტვირთავთ ისედაც გართულებულ სასკოლო პროგრამებს.

**ა. ა.** – არის ისეთი რამ, რაც აუცილებლად უნდა იცოდეს ქართველმა ბავშვმა და არის ისეთი რამ,

რისი ცოდნაც არაა სავალდებულო. რაც არაა სავალდებულო და აუცილებელი, იმისაგან უნდა განიტვირთოს სასკოლო პროგრამები, ხოლო მსგავსი საკითხები, რაზეც საუბარი მქონდა, ვფიქრობ, რომ აუცილებელია. არა, ნუ შეგვაშინებს ჩამოთვლილ საკითხთა სიმრავლე და ნურც რთულად მოგვეჩვენება. როგორ ახერხებდა ი. გოგებაშვილი ოთხი წლის მანძილზე – სწავლების I-II წელს „დედაენითა“, ხოლო III-IV წელს „ბუნების კარით“ – ესწავლებინა ქართველი ბავშვებისათვის საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის საკვანძო საკითხები; გაეცნო მათთვის ბუნება, სამყარო; ესწავლებინა ქართული ენა და ლიტერატურა... როგორ და გენიოსურად შედგენილი სახელმძღვანელოებით. ვიმეორებ, ოთხ წელში ორ ინიგნით – „დედაენითა“ და „ბუნების კარით“ – ასწავლიდა იმას, რასაც ჩვენ თითქმის ვერ ვახერხებთ მრავალი წლის მანძილზე მრავალი სახელმძღვანელოთი.

- თ. ხ.** – ჩვენ კი „დედაენაში“ ბევრი რამე შევცვალეთ არცთუ უკეთესით, ხოლო „ბუნების კარი“ საერთოდ მივივიწყეთ...
- ა. ბ.** – არ ვიცი, ჩვენს მეტი ალბათ ვერაფერს შეძლებდა იმას, რომ ი. გოგებაშვილი გყავდეს, ის დაი-

ვინცო და მავანსა და მავანს უაზრო ექსპერიმენტების ჩატარების უფლება მიეცეთ.

- თ. ბ.** – როცა სასკოლო პროგრამების გამარტივებაზე ფიქრობ, არ გეჩვენება, რომ ქართული ენის არსებული პროგრამაც საჭიროებს გადასინჯვას ამ მხრივ...
- ა. ა.** – მეჩვენება კი არა, მჯერა, რომ ასეა საჭირო. განა მთლიანად მცდარია ოპონენტთა აზრი, საგანი ქართული ენა ქართულ გრამატიკად იქცაო. ფაქტობრივ სკოლაში სამეცნიერო გრამატიკის მოკლე კურსი ისწავლება. პროგრამაც და სახელმძღვანელოც გადატვირთულია წმინდა თეორიული საკითხებით, ცნებებით. შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა პრაქტიკულ საკითხებს. ეს ძალაუნებურად აიძულებს მოსწავლეს გაუაზრებლად იზეპიროს საკითხები და ვერ დაინახოს აუცილებლობა ამ ცოდნის პრაქტიკული გამოყენებისა. მოგეხსენებათ, ასეთი პროცესი უინტერესოა, უსარგებლო და მომბაზმობელი. უფრო მეტიც, ჩვენ თვითონ ვაძლევთ საფუძველს საგნის სიძულვილისას. ზემოთ ვთქვით, მოსწავლეებს არ უყვართ ქართული ენა; მე დიდად არ მიკვირს ეს... ესეც არა ერთხელ თქმულა და სასმსჯელოდ გამხდარა მაღალ ინსტანციებ-

ში, მაგრამ შედეგზე რა მოგახსენოთ.

- თ. ბ.** – რაც ითქვა, საშუალო სკოლის პროგრამას ეხება თუ სახელმძღვანელოებს?
- ა. ბ.** – სახელმძღვანელო პროგრამის მიხედვით დგება; უფრო სწორად, პროგრამაა შედგენილი სახელმძღვანელოს მიხედვით. ნუ გავიკვირვებთ, ქართული ენის სახელმძღვანელო ამ ექვსი ათეული წლის წინათ შეიქმნა და ეს იყო უდავოდ მნიშვნელოვანი ფაქტი, წინგადადგმული ნაბიჯი – სასკოლო სახელმძღვანელო მეცნიერულ გრამატიკას დაეფუძნა. მრავალგზის გადამუშავდა, შეივსო, გაუჩნდა ავტორთა კოლექტივი... ვერ ვიტყვი, რომ საქმე წინ წავიდა; მიჩვენება, რომ პირიქით მოხდა. მე შემიდარებია და თუ მენდობით და დამიჯერებთ, ა. შანიძისეული სასკოლო სახელმძღვანელოს | გამოცემა 30-იანი წლებისა უფრო მომწონს, ვიდრე ბოლო წლებისა. მაგრამ ყოველივე ეს მაინც სამეცნიერო გრამატიკაა... ზევით ვთქვით კიდევ, საგანი ქართული ენა კი მართო გრამატიკა არაა...
- თ. ბ.** – გარდა იმისა, რაც ითქვა, პრაქტიკული სტილისტიკის საკითხებით არ უნდა დაგვაფიქვდეს ალბათ...
- ა. ბ.** – არადა, ჩვენ დავინყებულები გვაქვს. მეტიც,

მწერლის ენასაც უნდა მიეცეს ყურადღება. ფაქტობრივ, ამა თუ იმ ლიტერატურული ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ ანალიზს ისე ვახდენთ, ენობრივი მხარე ნაწარმოებისა უგულებელყოფილია. როგორ შეიძლება, მაგალითად, ვასწავლოთ ილია, აკაკი, ვაჟა, დ. კლდიაშვილი, ვ. გამსახურდია, მ. ჯავახიშვილი და მხოლოდ ეს აღვნიშნოთ: ენობრივი თვალსაზრისით ძალიან საინტერესოაო. რით არის საინტერესო, ორიგინალური და თავისებური, ამაზე არაფერი ვთქვათ...

- თ. ბ.** – ასე ვთქვათ, ქართული ლიტერატურის სწავლებისას ქართული ენის საკითხების ცოდნა...
- ა. ბ.** – უცნაურად გაიყო და გაითიშა ქართული. ქართული ენა ქართული ლიტერატურის გარეშე და პირიქით, ქართული ლიტერატურა ქართული ენის გარეშე ისწავლება. არსებობს კი ასეთი რამ?
- თ. ბ.** – პრობლემა რომ მტკივნეულია და მოგვარების საქმეც გადაუდებელი, ფაქტია. სამწუხარო ისაა, რომ თითქმის სადღეისოა ამ საუკუნის დასაწყისში მიხეილ ჯავახიშვილის მიერ თქმული: „ჭირი დაუმალავი სჯობიაო. ეს ჭირიც ჩვენი ძველი ნაცნობია, თითქმის ნაჩვევი და გაშინაურე-

ბული.

ქართული ენის ამღვრევისა და დამახინჯების შესახებ მოგახსენებთ. ეს საგანი გაცვეთილი და თავმოსაბეზრებელია... ყველას ბავშვობიდანვე გვახსოვს ამ საგანზე ჩივილი და ზრუნვა, მაგრამ ჩვენი დასწრებული ქართული ენა თვეზე წამოდგომასა და დანმენდის მაგიერ უარესად დაავადდა და ატალახდა. ისიც გვახსოვს, რომ ერთ ღროს გადაგვარებულებს თითებზე ჩამოთვლიდით ხოლმე. ესლა კი ანგარიში აგვერია და სათვალავი დაგვეკარგა“.

**მ. მ.** – საოცარია, როგორ ლოგიკურად გაგრძელდა მიხეილ ჯავახიშვილის მიერ ამ საუკუნის დასაწყისში თქმულით გასულ საუკუნეში ი. გოგებაშვილის მიერ გამოთქმული აზრი: „კიდევ ისე სამუნუხარო არ იქნებოდა ქართული ენის აბუჩად აგდება, რომ ამ მოვლენას ვხედავდეთ მხოლოდ სასწავლებლებში; მაგრამ სავაგლახო და სავალალო ის გახლავთ, რომ იქაც კი, სადაც დედენა უნდა შეუცვილებლად უფლობდეს და სუფევდეს, მას ეპყრობიან, აქა-იქ მაინც, სწორედ ისე, როგორც ავგული დედინაცვალი ექცევა ათვალწუნებულ თავის გერსა“.

## მინანარი 33 წლის შამღამ

ეს დიალოგი 1991 წელს შედგა. მიზანი ასეთი იყო: გვეჩვენებინა, რა ვითარებაა ჩვენს საზოგადოებაში ქართული ენის ცოდნის თვალსაზრისით... ქვეტექსტი ეს იყო: საბჭოთა იმპერიის ენობრივი პოლიტიკის შედეგია ასეთი მდგომარეობა; დამოუკიდებელმა საქართველომ უნდა იზრუნოს ვითარების გამოსასწორებლად (ხელი რაღას უნდა შეეშალა!...).

დამოუკიდებელი საქართველოს იდეით შეპყრობილები, ცხადია, უარესზე ვერ ვიფიქრებდით... მაგრამ...

მაგრამ აღმოჩნდა, რომ უარესიც შესაძლებელია...

ჩვენ არ ვაპირებთ ამჯერად დანვრილებით მიმოვიხილოთ ბოლო ათწლეულების ვითარება ამ თვალსაზრისით; გზადაგზა ეს კეთდებოდა (იხ. გ.გოგოლაშვილი - წიგნები: ფიქრები დედაენაზე, 1997; ქართული - ენაჲ შემკული და კურთხეული, 2004; ბედი ქართული ენისა ათასწლეულთა მიჯნასთან, 2009... წერილები: დედაენის პრობლემები კომუნისტურ ეპოქაში და დღეს (ალმანახი „სამი საუნჯე“) 2011; განათლების დონის დაცემა... მიზანმიმართულად! (გაზეთი „საქართველოს რეს-



პუბლიკა“) 2021 და მრავალი სხვა...) და... ისევ მაგრამ...

საერთო სურათის წარმოსადგენად და ტენდენციის გასააზრებლად რამდენიმე ფაქტს მივაპყრობ მკითხველის ყურადღებას:

2004 წელს განათლების მინისტრმა (კ. ლომაია) და პარლამენტის ანალოგიური კომიტეტის თავმჯდომარემ (ლ. ბერძენიშვილმა) რამდენიმე ბრიფინგი გამართეს: საერთაშორისო კვლევის შედეგები სავალალოაო - მეხუთე კლასელთა ნახევარმა წერა-კითხვა არ იცისო...

რა ვიღონეთ გამოსასწორებლად? - არაფერი...

მწერალ კოტე ჯანდიერს ვუსმინე გადაცემაში „შემდეგი გაჩერება“ (ტელე „იმედი“, უურნალისტი თამარ ცაგარეიშვილი. 2021. 25. 09. 15,45 სთ.). საგანგაშო ფაქტზე გაამახვილა ყურადღება მწერალმა:

„მე გავეცანი კვლევის შედეგებს, რომელიც ჩატარდა 2011 წელს 150 ქვეყანაში. VII–IX კლასელთა ტესტირება ჩატარდა, არა ფიზიკასა და ქიმიაში, არამედ „ტექსტის გაგების უნარში“. 150 ქვეყანაში ბოლოდან მე-7 ადგილზე ვიყავით. ჩვენ გვისწრებდნენ

ისეთი ქვეყნები, რომლებიც არც გამიგია... ეს მონაცემები იმ წელს ქართულმა საზოგადოებამ ვერ გაიგო – ტაბუდადებული იყო ამის გასაჭარობა... მერე მოვიკითხე, კიდევ ხომ არ ჩატარდა მსგავსი კვლევა-მეთქი; რამე ხომ არ შეიცვალა-მეთქი... თურმე ჩატარდა 2018 წელს... ზუსტად იქ ვართ, სადაც ვიყავითო...”

მწერალი გულისხმობს „მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA“-ს კვლევებს, რომელიც ჩატარდა 2018, 2020 და 2022 წლებში... შედეგები თითქმის ერთნაირია...

სამწუხაროდ, ასეთ ინფორმაციებს ჩვენი საზოგადოება ისმენს მშვიდად, აუღელვებლად და... ცხოვრება გრძელდება... 10 წის წინათ რაიმე რომ გველონა ამის გამოსასწორებლად, შეიძლება დღეს ცოტა წინ ვყოფილყავით... „ტაბუდადებული იყო“; ვის ვუმაღავთ, ვის ვატყუებთ?.. საკუთარ თავს?.. ამ რამდენიმე წლის წინათ ხმაური ატყდა: ეროვნულ გამოცდებზე ქართულში ჩაჭრილ აბიტურიენტთა რაოდენობა ებევრათ და... „გამოსავალი“ ნახეს: მინიმალური ზღვარი დანდეს... (გავიხსენოთ დიალოგში ნათქვამი: მისაღებ გამოცდებზე ქართულის ცოდნის დონეაო დაბალი და... გამოცდა მოხსნათო...)... ისევ საკუთარ თავს ვატყუებთ?

ქართული ენის უცოდინართა რაოდენობა კი იზრდება...

ვინმეს უსაუბრია იმის თაობაზე, როგორ იცის ჩვენმა სტუდენტობამ ქართული? ფაქტებს მოგახსენებთ:

2018 წლის ოქტომბერში რუსთაველის საზოგადოების ეგიდით გამოკითხვა ჩავატარეთ ორ გამორჩეულ სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ სპეციალობებზე. პირველკურსელ სტუდენტებს კითხვარი შევთავაზეთ ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

პირველკურსელებთან იმიტომ მოვისურვეთ გასაუბრება, რომ სულ რაღაც ორიოდე თვის წინათ მათ გადალახეს სერიოზული ბარიერები ამ საგანში ცოდნის შემოწმებისა – სკოლის გამოსაშვები გამოცდები და ეროვნული გამოცდები; ფაქტია, მათ წარმატებით დაძლიეს ეს პრობლემა და ჩაირიცხნენ პრესტიჟული უნივერსიტეტების პრესტიჟულ სპეციალობებზე... ამას იმიტომ გავხაზავთ, რომ წესით მათი ცოდნა ქართულ ენასა და ლიტერატურაში სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებზე უკეთესი უნდა ყოფილიყო...

ვიტყვი იმასაც, რომ ამ გამოკითხვის შედეგები თა-

ვის ღროზე გავაცანით საზოგადოებას – სატელევიზიო გადაცემებში ვისაუბრეთ ამის თაობაზე რამდენჯერმე, პრესაშიც გახმაურდა და მასალები მივანოღეთ განათლების სამინისტროსაც (პირადად მინისტრთან გვექონდა საუბარი გ.გ.)... თუმცა გამოსწორებაზე არავის უბრუნია... ჩვენი ღრმა რწმენით, ვითარება დღითიდღე უარესდება...

მოდით, ჯერ ეს ვთქვათ: **გამოკითხვის შედეგები იყო სავალალო** (ალბათ, უმჯობესი იქნებოდა გვეხმარა სიტყვა – **კატასტროფული**).

**ქართულ ენაში** სამი სახის კითხვა დავუხვით სტუდენტებს:

- რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სახელი?
- რომელ რიცხვშია ხაზგასმული სიტყვა?
- რომელ მწკრივშია ხაზგასმული გმნა?

სულ 16 შეკითხვა იყო „ქართული ენის“ ნაწილში.

**ქართული ლიტერატურის** ნაწილში დასმული კითხვები ასეთი იყო:

- რომელი ნაწარმოებიდან არის ეს ციტატა?
- დაასრულე სტროფი;
- სად ხდება მოქმედება ამ ნაწარმოებში?
- რომელი საუკუნის ლიტერატურული ძეგლია...?

- „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი (...) რომელი ქვეყნიდან არის?...

ამ ნაწილში 25 კითხვა დავსვით... შევეცადეთ, კითხვები ყოფილიყო იოლად ამოსაცნობი. მაგალითად:

- რომელი ნაწარმოებიდან არის „დაჯდა წერად ანდერძისად“... ან: „ვაზირი, სახელად სედრაქ“...
- დაასრულე სტროფი: „დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ“...
- რომელი საუკუნის ლიტერატურული ძეგლია ილია ჭავჭავაძის „აჩრდილი“?.. და სხვა...

სულ გამოვკითხეთ 151 პირველკურსელი.

ქართულ ენაში დასმულ კითხვებზე სწორი პასუხი გასცა 40%-მა; (ვერ ამოიცნეს სწორად: სახელის ბრუნვა – 54%-მა, სახელის რიცხვი – 36%-მა, ზმნის მწკრივი – 90%-მა)...

ქართულ ლტერატურაში კითხვებს სწორად უპასუხა 55%-მა. ისეთ კითხვაზე, მაგალითად, როგორცაა – „რომელი საუკუნის ლიტერატურული ძეგლია ილია ჭავჭავაძის „აჩრდილი“? – ვერ უპასუხა 43%-მა. უცნაური ის არის, რომ პასუხებში დასახელ-

და მე-7-დან მე-20-ის ჩათლით ყველა საუკუნე!..

დამეთანხმებით, უმძიმესი შედეგებია... (თუ ვინმე დაინტერესდება, შეგვიძლია ეს მასალები გავა-  
ცნოთ...)

უფრო მძიმე ვითარებაა სკოლაში (რეპეტიტო-  
რების ხელი ჯერ არ ჩანს...); მსგავსი გამოკითხვა მე-  
12 კლასებშიც ჩავატარეთ... აღარ გადაგტვირთავთ  
სტატისტიკით...

2021 წლის სააღდგომო ეპისტოლეში საქართვე-  
ლოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ  
განგაშის ზარი შემოჰკრა:

„მ ი ზ ა ნ მ ი მ ა რ თ უ ლ ა დ ხდება ზოგადად  
არსებული ნორმების რღვევა, სახელმწიფო  
ინსტიტუტებისა და სტრუქტურების დაკნინება, გ ა ნ ა  
თ ლ ე ბ ი ს დონის დ ა ც ე მ ა, სიღრმისეული  
აზროვნებისთვის საფუძვლების მოშლა“... ჩვენ მხო-  
ლოდ ერთ ასპექტზე გავამახვილებთ ყურადღებას:  
„განათლების დონის დაცემა მიზანმიმართულად“...  
უმძიმესი ბრალდებაა... ვისაც ეხება, შეიძლება  
პასუხი გაუჭირდეს, მაგრამ ვილაცამ რაღაც ხომ  
უნდა ილონოს ვითარების შესაცვლელად?..

ამგვარი შედეგების გამომწვევ მიზეზებზეც შეიძ-

ლება ვისაუბროთ... დამნაშავე ვეძებოთ, მაგრამ საქმეს ეს უშველის?

სამწუხაროდ, ეროვნული გამოცდების ჩატარების პრინციპია ისეთი, აბიტურიენტმა შეიძლება არ იცოდეს რამდენი ბრუნვაა ქართულში; მიიღოს უმაღლესი შეფასება!... ასე ხდება უნივერსიტეტისა და უცოდინარობის ნახალისება... ეს ერთი მხარეა ჩვენი უბედურებისა... თუმცა ეს საუბარი შორს წავიყვანს... მთავარი და არსებითი ისაა, რომ ქართული ენის სწავლების პრობლემებია მოსაგვარებელი და, საერთოდ, სახელმწიფო ენას მეტი ყურადღება სჭირდება. დიახ, აკლია ეს ყურადღება ქართულს. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ბოლო ათწლეულებში. გავიხსენოთ ფაქტები.

ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში მოსვლა (2004 წელი) ქართული ენისათვის საბედისწერო შედეგების მომტანი აღმოჩნდა:

- გააუქმეს საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის კომისია;
- გააუქმეს პარლამენტში ქართული ენის ქვეკომიტეტი;
- გააუქმეს ენის სახელმწიფო პალატა;
- გააუქმეს ყველა ურნალი და გაზეთი,

რომელიც ქართულ ენას ეხებოდა;

- გააუქმეს ყველა ტელე და რადიოგადაცემა ქართული ენის შესახებ;
- დაიმარხა იდეა „ენის კანონის“ შექმნისა;
- შეამცირეს სკოლებში ქართული ენის საათები...
- პირველ კლასში დედაენის საათები გაუყვეს ინგლისურს...

ესეც მოვიგონოთ: 1978 წლის 14 აპრილის მოტანილი ერთ-ერთი სიკეთე ისიც იყო, რომ ერთი წლის შემდეგ (1979 წლის 12 აპრილს) საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება – „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. სწორედ ამ დადგენილების შედეგი იყო ის, რომ რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებელში, ყველა სპეციალობაზე შემოღებული იქნა ქართული ენის სწავლება („ქართული მეტყველების კულტურა“); შეიქმნა ამ საგნის სახელმძღვანელოები, პრაქტიკული სავარჯიშოები... ეს იყო ქართული ენის სწავლების საქმეში დიდად წინგადადგმული ნაბიჯი (დამეთანხმებიან სპეციალისტებიც და ისინიც, ვინც ეს კურსი მოისმინა)... კომუნისტების დროს დამკვიდრებული



ეს დიდად საჭირო კურსი უნივერსიტეტებში იკითხებოდა 2005 წლამდე!.. ესეც ზემოწარმოდგენილ ჩამონათვალშია შესატანი...

ყოველივე ეს მოხდა 2005-2006 წლებში...

იმუამად კითხვა რომ დავსვით, რას ერჩოდნენ ქართულ ენას, რატომ ჩააგდეს ამ დღეში, **ლომაია-სააკაშვილის** „განათლების რეფორმის“ ერთ-ერთმა თავკაცმა **გიგი თევზაძემ** „განმარტა“ – საქართველოს **სახელმწიფო ენა ინგლისური** უნდა გახდესო... ეს იყო გაცხადებული მიზანი დედაენისადმი დაპირისპირებისა...

„ვაჰ, თუ რაც წახდეს, ველარა აღჰსდგეს, ველარა აღყვავდეს ახლის შვენებით!..“ – გახსოვთ გრიგოლ ორბელიანი რომ ჩიოდა თავის დროზე?..

თქვენ თავად განსაჯეთ, აქედან (რაც წახდა) რის აღდგენა მოხერხდა ჯერჯერობით...

მძიმე ვითარებაა...

საბედნიეროდ, 2012 წლის შემდეგ გაჩნდა იმედი დედაენის ბედის წაღმა შემობრუნებისა...

გაცოცხლდა მრავალნატანჯი იდეა „ენის კანონისა“...

კანონპროექტი 2013 წელს შევიდა პარლამენტში განსახილველად და 2015 წლის 15 ივლისს პარლამენტმა მიიღო „კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“... ეს კანონი უნდა ყოფილიყო გარანტი ქართული ენის (სახელმწიფო ენის!) სწავლების მდგომარეობის გამოსწორებისა, შესაბამისად დედაენის ცოდნის დონის ამაღლებისა...

ვიფიქრეთ, დასრულდა ხანგრძლივი და უსამართლო ბრძოლა ქართული ენის წინააღმდეგ; ვიზიემეთ კანონის მიღება და **იმედით დაველოდეთ ამ კანონის ამოქმედებას...**

მაგრამ ისევ აწირქილდა ეშმაკი... აკაკი წერეთელს დავესესხებით (მისი ხუმრობის პერიფრაზს გავაკეთებთ): „კანონი გვაქვს, მაგრამ არა გვაქვს?!“  
აი, რატომ:

კანონის ამოქმედების მთავარი ბერკეტი სახელმწიფო ენის დეპარტამენტია... ისევ აკაკის ხუმრობის პერიფრაზი აქაც გამოგვადგება: „დეპარტამენტი გვაქვს, მაგრამ არა გვაქვს“ ...

აი, რატომ:

კანონის მიხედვით დეპარტამენტის საქმიანობის განმსაზღვრელი მთავარი დოკუმენტი უნდა იყოს „სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა“, რომელიც

დღესაც არ არსებობს!

მაშ ასე:

სახელმწიფო ენის კანონი გვაქვს, მაგრამ არა გვაქვს...

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი გვაქვს, მაგრამ არა გვაქვს...

სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა... არა გვაქვს...

ანუ:

ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლების პერსპექტივა ჯერ არა ჩანს...

სამწუხაროდ...

ორი საუკუნის წინანდელ ნათქვამს გავიხსენებთ პოეტისას:

„ჩვენ ამას ვჰსტირით განაწირი,  
ვაჰ თუ ვესწრათ ვერ!..  
თვარალა უამი, გულთმამი,  
კვლავცა იქნების“ ...

12 მაისი, 2024 წელი.

# შინაარსი

<b>ენათქმა</b> .....	<b>3</b>
<b>მზით ნაფიცხი ქართული სიტყვა</b>	<b>5</b>
<b>ავტორი და მისი პერსონაჟები</b> .....	<b>47</b>
<b>როგორ ვიყით დედაენა</b> (ძველი დიალოგი სადღესო გაგრძელებით...) .....	<b>101</b>

